პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 აგვისტო **პარასკევი** 2009

№ 190 (12869) ფასი 60 თეთრი



# კუპერი გადააყენესო?

საქართველოს ნაკრების მორიგმა ფიასკომ უმალ ჭორი მოსდო თბილისს - ექტორ კუპერი გადააყენესო. გუშინ მეტად ძნელი გამოდგა ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანთა მოხელთება, რათა სიმართლე გაგვეგო.

როგორც იქნა, გვიან ღამით ჩვენს ზარს გენმდივანმა რევაზ არველაძემ უპასუხა: „ჭორია, არანაირი გადაყენება. მაგრამ ჩამოვა კუპერი და აუცილებლად გვექნება სერიოზული ლაპარაკი, მით უმეტეს, იტალიასთან მატჩი მოახლოვდა“.

ასეთი იყო არველაძის პასუხი. ვნახოთ, რა მოყვება ამ „სერიოზულ ლაპარაკს“...

ლევან ჯანეზაშვილი

## ისით, ახალი ანეკდოტი ჩვენს ნაკრებზე?

>> გვერდი 2,3

მალხაზ სირცხვილის გამოხმაურება



ციმაკურიძე ახალ კლუბში პირველ ვარჯიშზე

## ციმაკურიძე სამი წლით სლოვაკეთში

>> გვერდი 3

ინტერვიუ

დიეგო მარადონასთან



## ფეხბურთში რაღაც გამეგება...

>> გვერდი 10

## შვიდკაცა რაგბი და გოლფი ოლიმპიურ პროგრამაში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეკომენდაცია

>> გვერდი 12

# ! მორიგი მუქარა ლელოს ჟურნალისტის მიმართ !

>> გვერდი 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნეტგამოხმაურება

## ფანები აღშფოთებულები არიან:

# დახურონ ეს ფეხბურთის ფედერაცია და გაათრიონ თავის კუპერიან-ახალკაციანად აქედან!!!

მალტასთან წაგებამ კიდევ ერთხელ აღაშფოთა ქართველი გულშემატკივრები. საინტერესო უნდა იყოს მათი პოზიციის გაცნობა, რაც სხვადასხვა ინტერნეტფორუმებზე ამოვიკითხეთ. სპეციალისტები, ყოფილი ფეხბურთელები, ფეხბურთში თუ მის გარშემო მყოფი ადამიანები მაინც დიპლომატიას ინარჩუნებენ, ფორუმული დიალოგები კი გაცილებით გულწრფელია...

* გაიგებდით საქართველოს ნაკრების ამბავს. მალტა 2:0-ს იგებს.

* ჯერ ქართული ფეხბურთს რა ვუთხარი, შემდეგ ახალკაცს და მერე ფეხბურთელებსაც ყველას ერთად და ცალცალკე! და იმ ქვეყანას რა ვუთხარი, ყველაზე დიდ სტადიონზე „უცნობი" ფეხბურთელებზე მეტ ხალხს რომ მიიყვანს!

* გუნდი შედგება ფეხბურთელებისგან. როდესაც ჩვენი 11 ფეხბურთელი მოწინააღმდეგე გუნდის 11-ვე ფეხბურთელს ინდივიდუალურად, საშემსრულებლო კლასით, გამოცდილებით და ა.შ. 4-ჯერ აღემატება, მაშინ საქმე აშკარად სხვა მოვლენასთან გვაქვს. ათასში ერთხელ შეიძლება მოხდეს სასწაული და წააგო ფარერებთან, მაგრამ ათასში ერთხელ და არა - სისტემატურად.

* მე იმას ვამბობ, რომ საქართველოს ნაკრები კლასით აშკარად აღემატება მალტას, მაგრამ ჩემი აზრით, აქ საქმე გვერდით მოვლენებთან გვაქვს.

* და მარტო კალაძეზე არ არის საუბარი. ნაკრებს ყავს 5-6 ფეხბურთელი, რომლის გარშემოც შეიძლება იდეაში აეწყოს გუნდი, რომელიც თუნდაც მოლდოვისა და ესტონეთის დონის ნაკრებებს თითქმის ყოველთვის დაამარცხებს. არსებობს ამის საფუძველი, მაგრამ არ არსებობს სურვილი.

* საერთოდ, მოაშორეთ ეს საქართველოს ვაიეროვნული ნაკრები აქედან, რა! უთავმოყვარეების ჯგროა (დიდი ნაწილი), რომელიც საკუთარ გულშემატკივარს პატივს არ სცემს და დიდად არც პატრიოტული სულისკვეთებით გამოირჩევა. უკურეაქციაც არ აყოვნებს, როგორც წესი, და ეს ყველაფერი გადადის ქაოსში.

* შენ უკან ხომ მთელი ერია? შენ მარტო შენთვის არ თამაშობ. იბრძოლე, დაიხარჯე, დადე თავი ბოლომდე შენი ქვეყნისთვის. წააგებ? მაინც ტაშს დაგიკრავ. მოიგებ? ორმაგად დაგიკრავთ ტაშსაც და გულშიც ჩაგიკრავთ. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველა ერთად ვიგებთ ან ვაგებთ.

* წინადადება მაქვს! აიკრძალოს საქართველოში ფეხბურთი!

* გეთანხმები სრულიად!

* რაც ფეხბურთში ფინანსები მიდის, იმით დევნილებს და სოციალურად დაუცველებს დავეხმაროთ.

* ჩვენისთანა ბედნიერი, განა, არის სადმე ერი?!

* ჯობია, საქართველოს ნაკრები მოხსნან და ამ ფორუმიდან გუნდი შევქმნათ და ჩავენაცვლოთ, ამათზე კარგად კი ვითამაშებთ.

* რა თქმა უნდა, გაზეთებსა და ტელევიზიებში ჯოხი კუპერზე გადატყდება.

* რამდენს ფლანგავს წელიწადში სახელმწიფო ფეხბურთზე, ვინმემ ხომ არ იცით?

* არაფერი არ გვეშველება, განწირულები ვართ.

* მოკლედ, თამაშის მერე შედეგის ორი ვარიანტი არსებობს: თუ ბედმა გაგვიღიმა, ღირსეულად წავაგებთ, თუ არა და, ულირსად წავაგებთ. რა გვეშველება??!!

* დამავიწყდა უკვე, ბოლოს როდის მოვიგეთ?

* ველარ შეიგნეს ამათ, რომ ქართული ფეხბურთი მოკვდა! დახურონ ეს ფეხბურთის ფედერაცია და გაათრიონ თავის კუპერიან-ახალკაციანად აქედან!!! სჯობს ის ფული, რაც ფეხბურთში იხარჯება, კალათბურთს, რაგბის და სხვა სპორტს მოხმარდეს.

* შემაზიზლეს ფეხბურთი!!!



# იცით, ახალი ანეკდოტი ჩვენს ნაკრებზე?

ადრე წაგება გვაცეცხლებდა, კარგა ხანს უხასიათოდ ვიყავით ხოლმე, მაგრამ ტრადიციად ქცეული ეს მარცხები უკვე არა აღშფოთებას, არამედ, სიძულვილსა (ეს აშკარად იგრძნობა ფანებში და ძალზე სახიფათოა) და ირონიას იწვევს.

დღემდე, მსოფლიოს ასეთი უთავმოყვარეო „ჯვაროსნები" არ უნახავს. ისე სირცხვილიც კია, გუნდს ეს სახელი როგორ უნდა ვუწოდოთ?

მართალია, ნაკრების ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები კრიტიკაზე ლიზიანდებიან, მაგრამ კარგი იქნება, მოუსმინონ ხალხის რეაქციას და მიხვდებიან, რაც ხდება...

## დაცემა ტრადიციული ცენტრების დაკარგვის შედეგია

### გია ბალაშვილი, მუსიკოსი

- რაც ჩვენს ფეხბურთში ხდება, ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის. ჩვენი ნაკრების თამაშები და მისი ხარისხი კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ქართულ ფეხბურთს პრობლემების დანახვა, ზუსტი ხედვა და სწორი სტრატეგია სჭირდება. როგორც ჩანს, ჩვენ ახლა იმდენად რთულ მდგომარეობაში ვართ, საქმეს მხოლოდ სანაკრებო პრობლემის მოგვარებით არ ეშველება. ბავშვთა ფეხბურთიით დაწყებული, კლუბებით გაგრძელებული და დიდი ფეხბურთით დამთავრებული, აბსოლუტურად ყველა მიმართულებით დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომაა საჭირო. ბევრჯერ დამტკიცდა, რომ ფეხბურთში წარმატებისთვის ორი რამაა საჭირო. პირველი - დიდი ფული და თანამედროვე ინფრასტრუქტურა. და მეორე - მწვრთნელთა და ფეხბურთელთა მომზადების ტრადიციული საფეხბურთო ცენტრების უწყვეტი მუშაობა. ჩვენ არ ვართ თურქეთი, რომელმაც ნულიდან დაიწყო, მშვენიერი ინფრასტრუქტურა მოაწყო და ოც წელიწადში მძლავრ საფეხბურთო ცენტრად ჩამოყალიბდა. მოკლედ, პირველი ვარიანტი გამოირიცხა, რადგან ფინანსურად კონკურენტუნარიანები არ ვართ და ჩვენი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, პერსპექტივას ვერც უახლოეს პერიოდში ვხედავ. სხვა საქმეა, რამდენად ეფექტურად ვიყენებთ სახელმწიფო რესურსებს. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხია. რაც შეეხება ჩვენს ტრადიციულ საფეხბურთო ცენტრებს: საინტერესოა, მათ რამდენად ეფექტურად ვიყენებთ? ბევრი საფეხბურთო კერა ჩვენთვის დაიკარგა, აფხაზეთიდან აღარ მოდიან უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, სამაჩაბლოდანაც იყო შევსება და ესეც დაიკარგა, სხვა რაიონულ ცენტრებს კი ისე გაუჭირდათ, ფაქტობრივად, ბევრი სრულყოფილად ვერ მუშაობს ან განადგურდა. ქუთაისში გუნდი აღარაა და ძველებურად მაღალი კლასის ფეხბურთელებს ველარ ზრდის. ასეთ დღეში არ არის ფოთი, ლანჩხუთი, ბათუმი, გორი, თელავი? თუმცა ჩავარდნის მხოლოდ გაჭირვებით ახსნა სიბეცეა. მაგალითად ყოველთვის არგენტი-

» მე-3 გვერდზე

გამოხმაურება



## ცინიკოსებმა შეიძლება თქვან...

საქართველოს ნაკრებზე გამარჯვებამ პატარა კუნძულზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მალტელებს იმდენად ჰყავდათ მიჩვეული ადგილობრივი გულშემატკივრები და მედია წაგებებს, რომ ამ წარმატებას ნაკლებად ელოდნენ. *„მიფსუდის დუბლმა ბუტიგიეგს სადებიუტოდ მოაგებინა"*, - იუწყება მალტური „თაიმსი". *„ჯონ ბუტიგიეგის დებიუტი სამწვრთნელო პოსტზე საუკეთესოდ დაიწყო, მალტის ნაკრებმა „ეროვნულ სტადიონზე" საქართველო 2:0 დაამარცხა. ბუტიგიეგი სულ სამი კვირაა პოსტზე, თუმცა მისმა გუნდმა გუშინ დიდი შემართება გამოავლინა. ცინიკოსებმა შეიძლება თქვან, რომ ჩვენ უმოტივაციო, ამხანაგური მატჩი მოვიგეთ. მაგრამ ამდენი მარცხის შემდეგ ნებისმიერი პოზიტივი დასაფასებელია, საკვალიფიკაციო მატჩების წინ"*, - წერს ჟურნალისტი. **„მალე გამოჯანმრთელდი დუშან, მეჰრბა ჯონ"**, - იუწყებოდა ერთ-ერთი ბანერი ტრიბუნაზე. შეგახსენებთ, რომ **დუშან ფიტცელი** ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგა. „მეჰრბა ჯონ" კი კეთილი იყოს შენი ფეხი ჯონს" ნიშნავს.

*„თამაშის წინ ყველამ დაინახა, თუ როგორ ავიდა ვიპ ტრიბუნაზე ანჯელო დი ლივიო, რომელიც მალტაში საქართველოს ნაკრების, იტალიელთა მომავალი მეტოქის დასაზვერად ჩამოვიდა. სტადიონზე იყვნენ შვედეთის ნაკრების წარმომადგენლებიც, რომლებიც უკვე მალტას სწავლობდნენ".* „თაიმსის" აზრით 2:0-ის შემდეგ ქართველები „შოკირებულები დარჩნენ".

აი, რა განუცხადა ბუტიგიეგმა „თაიმსს": „ძალიან რთული თამაში იყო, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როცა საქართველოს ნაკრები ოდნავ უკეთესი იყო. პირველმა გოლმა საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა. ვფიქრობ, 2:0 დავიმსახურეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში კარგი თამაშის გამო. ფეხბურთელებიდან ვერავის გამოვარჩევ, ყველამ შეიტანა წვლილი წარმატებაში".

მწვრთნელმა არა და „თაიმსმა" კი გამოარჩია საუკეთესოები მალტის ნაკრებში: 7-7 ბალი მიიღეს დუბლის ავტორმა **მიფსუდმა, პეისმა, ბრიფამ** და **ჰოგმა**. ქართველი ფეხბურთელების შეფასებებით „თაიმსს" თავი არ შეუწუხებია. გაზეთმა უბრალოდ აღნიშნა, რომ საქართველოს თამაში დიდად იყო დამოკიდებული „შალკეს" **ლევან ყენიას** აქტიურობაზე.

„დი-ვეს" ჟურნალისტი უფრო შორს მიდის: *„მიფსუდმა დაგვანახვა, რომ მალტას უკეთესი მომავალი აქვს". „ადრე „ტაქალი" რეგულარულად აგროვებდა 16 ათას მაყურებელს. ეს სამი ათეული წლის წინათ იყო, მალტური ფეხბურთის ოქროს ხანაში. ახლა კი სტადიონზე ხალხი თითქმის არ დადის"*, - სწუხს „დი-ვე". *„თამაშამდე ყურადღების ცენტრში ექტორ კუპერი იყო, „ვალენსიას" და „ინტერის" ყოფილი თავკაცი, კამერებიც მხოლოდ არგენტინელისკენ იყო მიბყრობილი. მაგრამ დაიწყო თამაში და მის გუნდზე უკეთ მასპინძლებმაააწყვეს კომბინაციები„.*

„მალტა ინდეპენდენტი" სხვა კოლეგების ოპტიმიზმს არ იზიარებს: *„მეორე ტაიმში დიდმა მონდიინებამ და მიქაელ მიფსუდის ორმა კარგმა დარტყმა მალტის ნაკრების ახალ მწვრთნელს პირველი გამარჯვება მოუტანეს. მაგრამ ილუზიებს არ მივეცეთ - ბევრიც არაფერი შეცვლილა, იგივე სახეები, იგივე სტილის ფეხბურთი, როცა ჩვენი გუნდი ხშირად კარგავს კონცენტრაციას თამაშის განმავლობაში".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოყენება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 გვერდიდან «

ნული ფეხბურთი მომყავს. რამდენიმე წლის წინათ, არგენტინაში საშინელი ეკონომიკური კატასტროფა გადაიტანეს. ამის მიუხედავად, კრიზისი არგენტინულ ფეხბურთზე ვერ აისახა, რადგან ტალანტების აღსაზრდელი ტრადიციული ცენტრები შეუწყვეტლივ მუშაობდნენ. ჩვენთან კრიზისმა რამდენიმე ცენტრი შეიწირა, ბევრს ვერ ვიყენებთ და თაობათა წყვეტამ ცოდნისა და გამოცდილების გარკვეული ნაწილი დაგვაკარგვინა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსია. ტრადიციული საფეხბურთო ცენტრები რომ ვერ შევინარჩუნეთ, ვფიქრობ, დღევანდელი კატასტროფა სწორედ ამის შედეგია. თუმცა, ჩვენ ხომ ის თაობა ვართ, რომელმაც საკუთარი თავლით იხილა დიდი ქართული გუნდი, ვიცით, რომ ფეხბურთი ჩვენი თამაშია და ამიტომ არის მალტასთან, მოლდოვასა და მსგავს ნაკრებებთან წაგება მეტისმეტად მტკივნეული. ამიტომ, თვალების დახუჭვას აზრი აღარ აქვს, ქართული ფეხბურთის გადასარჩენად სწორი სტრატეგიაა შესამუშავებელი.

## ჩვენ უსამართლობისთვის ვისჯებით

### ბესო ზერულაშვილი, მსახიობი

- მოდი, დროებით გვერდზე გადავდოთ საქართველოს ნაკრების მალტაში წაგება. მომხდარს სხვა კუთხით ვაანალიზებ - ქართულ ფეხბურთში სამართლიანობის საკითხი ძალიან მწვავედ დგას. ნებისმიერი ადამიანი და ქვეყანა ისჯებოდა არასწორი საქციელისთვის და ასევეა დღევანდელი ქართული ფეხბურთიც. ის, რაც 13 მაისს ქართულ ფეხბურთში მოხდა, შეუძლებელი იყო, ამას უკვალოდ ჩაევლო და ასეც მოხდა ჩვენდა საუბედუროდ. ღმერთი ხელს ვერ მოგვიმართავს, თუ უსამართლოდ ხარ მოსული, თუ სხვას კუთვნილს ართმევ. ეს არის ცხოვრებისეული კანონი, რომელიც ბევრჯერ დადასტურებულა და აგერ, ახლაც, ჩვენ თვალწინ კიდევ ერთხელ მეორდება. როგორც კი ფედერაციის პრეზიდენტის სკამი მიითვისეს, მაშინვე გულში ცუდად გამკრა, გავიფიქრე - ჩვენი საქმე ცუდად იქნება-მეთქი. ნამდვილად არ ვამტკიცებ, რომ ნოდარ ახალკაცის გარეშე ჩვენი ფეხბურთი უცებ განვითარდებოდა, მაგრამ ახალკაცი მოყვანილი პრეზიდენტია და შეუძლებელია, ფედერაცია დამოუკიდებლად მართოს. არავინ არ თქვას ექტორ კუპერზე, ფეხბურთი არ ესმისო. კაცმა „ვალენსიაში" დიდ წარმატებებს მიაღწია და რომელ უცოდინრობაზეა ლაპარაკი? ჩვენს ფეხბურთს მძიმე მდგომარეობიდან ვერც კუპერი გამოიყვანს და ვერც რომელიმე ჯადოქარი. სანამ ვითარება ძირეულად არ შეიცვლება, რომელ წარმატებას ვითხოვთ? ინფრასტრუქტურა მომსპარია. ახლახან, დასავლეთ საქართველოში ვიყავი და ერთ-ერთი გუნდის ბაზა დავინახე - ფეხბურთელებზე მეტი ძროხა იყო. აბა, ასეთ მოედანზე რომელი მოთამაშე გაიზრდება? ეს ფედერაცია ფეხბურთს ვერ მოაწესრიგებს, გამორიცხულია. მეშინია, უახლოეს პერიოდში არათუ მალტასთან, სან მარინოსა და მსგავს ნაკრებებთანაც არ წავაგოთ. ჩვენ სახლის მშენებლობა სახურავიდან დავიწყეთ და ლოგიკურ შედეგსაც ვიმკით. ყველაფერი კი საიდან დაიწყო? ფეხბურთი საზოგადო საქმეა, მაგრამ მისი საქმეები საფეხბურთო სამყარომ უნდა გადაწყვიტოს. ვინც უფრო ავტორიტეტულია, იმას მიანდონ ფედერაცია. ამორჩეული აქვთ - ეს კარგი მენეჯერია, ის კარგი იურისტია... ავტორიტეტულ ადამიანს კარგი მენეჯერის მოყვანაც შეუძლია და იურისტისაც. მხოლოდ კარგი მენეჯერობა ამ ფეხბურთს რომ



არ შველის, უკვე გამოჩნდა. გული მტკივა, მაგრამ სანამ ქართულ ფეხბურთში სამართალი არ იზეიმებს, მანამდე კარგს არაფერს ველოდები.

**P.S. ახალი ანეკდოტია ასეთი, რამდენიმესიტყვიანი, მაგრამ ტევადი - საქართველოს ნაკრებმა გულშემატკივართა იმედები არ გააწბილა და მალტასთანაც წააგოო. ასეა, ახლა ჩვენი ნაკრებისგან მხოლოდ წაგებას ელიან...**

**მერაბ მამულაშვილი**



ტრანსფერი

# ციმაკურიძე სამი წლით სლოვაკეთში

ქართველი ლეგიონერმა **გიორგი ციმაკურიძემ** გუშინ სლოვაკურ „ჟილინასთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მან გუნდთან ერთადაც მოასწრო ვარჯიში. 25 წლის 184 სანტიმეტრი სიმაღლის უნივერსალი აქამდე ლუგანსკის „ზარიას" ღირსებას იცავდა. შენაძენით გახარებულია „ჟილინას" მთავარი მწვრთნელი **პაველ ჰაპალი:** *„ძალიან დიდი იმედებს ვამყარებით მასზე. გუნდს ესაჭიროება კარგი მარჯვენა მცველი, რომელსაც მარჯვენა ნახევარმცველადაც შეუძლია თამაში. ამიტომაც ავიყვანეთ ციმაკურიძე. იმედია ის გუნდს დაეხმარება, როგორც შინაურ პირველობაზე, ასევე ევროთასებზე".* სლოვაკური კლუბი დღეს, ადგილობრივი დროით 16 საათზე პრესკონფერენციაზე წარადგენს ციმაკურიძეს, რომელსაც პაველ ჰაპალი და კიდევ ერთი ახალწვეული, ფორვარდი **მარტინ ვისკოჩილი** დაესწრებიან. ციმაკურიძეს „ზარიამდე" დონეცკის „შახტარში", მარიუპოლის „ილიჩივეცში" და ალჩევსკის „სტალში" უთამაშია. „ზარიაში" მან სულ 40 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

ქალაქ ჟილინაში, რომელიც ჩეხეთთან მდებარეობს და სიდიდით მეოთხეა სლოვაკეთში, კლუბი „მშკ ჟილინა" 1908 წელს დაარსდა. გუნდი გორგონლიგის ოთხგზის გამარჯვებულია, ბოლო სეზონში „ჟილინა" მე-2 ადგილზე გავიდა. ახლანდელ ჩემპიონატში ციმაკურიძის კლუბი ჯერჯერობით მე-3 ადგილზეა 4 თამაშიდან 10 ქულით. შეგახსენებთ, რომ გორგონლიგაში კიდევ ერთი ქართველი თამაშობს, **ირაკლი ლილუაშვილი** „ნიტრას" ღირსებას იცავს, რომელიც 5 თამაშიდან 11 ქულით მე-2 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს თასი

წილისყრა

## თასი ყაზბეგის აღარაა

გუშინ პროფლიგაში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების 1/16 ფინალის წილისყრა გაიმართა. პროცედურას ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** და საშეჯიბრო სამსახურის უფროსი **ნოდარ კაკულია** უძღვებოდნენ. გუნდები შემდეგი თანმიმდევრობით დაწყვილდნენ:

**25 აგვისტო**

35-ე სკოლა (თბილისი)-მესხეთი (ახალციხე)
იმერეთი (ხონი)-კოლხეთი (ფოთი)
დინამო (ბათუმი)-საჩხერე (საჩხერე)
კოლხეთი (ხობი)-მერანი (მარტვილი)

**26 აგვისტო**

ნორ. დინამოელი (თბილისი)-სიონი (ბოლნისი)
შავი ზღვის უნივერსიტეტი (თბილისი)-სპარტაკი (ცხინვალი)
ჰერეთი (ლაგოდეხი)-ლოკომოტივი (თბილისი)
ადელი (ბათუმი)-ტორპედო 2008 (ქუთაისი)
მერცხალი (ოზურგეთი)-ჭიათურა (ჭიათურა)
გურია (ლანჩხუთი)-ბაია (ზუგდიდი)
მეშახტე (ტყიბული)-სამტრედია (სამტრედია)

**16 სექტემბერი**

დუშეთი (დუშეთი)-გაგრა (გაგრა)

ძირითადი თამაშები 25 და 26 აგვისტოს გაიმართება. გამონაკლისი მხოლოდ „დუშეთი"-"გაგრას" მატჩზე დაუშვეს. ეს მატჩიც 25 აგვისტოს უნდა გამართულიყო, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ „გაგრა" დუშეთში 16 სექტემბერს ჩავა, რადგან 25 აგვისტოს თბილისის „დინამოსთან" ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის გამოტოვებული შეხვედრა ელის.

შეგახსენებთ, რომ თასის 1/16-ფინალური შეხვედრებისგან ევროთასებზე მოასპარეზე კლუბები გაათავისუფლეს. ისინი გათამაშებაში მომდევნო ეტაპიდან ჩაერთვებიან. ამჯერად, სათასო ბატალიები ერთრაუნდიანია და გამარჯვებულის ბედი დაბალრეიტინგიან კალათში განთესილი გუნდების მოედნებზე გადაწყდება. ასევე მოხდება 1/8-ში, 1/4-იდან კი დაპირისპირებები ორმატჩიანი იქნება.

დაბოლოს, ყურადღება მივაქციეთ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე თასის გათამაშების სახელწოდებასა და მისი, ან უკვე ყოფილი გენერალური სპონსორის, „ყაზბეგის" სახელი ველარ აღმოვაჩინეთ. საქმე ისაა, რომ გასული სეზონის შემდეგ პროფლიგასა და კომპანია „ყაზბეგს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. ახალ პოტენციურ სპონსორებთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და თუ ვინ შეცვლის „ყაზბეგს", ეს უახლოეს პერიოდში გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

კოლეგები

# საქართველო-იტალია პირველ არხზე

სექტემბრიდან „პირველი არხზე" სპორტს გაცილებით მეტი დრო დაეთმობა. როგორც ცნობილია, მედიაკომპანია „კოლხიდას" პროექტი „გოლი" ყოველ ორშაბათს 22:00 საათზე გავა ეთერში. კიდევ რა სიახლეებია დაგეგმილი? „პირველი არხის" სპორტულ გადაცემათა პროდიუსერ **დავით მინაშვილის** თქმით, ოქტომბრიდან „გოლს" დაემატება არასაფეხბურთო ნახევარსაათიანი გადაცემაც, სადაც ვრცლად გაშუქდება ქართული სპორტის თემა.

საკალათბურთო მატჩების გამო, არა მხოლოდ „ოლიმპი"-"სამტრედიას" 15 აგვისტოს შეხვედრა, „დინამო"-"ვიტ ჯორჯიას" 22 აგვისტოს მატჩიც 17:00 საათზე დაიწყება, 19:00 საათიდან კი „პირველი არხი" საქართველოს საკალათბურთო ნაკრების თამაშებსაც შემოგვთავაზებს.

მინაშვილის თქმით, არის სურვილი, საფეხბურთო რეპორტაჟები სტაბილურად 18:00 საათზე გადაიცემოდეს, თუკი სტადიონებზე ხელოვნური განათება მოწესრიგებული იქნება. და მნიშვნელოვანი სიახლეც: ამიერიდან, „რუსთავი 2-თან" ერთად, ჩემპიონთა ლიგის მატჩები „პირველი არხის" ეთერშიც გადაიცემა. „პირველი არხს" სამშაბათის შეხვედრებიდან უფრო საინტერესო თამაშის არჩევის უფლება აქვს, „რუსთავი 2-ს" კი - ოთხშაბათის მატჩებიდან.

რაც შეეხება საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მატჩების რეპორტაჟებს - „პირველი არხი" 5 სექტემბერს საქართველოსა და იტალიის ნაკრებთა საკვალიფიკაციო შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს გეგმავს. არ არის გამორიცხული, 9 სექტემბერს რეიკიავიკიდან ისლანდია-საქართველოს ამხანაგური შეხვედრაც ვიხილოთ. ისლანდიელებთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

**მერაბ მამულაშვილი**



ისტორია

# ქართული კლუბები ევროტურნირებზე

ქართული კლუბებისთვის ევროტურნირები კვლავაც ივლის-აგვისტოში დასრულდა; ანუ, ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპები ისევ უჩვენოდ ჩაივლის. ერთი მხრივ, ვერც იმას ვიტყვით, რომ ჩვენმა კლუბებმა წლევანდელ ევროტურნირებზე სამარცხვინოდ იასპარეზეს; უფრო, პირიქით იყო: წინა წლებთან შედარებით აშკარად უკეთესი შედეგი გვქონდა. თუმცა, მეორე მხრივ, ლამის უტოპიადაც გვექცა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი გუნდები ტოლი-ტოლზე ეპაექრონ საშუალოზე ოდნავ მაღალი დონის მეტოქეებს...

ახლა კი გვინდა, ევროტურნირებზე ქართული კლუბების მონაგარი შემოგთავაზოთ; ოღონდ, ამ შემთხვევაში, „ათვლის წერტილად“ 1993 წელი ავირჩიეთ - ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლად რომ გავიდა ევროასპარეზზე.

ყველა მეტოქე, ყველა ქართული გოლი, საუკეთესო ბომბარდირები, დიდი ანგარიშით გამარჯვებები, სარეკორდო ნაგებები და ასე შემდეგ...



1996 წელი. უეფას თასი. დინამო-ტორპედო 1:1. ბურთის მისაღებად ემზადება როინ კერძევაძე. უკანა პლანზე ალექსანდრე იაშვილი

## 1993-94

### ჩემპიონთა თასი

#### (წინასწარი ეტაპი)

დინამო-ლინფილ. (ჩრ. ირ.) 2:1
(შ. არველაძე, ინალიშვილი)
ლინფილდი-დინამო 1:1
(შ. არველაძე)
*(თბილისურ შეხვედრაში თურქი არბიტრების მოქრთამვის გამო „დინამოს“ ნაგება ჩაეთვალა და გათამაშებიდან მოიხსნა)*

## 1994-95

### უეფას თასი

#### (წინასწარი ეტაპი)

დინამო (თბ)-უნივერსიტ. (რუმ.) 2:0
(ქინქლაძე, შ. არველაძე)
უნივერსიტატეა-დინამო (თბ) 1:2
(ყაველაშვილი, ქინქლაძე)
1/32 ფინალი
დინამო-ტიროლი (ავსტრია) 1:0
(რ. არველაძე)
ტიროლი-დინამო (თბ) 5:1
(შ. არველაძე)

## 1995-96

### თასების თასი

#### წინასწარი ეტაპი

ობილიჩი (იუგ.)-დინამო (ბ.) 0:1
(მაჭუტაძე)
დინამო (ბ)-ობილიჩი 2:2
(მაჭუტაძე, ა. მუჯირი)

#### 1/16 ფინალი

დინამო (ბ)-სელტიკი (შოტლ.) 2:3
(მაჭუტაძე, ტულუში)
სელტიკი-ბათუმი 4:0

### უეფას თასი

#### (წინასწარი ეტაპი)

ბოტევი (ბულგ.)-დინამო 1:0
დინამო-ბოტევი 0:1
ვარდარი (მაკედ.)-სამტრედია 1:0
სამტრედია-ვარდარი 0:2

## 1996-97

### თასების თასი

#### (წინასწარი ეტაპი)

ბათუმი-ტორსჰ. (ფარ.) 6:0
(ტულუში-3, უჯმაჯურიძე-2, დავიდსენი -საკუთარ კარში)
ტორსჰავნი-ბათუმი 0:3
(ლლონტი-2, უჯმაჯურიძე)

#### 1/16 ფინალი

ბათუმი-ეინდჰოვენი (ჰოლ.) 1:1
(ა. მუჯირი)
ეინდჰოვენი-ბათუმი 3:0
უეფას თასი (წინ/ეტაპი)
დინამო (თბ)-გრევენ. (ლუქს.) 4:0
(ა. იაშვილი-2, გოგიჩაიშვილი, დემეტრაძე)
გრევენმახერი-დინამო (თბ) 2:2
(კიკნაძე, კერძევაძე)
სლიმა (მალტა)-მარგვ. (ზესტ.) 1:3
(მ. ლონლაძე, ენდელაძე, უკლება)
მარგვეთი-სლიმა 0:3

#### II საკვ/ეტაპი

დინამო (თბ)-მოლდე (ნორვ.) 2:1
(გოგიჩაიშვილი, ა. იაშვილი)
მოლდე-დინამო (თბ) 0:0

#### 1/32 ფინალი

ტორპედო (რუს.)-დინამო (თბ) 0:1
(ჯამარაული)
დინამო (თბ)-ტორპედო 1:1
(ჯამარაული)

#### 1/16 ფინალი

დინამო (თბ)-ბოავიშტა (პორტ.) 1:0
(გოგიჩაიშვილი)
ბოავიშტა-დინამო (თბ) 5:0

### ინტერტოტოს თასი

კოლხეთი (ფ.)-ზემუნი (იუგოს.) 2:3
(ბ. ამბიძე, კიკლიაშვილი);
იარო (ფინეთი)-კოლხეთი 2:0
კოლხეთი-გენგამი (საფრ.) 1:3
(ბ. ამბიძე)
დინამო (რუმინეთი)-კოლხეთი 2:0

## 1997-98

### ჩემპიონთა ლიგა

#### (I საკვ/ეტაპი)

კრუიზეიდ. (ჩრ. ირლ.)-დინამო 1:3
(კიკნაძე, გოგიჩაიშვილი, დ. მუჯირი)
დინამო (თბ)-კრუზეიდერსი 5:1
(ა. იაშვილი-2, დ. მუჯირი-2, ხომერიკი)

#### II საკვ/ეტაპი

ლევერკუზენი (გერ.)-დინამო 6:1
(ა. იაშვილი)
დინამო (თბ)-ლევერკუზენი 1:0
(დ. მუჯირი)

### თასების თასი

#### I საკვ/ეტაპი

დინამო (ბ)-არარატი (სომხეთი) 4:2
(ჩუხუა-2, ლლონტი, შეყილაძე)
არარატი-დინამო (ბ) 0:2
(თორლაშვილი, ი. მახარაძე)
*(ამ გუნდების პირველ შეხვედრაში ბათუმის „დინამოს“ შემადგენლობაში დისკვალიფიცირებულმა ფეხბურთელმა ითამაშა და მასპინძლებს ჩაეთვალათ ნაგება - 0:3)*

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო (ბელარ.)-კოლხეთი (ფ.) 1:0
კოლხეთი-დინამო 2:1
(მიქაბერიძე, ლალანიძე)

#### 1/32 ფინალი

მპკც (ბელარუსი)-დინამო (თბ) 1:1
(დ. მუჯირი)
დინამო-მპკც 1:0
(ალექსიძე)

#### 1/16 ფინალი

ბრაგა (პორტ.)-დინამო 4:0
დინამო-ბრაგა 0:1

### ინტერტოტოს თასი

მერანი 91 (თბ.)-ტორპედო (რუს.) 0:2
ირაკლისი (საბერძნეთი)-მერანი 2:0
მერანი-ფლორიანა (მალტა) 5:0
(ბ. კვარაცხელია-2, ბ. ამბიძე, მაზიაშვილი, დავითაშვილი)
რიდი (ავსტრია)-მერანი 1:3
(მაზიაშვილი, გოდერძიშვილი, ბ. კვარაცხელია)

## 1998-99

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვ/ეტაპი

დინამო (თბ)-ვლაზნია (ალბ.) 1:0
(ხომერიკი)
ვლაზნია-დინამო 3:1
(აშვეთია)
*(„ვლაზნიამ“ პირველ მატჩში დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ათამაშა და ჩაეთვალა ნაგება - 0:3)*

#### II საკვ/ეტაპი

დინამო-ბილბაო (ესპანეთი) 2:1
(ხომერიკი, ცქიტიშვილი)
ბილბაო-დინამო 1:0

### თასების თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

პარტიზანი (სერბ.)-დინამო (ბ) 2:0
დინამო (ბ)-პარტიზანი 1:0
(სიჭინავა)

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

კოლხეთი (ფ.)-ცრ. ზვეზდა (იუგ.) 0:4
ცრვენა ზვეზდა-კოლხეთი 7:0

#### 1/32 ფინალი

ტილბურგი (ჰოლ.)-დინამო (თბ) 3:0
დინამო-ტილბურგი 0:3

### ინტერტოტოს თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ტორპედო (ქ.)-ერებუნი (სომხ.) 6:0
(გ. მეგრელაძე-2, დ. ჯანაშია-2, ვაჩიბერაძე, კვეტენაძე)
ერებუნი-ტორპედო 1:1
(შ. ხუჯაძე)

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ლომელი (ბელგია)-ტორპედო 0:1
(ვაჩიბერაძე)
ტორპედო-ლომელი 1:2
(კვეტენაძე)

## 1999-00

### ჩემპიონთა ლიგა

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო (თბ)-ზიმბრუ (მოლდოვა) 2:1
(ნიტაიშვილი, ხომერიკი)
ზიმბრუ-დინამო 2:0

### უეფას თასი

#### საკვალიფიკაციო ეტაპი

ლანტანა (ესტ.)-ტორპედო (ქ.) 0:5
(ხვადაგიანი, დ. ჯანაშია, იონანიძე, კ. ჩხეტიანი, გ. მეგრელაძე)
ტორპედო-ლანტანა 4:2
(გ. მეგრელაძე-3, იონანიძე).
ლოკომოტ. (თბ)-ლინფ. (ჩრ. ირლ.) 1:0
(ქებაძე)
ლინფილდი-ლოკომოტივი 1:1
(ქებაძე)

#### 1/64 ფინალი

ტორპედო-აეკ (საბერძნეთი) 0:1
აეკ-ტორპედო 6:1
(გ. მეგრელაძე)
ლოკომოტივი-პაოკ (საბერძ.) 0:7
პაოკ-ლოკომოტივი 2:0

### ინტერტოტოს თასი

ცემენტარ. (მაკ.)-კოლხეთი (ფ.) 4:2
(გ. დარასელია, ხუჭუა)
კოლხეთი-ცემენტარნიცა 0:2

## 2000-01

### ჩემპიონთა ლიგა

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ცრ. ზვეზდა (იუგ)-ტორპედო 4:0
ტორპედო-ცრვენა ზვეზდა 2:0
(იმედაძე, დ. ჯანაშია)

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ვიტ ჯორჯია-ბეითარი (ისრ.) 0:3
ბეითარი-ვიტ ჯორჯია 1:1
(ლ. მელქაძე)
სლოვანი (სლო)-ლოკომოტივი 2:0
ლოკომოტივი-სლოვანი 0:2

### ინტერტოტოს თასი

#### I ეტაპი

დინამო-სტანდარდი (ბელ) 2:2
(გოგოლაძე, ზირაქიშვილი)
სტანდარდი-დინამო 1:1
(ზირაქიშვილი)

## 2001-02

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ლინფილდი (ჩ. ირ)-ტორპედო 0:0
ტორპედო-ლინფილდი 1:0
(აშვეთია)

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ტორპედო-კოპენჰაგენი (დან) 1:1
(აშვეთია)
კოპენჰაგენი-ტორპედო 3:1
(ქუთათელაძე)

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო-ბატე (ბლრ) 2:1
(ვ. დარასელია, მიკუჩაძე)
ბატე-დინამო 4:0
ბირკირკარა (მალ)-ლოკომოტივი 0:0
ლოკომოტივი-ბირკირკარა 1:1
(ანჩაბაძე)

### ინტერტოტოს თასი

#### I ეტაპი

ვიტ ჯორჯია-რიდი (ავს) 1:0
(გოგობერიშვილი)
რიდი-ვიტ ჯორჯია 2:1
(ლ. მელქაძე)

#### II ეტაპი

ტრუა (საფ)-ვიტ ჯორჯია 6:0
ვიტ ჯორჯია-ტრუა 1:1
(ლ. მელქაძე)

## 2002-03

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ტორპედო-ბ 36 (ფარ) 5:2
(ასათიანი-2, კვეტენაძე, პოროშინი, იონანიძე)
ბ 36-ტორპედო 0:1
(დ. ჯანაშია)

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

სპარტა (ჩეხ)-ტორპედო 3:0
ტორპედო-სპარტა 1:2
(იონანიძე)

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო-ტვმკ (ესტ) 4:1
(კარლოსი, ვ. დარასელია, შაშიაშვილი-2)
ტვმკ-დინამო 0:1
(ახალაია)
კოპენჰაგენი-ლოკომოტივი 3:1
(ზ. ჯანაშია)
ლოკომოტივი-კოპენჰაგენი 1:4
(ზ. ჯანაშია)

#### I ეტაპი

ლიბერეცი (ჩეხ)-დინამო 3:2
(ვ. დარასელია, ანჩაბაძე)
დინამო-ლიბერეცი 0:1

### ინტერტოტოს თასი

ლოკერენი (ბელ)-ვიტ ჯორჯია 3:1
(დოლიძე)
ვიტ ჯორჯია-ლოკერენი 3:2
(გოჩაშვილი, გ. ყიფიანი, წუწუნავა)

*გაგრძელება მომდევნო ნომერში*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოლანდია-ინგლისი. გამოხმაურება



ფაბიო კაპელო უკმაყოფილოა არ არის...

# მშვიდად განრისხებული კაპელო

**ფაბიო კაპელომ** თავისი გაფხორილი ვარსკვლავები ჰოლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ჩადენილი სისულელეების გამო გემრიელად მიალანძღა. მოგეხსენებათ, ამსტერდამში **რიო ფერდინანდისა** და **გარეთ ბერის** დაუდევრობამ, უფრო ზუსტად, საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს მეტოქისთვის გადაწოდებულმა პასებმა მასპინძელთა ნაკრები პირველსავე ტაიმში 2:0 დააწინაურა. შესვენების შემდეგ შეცვლაზე შესული **ჯერმან დეფოს** ორი საპასუხო გოლი რომ არა, კაპელოს შეგირდებს თავჩაქინდრულთ მოუწევდათ მოედნის დატოვება.

მატჩის შემდგომ იტალიელმა მწვრთნელმა თავისი რამდენიმე ფეხბურთელის გადამეტებული თავდაჯერებულობა სასტიკად გააკრიტიკა:

*„ვუყურებდი და ვატყობდი, რომ ზოგიერთ ეპიზოდში, ბურთის ფლობის დროს, ისინი მეტისმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ. ასეთმა ზღვარგადასულმა თავდაჯერებულობამ კი ხშირად შეცდომები იცის. ჰოლანდიელთა მიერ ჩვენს კარში გატანილი ორივე გოლიც სწორედ სულელური შეცდომის შედეგი იყო. მეტოქეს, რატომღაც, ორი საჩუქარი მივართვით".*

მაგრამ, უკიდურესი აღშფოთებისა და სიბრაზის მიუხედავად შესვენებისას კაპელოს ფეხბურთელებისთვის არ უყვირია. თავად჻ყვება.ასე:

*„გასახდელში ძალიან, ძალიან მშვიდად შევედი და ასევე ვილაპარაკე. ასეთ დროს საჭიროა ზუსტად მიხვდე, რა უნდა გააკეთო, რა იქნება ყველაზე სწორი, შედეგის მომტანი. ყოველთვის ერთი და იგივე, მაგალითად ჩხუბი და ყვირილი არ ივარგებს. ფეხბურთელები უნდა მიხვდნენ, რომ რთულ პერიოდში მწვრთნელი მათ ენდობა და სწამს, რომ ისინი ანგარიშის გათანაბრებას შეძლებენ. ჰოლანდიასთან დაშვებულმა ორმა შეცდომამ ასე ძალიან იმიტომ გამაბრაზა, რომ ასეთი სისულელეების წარმოდგენა ცოტა არ იყოს, ძნელია. რაც შეეხება სხვა, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივ სათამაშო შეცდომებს, მათ გამოსასწორებლად ბევრს ვმუშაობთ და ვიმუშავებთ კიდეც".*

მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრებს სამხრეთ აფრიკის საგზურის მოსაპოვებლად სექტემბერში, შინ, ხორვატიის დამარცხებაღა სჭირდება და დანარჩენ შესარჩევ მატჩებს ფორმალობადღა აქცევს. თუმცა, ხორვატებთან გამარჯვება იოლი საქმე არ არის, მას მებრძოლი სული სჭირდება, რაც ინგლისის ნაკრებმა ჰოლანდიელებთან 2:0 ჩამორჩენის შემდეგ გამოამჟღავნა კიდეც. იტალიელი სპეციალისტი ამ მხრივ კმაყოფილიც იყო:

*„რაც შეეხება ბრძოლისუნარიანობას, თამაშის ხარისხსა და სტილს, რომელიც მეორე ტაიმში გამოვამჟღავნეთ, დასაწუნი არაფერი სჭირდა. გუნდმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ ჩამორჩენის გამოსწორება შეიძლება. მარტო ჰოლანდიაში და ამხანაგურ შეხვედრაში კი არა, ყველგან, ყველა შეჯიბრებასა და შეხვედრაში. ფეხბურთელები უნდა ცდილობდნენ წაგებას არ შეურიგდნენ და მდგომარეობის გამოსწორება სცადონ. დღეს ჩვენ ეს შევძელით და ამსტერდამში მიღებული გამოცდილება სამომავლოდ, ორი აზრი არ არის, ძალიან დაგვეხმარება. რაც მოხდა მნიშვნელოვანი იყო. ეს შეხვედრა უნდა დავიმახსოვროთ და მუდამ მაგალითად გვქონდეს, თუმცა ზოგადად, მირჩევნია, გამოსასწორებლად საქმე არასოდეს გაგვიხდეს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ამხანაგური მატჩები

# გამარჯვების გოლი ხარკეს უძღვნა...

| მაკედონია-ესპანეთი | 2:3 |
| --- | --- |

**ესპანეთი:** რეინა (64. დიეგო ლოპესი) - არბელოა, პიკე, პუიოლი, კაპდევილია (75. მონრეალი) - კასორლა (46. ფაბრეგასი), ჩავი (71. მარჩენა), ჩაბი ალონსო (46. ბუსკეტსი), დავიდ სილვა - ტორესი (63. გუისა), ვილია (46. რიერა).

**გოლები:** 1:0 პანდევი (8), 2:0 პანდევი (32), 2:1 ტორესი (50), 2:2 პიკე (54), 2:3 რიერა (55)

ხუთი გოლი სამ წუთში და ევროპის ჩემპიონი სკოპიედან შინ გამარჯვებული წავიდა, თუმცა მანამდე „ლა ფურია როხამ" გვარიანად ანერვიულა საკუთარი გულშემატკივარი. **ვისენტე დელ ბოსკეს** რჩეულებმა უკვე მე-8 წუთზე გაუშვეს გოლი, „ლაციოს" ფორვარდმა **გორან პანდევმა** ბურთი **ილჩო ნაუმოსკისგან** მიიღო, წინ გამოსულ **პეპე რეინას** გასცდა და ანგარიში გახსნა - 1:0. ბურთს ესპანეთი აკონტროლებდა, მაგრამ მაკედონია და განსაკუთრებით მისი ლიდერი პანდევი სახიფათოდ „იკბინებოდა". სწორედ „ლაციალემ" შეძლო მეორე გოლის გატანა, მან **კარლეს პუიოლი** მოატყუა და რეინას დაბალ კუთხეში გაუტანა - 2:0. ორივე შემთხვევაში პანდევმა ოფსაიდის ზღვარზე ითამაშა.

დელ ბოსკემ შესვენებაზე სამი ცვლილება განახორციელა, **ალბერტ რიერამ** პასიურად მოთამაშე **დავით ვილია** (რომელიც ესპანელთა ბომბარდირია 5 გოლით შესარჩევ ციკლში) შეცვალა, მოედნიდან გავიდნენ **ჩაბი ალონსო** და **სანტი კასორლა**, რომელთა ნაცვლადაც **სერხი ბუსკეტსი** და **სესკ ფაბრეგასი** ვიხილეთ. ცვლილებებმა გაამართლა, თანაც ძალიან მალე: 50-55-ე წუთების შუალედში ევროპის ჩემპიონმა სამჯერ დაამწუხრა მასპინძელთა გოლკიპერი. ჯერ **ჩავის** მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებულს თავი (ლამის კეფა) დაუხვედრა **ფერნანდო ტორესმა**, რომელიც დაცვის ცენტრში უმეთვალყურეოდ დატოვეს სლავთა მცველებმა, შემდეგ ფაბრეგასის უძლიერესი დარტყმა ძელმა უკუაგდო, მაგრამ პირველი ბურთს **ჟერარდ პიკემ** მიუსწრო. დაბოლოს, საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან ალბერტ რიერამ უძლიერესი დარტყმით ესპანეთის ნაკრებს მოაგებინა - 3:2. რიერამ ახლო კუთხეში დაურტყა **იან ნიკოლოსკის**, მაგრამ ბურთი ისეთი სისწრაფით წავიდა კარში, მაკედონიელთა მეკარეს გაშვებულ გოლში ვერ დავადანაშაულებთ.

ამის შემდეგ ესპანელები გადავიდნენ ბურთის კონტროლზე, ისინი ნაკლებად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს, მაკედონია ველარ ყოჩაღობდა, თუმცა მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მასპინძელთა გუნდს მაინც შეეძლო გათანაბრება - **დარკო ტაშევსკის** საჯარიმო დარტყმამ ესპანელთა კარის ხარიხა შეაზანზარა. ევროპის ჩემპიონთა რიგებში დებიუტი ჰქონდათ გოლკიპერ **დიეგო ლოპესს** (ვილიარეალი) და მცველ **ნაჩო მონრეალს** (ოსასუნა).

„ლა როხა" 18 ქულით ლიდერობს მე-5 შესარჩევ ჯგუფს, უახლოეს მდევარს (ბოსნიას) ესპანეთის ნაკრები 6 ქულით უსწრებს. ესპანელები სექტემბერში ბელგიასა და ესტონეთს უმასპინძლებენ და ალბათ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურსაც დაიბევებენ.

გამარჯვების გოლის ავტორმა ლივერპულელმა ალბერტ რიერამ გოლი გასულ კვირაში გარდაცვლილი „ესპანიოლის" კაპიტნის, **დანიელ ხარკეს** ხსოვნას უძღვნა. რიერა ადრე „ესპანიოლში" ხარკეს მხარდამხარ თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ 26 წლის ხარკე მოულოდნელად საწვრთნელ შეკრებაზე გარდაიცვალა იტალიაში:

*„ამ გოლს ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ძალიან მინდოდა გატანა, რომ გოლი ხარკეს ხსოვნისთვის მიმეძღვნა. ეს დღეები მუდამ დანის ტრაგედიაზე ვფიქრობ",* - განაცხადა „ლივერპულის" ესპანელმა ლეგიონერმა. თამაშამდე, ცერემონიალზე, ესპანეთის ნაკრები ხარკეს ნომრით და მაისურზე მისი გვარით გავიდა.

**ვისენტე დელ ბოსკე:** *„მეტოქე ძალზე მონადინებული იყო, რასაც ჩვენს თამაშზე ვერ ვიტყვი. განსაკუთრებით ეს პირველ ტაიმს ეხება, როდესაც მაკედონიამ ჩვენს დაცვას რამდენიმე შეცდომა დააშვებინა. ამიტომ საჭიროა ყველა მეტოქის სათანადო დაფასება. მეორე ტაიმში ბევრი რამ შევცვალეთ, თუმცა აღფრთოვანებას ვერ მივეცემი, მეტოქე აშკარად დაიღალა ფიზიკურად. ვფიქრობ, ესპანეთის ნაკრები ყოველ მატჩში მოსაგებად უნდა გავიდეს მინდორზე. დღეს ძალიან კარგი რეპეტიცია გამოგვივიდა შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რიერამ ეს გოლი ხარკეს ხსოვნას მიუძღვნა

# რუსები პაერში ვერ აიჭრნენ



| რუსეთი-არგენტინა | 2:3 |
| --- | --- |

**არგენტინა:** ანდუხარი - ძანეტი, ბურდისო (46. დიასი), ოტამენდი (46. პაპა), ჰაინცე - მაქსი როდრიგესი (58. დატოლო), მასკერანო, ბოლატი (67. ბატალია), გუტიერესი - აგუერო (63. ლავეცი), მილიტო (46. ლოპესი).

**გოლები:** 1:0 სემშოვი (17), 1:1 აგუერო (45), 1:2 ლოპესი (46), 1:3 დატოლო (59), 2:3 პავლიუჩენკო (78)

*„ხანდახან სჯობს წააგო, რათა ძალიან არ მოწყდე მიწას",* - წერს მატჩის რეპორტაჟში championat.ru-ს კორესპონდენტი **ოლეგ ლისენკო. დიეგო არმანდო მარადონას** გუნდმა მოსკოვში რუსებს ამის საშუალება არ მისცა, თუმცა მატჩი მართლაც სენსაციურად დაიწყო. მე-17 წუთზე **სემშოვი** საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა და ნაკრების მაისურით კარიერაში პირველი გოლი გაიტანა. მარადონას ბიჭებმა რუსთა კინკილა გოლს სამით უპასუხეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **აგუეროს** გოლი მატჩის 45-ე წუთზე, საჯარიმოს გარედან მან ისეთი სიძლიერით დაარტყა, რომ **აკინფეევის** თავგანწირული ნახტომის მიუხედავად, რუსთა გოლკიპერი ოდნავ შეწვდა ბურთს, გოლი მაინც გავიდა - 1:1.

მეორე ტაიმში შესვლაზე შესულებმა იყოჩაღეს, ჯერ **ლოპესმა** (46-ე წთ), შემდეგ კი **დატოლომ** (59) გაიტანეს. რუსებმა მაინც გაიბრძოლეს, 78-ე წუთზე რუსთაგან საუკეთესო **პავლიუჩენკოს** რიკოშეტი დაეხმარა გოლის გატანაში - 2:3. მარადონამ **გუს ჰიდინკს** ამხანაგური დაპირისპირება მოუგო.

**დიეგო მარადონა:** „ჩვენ დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებს მოვუგეთ. რუსეთის ნაკრების ლიდერი არშავინი კი პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელთა შორისაა".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ნაკრები



იტალიელები სკუადრა აძურასგან მეტს ელოდნენ

# უკეთესი აძურა და კანავაროს რეკორდი

„მხოლოდ და მხოლოდ 0:0“, ასე ასათაურებს „გაძეტა დელო სპორტი“ შვეიცარია-იტალიის ამხანაგური პაექრობის მიმოხილვას. აპენინელებს მეტი უნდოდათ, რაც ამ სათაურიდანაც კარგად ჩანს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან კონფედერაციათა თასზე შერცხვენის შემდეგ, „სკუადრა აძურა“ რეაბილიტაციას საჭიროებს. მეტი უნდოდათ, თუმცა მთლად უკმაყოფილოებიც არ დარჩნენ. ბაზელში იტალიამ მთლიანობაში ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა და ჟურნალისტებმაც კრიტიკისთვის ვერ გაიმეტეს. ყოველ შემთხვევაში, „აძურა“ თამაშობდა, ფეხბურთელები მოძრაობდნენ და არ იდგნენ ისე, როგორც სამხრეთაფრიკულ მინდვრებზე.

მიუხედავად ამისა, წუნი მაინც ბევრი იყო და სამართალიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნაგებას არც შვეიცარიელები იმსახურებდნენ. მოკლედ, ფრე ლოგიკური შედეგი გახლდათ, მით უმეტეს, რომ მატჩის გმირები კიპერები გახდნენ. **ჯანლუიჯი ბუფონმაც** და **დიეგო ბენალიომაც** ბრწყინვალე შეხვედრები ჩაატარეს და გუნდები არაერთხელ იხსნეს გაშვებული გოლისგან. ერთხელ შვეიცარიელთა კარის ბადე მაინც შეირხა, თუმცა მატჩის არბიტრმა **ალბერტო ჯილარდინოზე** თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ასე გაუუქმეს **ჯორჯო კიელინის** გოლი - არ გაგიკვირდეთ, სწორედ ოფსაიტში მყოფი ჯილასგან მიუვიდა ჯორჯოს „საგოლე“ გადაცემა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლაინსმენმა ყველაფერი ზუსტად განჭვრიტა და გოლი სამართლიანად გააუქმა.

და მაინც, ვინ გამოირჩა შვეიცარიელებთან პაექრობაში? - პირველ რიგში, ეს დებიუტანტებზე ითქმის. იტალიური მედია **დომენიკო კრიშიტოს** და **კლაუდიო მარკიზიოს** საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს. არც ერთს ეტყობოდა, რომ პირველად ემოსა ეროვნული გუნდის ამუნიცია, ძალიან თავდაჯერებულად ითამაშეს და გუნდს ახალი ენერგია შესძინეს. დიახ, ენერგია, ის, რაც აფრიკაში „აძურას“ ასე ძალიან აკლდა. კრიშიტომაც და მარკიზიომაც დინამიკა შეიტანეს იტალიის ნაკრების თამაშში, უფრო მობილური გახადეს გუნდი და ეს, მატჩის შემდეგ, ჟურნალისტების გარდა, ექსპერტებმაც აღნიშნეს. საგულისხმოა, რომ იტალიელთაგან გოლის გატანის ყველაზე რეალური შესაძლებლობა სწორედ ერთ-ერთ დებიუტანტს, მარკიზიოს ჰქონდა. კლაუდიო ერთი-ერთზე დარჩა მეკარე ბენალიოსთან, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში შესცოდა.

კარგი იყო **ჯუზეპე როსი** და ეს უკვე აღარავის უკვირს. როდესაც დინამიკაზე და ენერგიულობაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში ალბათ ეს ფეხბურთელი უნდა გავიხსენოთ. შეხვედრის ცალკეულ ეპიზოდებზე არ შევჩერდებით, რადგან ეს ნაკლებად საინტერესო გვგონია, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ „ვილიარეალის“ ფორვარდის მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან მაღალი გახლდათ. კიდევ ვინ შეიძლება შევაქოთ? - ჯანლუიჯი ბუფონი, თუმცა მასზე ზემოთაც ვთქვით. ჯიჯი შეხვედრის გმირია და ამით ყველაფერია ნათქვამი. მიუხედავად იმისა, რომ მისი კარი ნამდვილად არ დაუბომბავთ - როდესაც საჭირო იყო, გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა. სწორედ ეს გახლავთ მაღალი კლასი, საჭირო მომენტში გუნდის გადარჩენა უნდა შეგეძლოს.

სხვა მხრივ, განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა. **ვინჩენცო იაკვინტამ** ტრადიციულად ბევრი იბრძოლა და ნაყოფიერადაც გაისარჯა. თუმცა, იტალიაში უკვე ბევრს ხუმრობენ იაკვინტაზე და მის ნაყოფიერებაზე. ამ ერთი შეხედვით მოუქნელ ფორვარდს **მარჩელო ლიპი** ძალიან ენდობა და ყოველთვის იძახებს ეროვნულ ნაკრებში. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ „აძურაში“ შედეგიანობით არც არასდროს გამოირჩეოდა. აგერ სტატისტიკაც: 32 შეხვედრა ცისფერი მაისურით და მხოლოდ და მხოლოდ ოთხი გოლი. გამტანი მცველის შედეგიანობაა, რომელიც სტანდარტული სიტუაციებისას მეტოქის საჯარიმოში ჩადის - ანაც ჩამშლელი ნახევარმცველის, რომელიც აქა-იქ შორიდან გაისვრის. მხოლოდ არა თავდამსხმელის, ფორვარდისთვის ოთხი გოლი ნამდვილად ცოტაა. მაგრამ, იტალიელ მწვრთნელებს რას გაუგებ, იაკვინტა სათამაშო სქემაში ჯდება და ის უთუოდ გაემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატზე. ყოველ შემთხვევაში, დღეს ვინჩენცო შეგვიძლია ლიპის ფავორიტ თავდამსხმელად ჩავთვალოთ.

გავაგრძელოთ - ტრადიციულად, ბევრი ირბინა **სიმონე პეპემ**, თუმცა ამ შემთხვევაში, მარგი ქმედების კოეფიციენტი არც, თუ მაღალი ჰქონდა. არადა, კონფედერაციათა თასზე ნორმალურად გაისარჯა და იმავე ბრაზილიასთან თამაშს თუ გავიხსენებთ, როსისთან ერთად, აშკარად გამოირჩეოდა თანაგუნდელებისგან. როგორც წესი, ბევრს იბრძვის **ალბერტო ჯილარდინო** და გამონაკლისი არც შვეიცარიული პაექრობა ყოფილა. თუმცა, ისევე როგორც „აძურას“ მაისურით გამართულ სხვა შეხვედრებში, ვერც ოთხშაბათის პაექრობაში გაიბრწყინა. მოკლედ, ალბერტოც თავის სტიქიაში იყო და რადგან ფეხბურთელებმა ასე უერთგულეს თავ თავიანთ ჩვევებს, ისიც ვთქვათ, რომ **მაურო კამორანეზიმ** მორიგი ტრავმა მიიღო. ბოლო ორი წელია მაურო პერმანენტულად ჩნდება მოედანზე, შემდეგ ტრავმას იღებს და კვლავაც ლაზარეთს უბრუნდება.

ორიოდე სიტყვა დაცვის ხაზზეც ვთქვათ. მთლიანობაში, უკანახაზელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ ასპექტში. განსაკუთრებული ყურადღება **ფაბიო კანავაროსკენ** გახლდათ მიმართული, რომელმაც თავისი 127-ე მატჩი გამართა „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში და ამით, **პაოლო მალდინის** რეკორდი დაამხო. კაპიტანს კონფედერაციათა თასის შემდეგ უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდა, ბევრმა მას სანაკრებო კარიერის დასრულებისკენაც კი მოუწოდა. ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა თუ როგორ იასპარეზებდა კანა შვეიცარიელებთან. მთლიანობაში, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თავისი ზონა გადაკეტა და რამდენჯერმე, **ჯორჯო კიელინიც** დროულად დააზღვია. თავის მხრივ, კარგი იყო კიელინიც, ალბათ ერთ-ერთი საუკეთესოც გახლდათ ორივე გუნდის შემადგენლობაში. მაგალითად, goal.com-მა მას რვა ბალი დაუწერა, რითაც ფაქტობრივად მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ოდნავ განსხვავებული შეფასებები აქვთ იტალიურ გამოცემებს, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ ჯორჯომ ძალიან კარგად ითამაშა. დაცვის ხაზში ერთადერთი სუსტი წერტილი **ჯანლუკა ძამბროტა** გახლდათ - თავი ვერაფრით წარმოაჩინა და საკმაოდ დაბალი შეფასებები დაიმსახურა. იგივე goal.com-ი 5.5 ბალით შემოიფარგლა. უკეთესად ითამაშა **დივიდე სანტონმა** და დიდია შანსი, უკვე თბილისში მარჯვენა ფრთა მას ჩააბარონ.

შესაძლოა, მთლად თანმიმდევრულად ვერ მივყევით „აძურას“ შემადგენლობას და არც მატჩის ეპიზოდების დეტალური აღწერა შემოგთავაზეთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საერთო სურათი მაინც გამოიკვეთა. ნათელია, რომ იტალიის ნაკრების ღრმა კრიზისზე ლაპარაკი ნაადრევია და ამ გუნდს ყოველთვის შეუძლია უკეთესობისკენ შეიცვალოს - ლიპის დიდი რეზერვი აქვს და ეს ცხადზე უცხადესია.

იმავე აზრის გახლავთ ფაბიო კანავარო, ვინაც მატჩის შემდეგ უმალ მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს არც არის გასაკვირი, კაპიტანმა ხომ სარეკორდო, 127-ე შეხვედრა გამართა იტალიის ნაკრების ამუნიციით.

*„მიჭირს იმის გაცნობიერება, რომ იტალიის ნაკრების მაისური ყველაზე მეტჯერ მაქვს მორგებული. ეს უდიდესი პატივია, რადგან „სკუადრა აძურაში“ უამრავ დიდ ფეხბურთელს უთამაშია. ბავშვობაში იმაზე ვოცნებობდი, რომ ერთხელ მაინც მომერგო ნაკრების ფორმა, დღეს კი სულაც რეკორდსმენი მქვია. თანაც, თვით პაოლო მალდინის გადავასწარი, მოთამაშეს, რომელიც ეტალონია ჩემთვის და თითოეული ფეხბურთელისთვის. უზომოდ ამაყი ვარ, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ მალე ჩემს მაჩვენებელსაც გააუმჯობესებენ. რაც შეეხება იტალიის ნაკრების თამაშს, ვფიქრობ, რომ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დავტოვეთ. როდესაც საკუთარ შესაძლებობებს ვავლენთ, ჩვენი დამმარცხებელი გუნდი არ მოიძებნება“- თქვა ფაბიომ.*

მილანი

# კალაჩი წავიდა, რომა მივიდა

## ბექჰემი ისევ აქტუალურია

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ „მილანის“ სამწვრთნელო შტაბი **ჟელკო კალაჩთან** გამოთხოვებას აპირებდა. ასეც მოხდა, ავსტრალიელმა კიპერმა მოსამზადებელ ეტაპზე თავი ვერაფრით წარმოაჩინა და **ლეონარდომ** მის სამსახურზე უარი განაცხადა. ოთხი მეკარე აშკარად ზედმეტი იყო, კალაჩის წასვლით კი თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა. თუმცა, მოულოდნელად **ნელსონ დიდას** გაურთულდა ტრავმა და ექიმებმაც საკმაოდ არასასიამოვნო ვერდიქტი გამოიტანეს - ბრაზილიელს მუხლი აქვს სამკურნალო და მინიმუმ თვე ნახევარი ვარჯიშის განახლებასაც ვერ მოახერხებს. დიდა ისედაც ასაკშია, ბოლო წლებში ტრავმებმა გატანჯა და არ არის გამორიცხული, კარიერის დასრულებამაც კი მოუწიოს.

შესაბამისად, გაჩნდა კიდევ ერთი მეკარის საჭიროება და „მილანელებმა“ კანდიდატურას ძალიან მალე მიაგნეს. „მონაკოდან“ „როსონერის“ 35 წლის გამოცდილმა მეკარემ **ფლავიო რომამ** მიაშურა. იტალიელი კარის დარაჯი ფრანგულ კლუბში 2001-09 წლებში ასპარეზობდა, ამ ხნის განმავლობაში 247 შეხ-



ფლავიო რომა მილანში ითამაშებს

ვედრაში მიიღო მონაწილეობა და მაღალი კლასის კიპერის სახელიც დაიგდო. რომა სამჯერ ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს. „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, მეკარემ ახალ კლუბთან ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია **როისტონ დრენტეს** „რეალიდან“ „მილანში“ შესაძლო გადაბარგების შესახებ. „მილანის“ მესვეურებს მარცხენა ფრთის გაძლიერება სურთ და ჰოლანდიელს ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავენ. თუ „გაძეტას“ ვენდობით, ლაპარაკია ერთწლიან არენდაზე, რომელიც იტალიურ კლუბს დაახლოებით ორი მილიონი ევრო დაუჯდება. წლის თავზე, „როსონერის“ ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება ექნება და სურვილის შემთხვევაში, შვიდრვა მილიონ ევროსაც გადაიხდის. უახლოეს დღეებში, მხარეები საქმიან შეხვედრას გამართავენ და სავარაუდოდ, ყველა პირობას შეათანხმებენ.

აქვე, ორიოდე სიტყვა **დევიდ ბექჰემზეც** ვთქვათ. **ფაბიო კაპელომ** პრესასთან განაცხადა, რომ თუ დევიდი ლოს ანჯელეს „გალაქსიში“ დარჩა, მუნდიალზე მოხვედრის საკმაოდ მცირე შანსი ექნება. ამის თქმა იყო და, თავად ფეხბურთელმა გამოთქვა „მილანში“ დაბრუნების სურვილი. ინგლისელმა ნახევარმცველმა პირდაპირ თქვა, რომ ყველაფერს ილონებს იანვარში ლომბარდიულ გრანდში დასაბრუნებლად. რაც მთავარია, ბექჰემის შავ-წითელი მაისურით ხილვა „როსონერის“ მესვეურებსაც სურთ - **ადრიანო გალიანი** ამ საკითხზე აქედანვე აპირებს მუშაობის დაწყებას.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგური ბიზნესი

# მთლად არ ენდობიან

„ბირმინგემის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ჰონგკონგელი ბიზნესმენის **კარსონ იეუნგის** კომპანიამ კლუბის ყიდვა მოინდომა და შესაბამისი ოფიციალური წინადადებითაც მიმართა. კომპანიას, რომელსაც ჰქვია Grandtop International Holdings ბირმინგემელთა აქციების 29,9 პროცენტი 2007 წლიდან აქვს, მაგრამ მაშინ, ორი წლის წინ მან საკონტროლო პაკეტის შეძენა ვერ მოახერხა. ამასთან დაკავშირებით კლუბმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც წერია:

*„ყველა მენილემ უნდა იცოდეს, რომ ადრინდელი წინადადებების გამეორება არ შეიძლება. ხოლო ის, თუ როგორ უპასუხებს „ბირმინგემი" ამა თუ იმ შემოთავაზებას, პროექტის დაფინანსებაზე იქნება დამოკიდებული. კლუბის დირექტორატმა წაიკითხა ბოლო ხანს პრესაში გავრცელებული ინფორმაცია და გადაწყვიტა, მათი სიმართლე დაადასტუროს. „ბირმინგემმა" მართლაც მიიღო ოფიციალური წინადადება Grandtop International Holdings-ისგან, თუმცა თავისთავად წინადადების შემოტანა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს კომპანია კლუბის საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდება. Grandtop-ი დღეისათვის „ბირმინგემის" აქციათა 29,9 პროცენტის მფლობელია. ეს აქციები კომპანიამ 2007 წლის დეკემბერში შეიძინა. თუ რაიმე სიახლე იქნება, კლუბის ხელმძღვანელობა საზოგადოებას დაუყოვნებლივ შეატყობინებს".*

როგორც ატყობთ, პრემიერლიგაში ახალდაბრუნებული კლუბი ჰონგკონგელ ბიზნესმენს ერთგვარი სიფრთხილით ხვდება. საქმე ის გახლავთ, რომ ბირმინგემელთა თავმჯდომარეს **დევიდ გოლდსა** და თანამფლობელ **დევიდ სალივანს** ჯერ კიდევ 2007 წელს სურდათ, იეუნგს მეტი გაბედულება და სიცხადე გამოეჩინა და კლუბი მათგან სრულიად გამოესყიდა, მაგრამ როდესაც შეატყვეს, რომ Grandtop-ის შეფი ბოლომდე თავადაც არ იყო გარკვეული მერე რა უნდა ექნა კლუბისთვის, მოლაპარაკებები შეაჩერეს. გოლდი სწორედ იეუნგს აბრალებს იმას, რომ „ბირმინგემის" მაშინდელმა მწვრთნელმა **სტივ ბრიუსმა** ფეხი დაჰკრა და 2007 წლის ნოემბრის თვეში „უიგანში" გადავიდა. ბრიუსის ხელმძღვანელობით „უიგანი" პრემიერლიგაში ალზევდა, მაშინ როდესაც მისმა შემცვლელმა **ალექს მაკლიშმა** „ბირმინგემი" პრემიერლიგიდან ჩემპიონატში გააგდო.

საინტერესოა ისიც, რომ 2007-ში ჰონგკონგელ ბიზნესმენს კლუბის საკონტროლო პაკეტის შესაძენად ვადა 21 დეკემბრამდე ჰქონდა, მაგრამ კლუბმა არ აცალა და საფონდო ბირჟაზე წინა დღეს, 20 დეკემბერს შეიტანა განცხადება, რომლის თანახმადაც Grandtop International Holdings-ს შესაბამისი უფლება ერთმეოდა.

მაკლიშმა 2009 წელს „ბირმინგემი" კვლავ დააბრუნა პრემიერლიგაში.

**ილია ბაბუნაშვილი**



კარსონ იეუნგი

ამხანაგური მატჩები

# მატჩი, რომელიც ამხანაგურს არ ჰგავდა

**ესტონეთი–ბრაზილია 0:1**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი - მაიკონი (60. ალვეში), ლუსიო (68. მირანდა), ლუიზაო, ანდრე სანტოსი - ფელიპე მელო, კლებერსონი (38. ელანო), ჟილბერტო სილვა, კაკა (60. ბაპტიშტა) - რობინიო (60. ტარდელი), ლუიშ ფაბიანო (66. ნილმარი).

გოლი: 0:1 ლუიშ ფაბიანო (43)



რა დრო დადგა - ესტონეთის ნაკრები ბრაზილიასთან ლამის ტოლსწორად თამაშობს და საქართველო ყველა მაჩვენებლით აგებს ჯუჯა მალტასთან. რას ვიზამთ, ასეთი დღევანდელი რეალობა. „სელესაო" ტალინის „ლა კოქ არენას" ეწვია და მხოლოდ 1:0 მოუგო ესტონეთის ნაკრებს. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ერთადერთხელ შეძლეს მასპინძელთა კარის დალაშქვრა, ეს პირველ ტაიმში **ლუიშ ფაბიანომ** მოახერხა. ამხანაგური მატჩი ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის დაარსების 100 წლისთავს მიეძღვნა. ბრაზილიის ნაკრებმა კონფედერაციათა თასის მოგების შემდეგ პირველად ითამაშა. სათანადოდ ვერ ითამაშა ბრაზილიელთა სუპერვარსკვლავმა **კაკამ**, რომელსაც სათამაშო პრაქტიკა აკლია. ესტონეთის ნაკრები, რომელიც რეიტინგში 112-ეა, ხანდახან საკმაოდ სახიფათოდ უტევდა. ორჯერ მიზანთან ახლოს იყო **კონსტანტინ ვასილიევი. დუნგას** გუნდი 43-ე წუთზე ლუიშ ფაბიანომ მას შემდეგ დააწინაურა, რაც მან ესტონელ მცველთა მოდუნებით ისარგებლა საჯარიმოში, შეტევა კი **ლუსიომ** წამოიწყო.

დუნგამ მეორე ტაიმში ბევრი ცვლილება განახორციელა, მინდორზე მან „ატლეტიკო მინეიროს" ფორვარდი **დიეგო ტარდელი** გამოიყვანა, რომლისთვისაც ეს შეხვედრა სადებიუტო იყო ეროვნული ნაკრების მაისურით. მეორე ტაიმის მე-3 წუთზე **ფელიპე მელომ** შესანიშნავი საგოლე მომენტი გაანიავა. ეს თამაში ამხანაგურს ნაკლებად ჰგავდა, რადგან ესტონელები ბევრჯერ გადასცდნენ ზღვარს, რომლის იქითაც უხეშობაა. მატჩის მიწურულს მასპინძლებმა **ნილმარი** საჯარიმოში წააქციეს, თუმცა მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. კაკამ და ლუიშ ფაბიანომ „ტვ გლობოსთან" დაიჩივლეს, რომ ესტონელები ძალზე უხეშობდნენ, რომ მათ სპეციალურად სურდათ ბრაზილიელი ვარსკვლავებისთვის ტრავმა მიეყენებინათ. მართლაც, პირველივე ტაიმში **კლებერსონმა** ტრავმის გამო დატოვა მოედანი.

**დუნგა:** *„ჩვენი უპირველესი მიზანი იყო, თამაში ისე ჩაგვემთავრებინა ტრავმა არავის მიეღო. ფეხბურთელთა უმეტესობა ნაკრებში მათი კლუბების წინასასეზონო შეკრებებიდან გამოცხადდა. მათ არ აქვთ სათამაშო პრაქტიკა. გამარჯვება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რათა გუნდში მაღალი განწყობა შევინარჩუნოთ".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰერტა

# დაბრუნდება ვორონინი ბერლინში?

რამდენიმე დღეა, რაც „ჰერტას" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **ლუსიომ** (30 წლის, კონტრაქტი 2011 წლამდე) შეიტყო, რომ ბერლინელებს მისი განათხოვრება უნდათ და მიაჩნია, რომ ეს მისდამი უპატივცემულობაა. ლუსიო ფიქრობს, რომ მთავარ მწვრთნელ **ლუსიენ ფავრს** მისთვის ჯერ კიდევ შვებულებამდე უნდა ეთქვა, რომ ახალ სეზონს მის გარეშე გეგმავდა. ლუსიოს განაწყენების მიზეზი ის არის, რომ ერთი თვის წინ მისით „ფლუმინენსე", „კორინთიანსი" და „პორტო ალეგრე" იყვნენ დაინტერესებულები. *„ფაქტია, სანამ „ჰერტას" მწვრთნელი ფავრია, ამ გუნდში აღარასოდეს ვითამაშებ!"* - უთხრა განაწყენებულმა ლუსიომ „კიკერს".

ლუსიო უნდა წავიდეს, ისევე, როგორც **ბრაიან არგესი**, რომელსაც სავარაუდოდ „შარლერუაში" გაანათხოვრებენ. ბერლინიდან უნდა აიბარგოს 28 წლის მცველი **კაკაც**. უკვე წავიდა ტუნისელი თავდამსხმელი **ამინ ხერმიტი**, რომელიც „ჰერტამ" „ალ იტიჰადში" გაანათხოვრა. ბერლინელებმა მის სანაცვლოდ არენდის ფული 900000 ევრო მიიღეს და გარდა ამისა, ხერმიტისთვის გადასახდელ ხელფასსაც (800000 წელიწადში) ზოგავენ. აპრილში ფავრმა ხერმიტის (თავის დროზე „ჰერტამ" ეს მოთამაშე 2.2 მილიონად იყიდა) მომავლის თავდამსხმელი უწოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ტუნისელმა იმედები ჯერ ვერ გაუმართლა. მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი** ამბობს, ხერმიტის იმედი გვაქვს, მაგრამ ახლა სათამაშო პრაქტიკა სჭირდებაო.

მის ნაცვლად კი, ბერლინელებმა ახალი თავდამსხმელი უნდა გადაიბირონ. ერთი წლის წინ „ლივერპულიდან" არენდით აყვანილი და ახლა იქვე დაბრუნებული **ანდრეი ვორონი** ბერლინში დღემდე არ დავიწყებიათ. „ლივერპული" „ჰერტას" ვორონინს არენდით შარშანაც არ აძლევდა, რადგან მერსისაიდელებს უკრაინელი თავდამსხმელის გაყიდვა სურდათ, მაგრამ დაინახეს რა, რომ ვერ ყიდდნენ, არენდით დათმეს. ახლაც ასეთივე სიტუაცია. „კიკერის" ცნობით, **რაფა ბენიტესი** ფავრს შეჰპირდა, თუ ვერ გავყიდით, სხვას არავის ვათხოვებთ, მხოლოდ „ჰერტასო" და ბერლინშიც იმედი აქვთ, რომ უკრაინელს არავინ იყიდის. თვითონ „ჰერტა" ვორონინის საყიდლად 4 მილიონ ევროს ვერ იმეტებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ვოლფსბურგი



ობაფემი მარტინსი ვოლფსბურგში ადგილის დამკვიდრებას ცდილობს

# მარტინსი: ძირითადში მინდა!

„ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა თავიანთი ბოლო ახალწვეულის, **ობაფემი მარტინსის** წარდგენისთვის გუშინწინლა მოიცალეს – არადა, კვირაზე მეტია, რაც ნიგერიელი გუნდში ირიცხება. თუმცა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა ოთხშაბათს 24 წლის მარტინსი საგანგებო პრესკონფერენციაზე ოფიციალურად წარადგინა. „ნიუკასლიდან" გადმოსულმა თავდამსხმელმა გულწრფელად თქვა, აქ იმიტომ არ ჩამოვსულვარ, რომ სათადარიგოთა სკამი ვხეხო, არც **გრაფიტესი** ან **ჯეკოსი** მეშინია, სასტარტო შემადგენლობისთვის ვიბრძვიო.

*„ვიცი, რომ ედინ ჯეკო და გრაფიტე ძალიან მაღალი დონის თავდამსხმელები არიან, რაც მათ თუნდაც წინა სეზონში დაადასტურეს, როცა პირველმა 26 გოლი გაიტანა, მეორემ კი - 28. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თავის გამოჩენის შანსი ყველას უნდა მიეცეს და მჯერა, მიეცემა კიდეც. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „ვოლფსბურგის" ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო და ძალიან ბევრი გოლი გავიტანო,"* - ამ სიტყვებით წარდგა მარტინსი ჩვენი გერმანელი კოლეგების წინაშე.

ბუნდესლიგის პირველ ტურში მარტინსს არ უთამაშია, „მგლების" მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეემ** ისევ გრაფიტე და ჯეკო ათამაშა. აღსანიშნავია, რომ გრაფიტემ გოლთა აქტივი გახსნა. მეორე ტაიმში „ვოლფების" ქომაგები მოედანზე მარტინსის გამოჩენას ელოდნენ, მაგრამ ფეემ თამაშში სხვა ფორვარდი, **ალექსანდერ ესვაინი** ჩართო.

*„იმ მომენტში მარტინსის შეყვანა საჭიროდ არ მივიჩნიე. თუმცა ობაფემი ძალიან კარგ ფორმაშია და ნებისმიერ დროს შეუძლია მოედანზე შესვლა,"* - აცხადებს ფეე. ასე რომ, მარტინსი ახლა მომავალი შაბათისთვის ემზადება – მეორე ტურში „მგლები" „კიოლნს" სტუმრობენ. მარტინსს „ვოლფსბურგთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული.

**გოტფრიდ ლენცი**

ჰოფენჰაიმი

# პრინსი გულის პრობლემებით

## განელს ჰაიდელბერგში უთხრეს, თუ ითამაშებ, მოკვდებიო

„ჰოფენჰაიმმა" გუნდის ახალწვეულს, 22 წლის განელ თავდამსხმელ **პრინს ტაგოს** სასწრაფოდ კონტრაქტი გაუწყვიტა. საქმე იმაშია, რომ ფორვარდს გულის პრობლემები აღმოაჩნდა. არადა, პირველმა სამედიცინო შემოწმებამ უპრობლემოდ ჩაიარა, რის შემდეგაც სოფლელებმა ტაგოს კონტრაქტი გაუფორმეს, მაგრამ იმის გამო, რომ მომდევნო ვარჯიშზე უალრესად გადაღლილის შთაბეჭდილება დატოვა, „ჰოფენჰაიმის" ექიმებმა ის კიდევ ერთხელ შეამოწმეს, რის შემდეგაც დადგინდა, რომ ტაგოს გულის სერიოზული პრობლემები აქვს და რომ მისთვის ფეხბურთის თამაში არ შეიძლება.

*„ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენს თავზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ და პრინს ტაგოს ვერ ვათამაშებთ. პრობლემები იმდენად სერიოზულია, რომ მოედანზე გატარებული ნებისმიერი წუთიც კი, შესაძლოა, მისთვის ფატალური შედეგით დასრულდეს. ძალიან გვიმძიმს და ვიცით, რომ განელ ფეხბურთელს კარიერის გაგრძელება უნდა, მაგრამ თავს ამის უფლებას ვერ მივცემთ,"* - განაცხადა „ჰოფეს" გენერალურმა მენეჯერმა **იან შინდელმაიზერმა**.

„სოფლელებმა" 22 წლის განელის მდგომარეობის შესახებ უკვე გერმანიის საფეხბურთო ლიგასაც აცნობეს, უეფასაც და ფიფასაც. ჰაიდელბერგში ჩატარებული გამოკვლევის დასკვნის შედეგად, პრინს ტაგო ფეხბურთისთვის აღარ გამოდგება!

**გოტფრიდ ლენცი**

აღიარება

# THE TIMES: ყველაზე მაგარი სტადიონი დორტმუნდშია!

გამოცემა The Times-მა მსოფლიოს ულამაზეს სტადიონად დორტმუნდის „ბორუსიას" არენა დაასახელა. ხსენებულმა გაზეთმა მსოფლიოს ათი ულამაზესი სტადიონის რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც „ბორუსიას" „ვესტფალენშტადიონი", რომლის სახელიც ოთხი წელია, გაყიდულია და „სიგნალ იდუნა პარკი" ეწოდება, პირველ ადგილზეა. The Times-მა მეორე ადგილზე მილანის „სან სირო" გაიყვანა, მესამეზე კი ლივერპულის „ენფილდი".

*„დორტმუნდის სტადიონი ნამდვილი კლასიკაა. ნებისმიერი ტრიბუნის ნებისმიერი რიგიდან მოედანს იდეალურად ხედავ. ეს არენა ფეხბურთისთვის და ფანებისთვისაა აშენებული. ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ყველა ევროტურნირის ფინალს დორტმუნდში ჩავატარებდით,"* - ვკითხულობთ ხსენებულ გაზეთში.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგური ეკონომიკა

# ერთი რონალდოს ჭყივილი...



რიჩარდ სკუდემორი

პრემიერლიგის ალმასრულებელი შეფი **რიჩარდ სკუდემორი** დარწმუნებულია, რომ **კრისტიანო რონალდოს** ინგლისიდან ესპანეთში გადაბარგება სულაც არ ნიშნავს, რომ პორტუგალიელს სხვა ვარსკვლავებიც მიჰბაძავენ და საუკეთესო ინგლისური გუნდებიდან გადინება დაიწყება.

საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც რონალდომ „მანჩესტერ იუნაიტედი" დატოვა და 80 მილიონ ფუნტად, ანუ 132 მილიონ დოლარად მადრიდის „რეალში" გადავიდა, ბევრმა მართლა იფიქრა, რომ ამით პრემიერლიგის ვარსკვლავებისგან დაცლას დაედებოდა სათავე. მიზეზი: შესუსტებული ფუნტი და გაზრდილი საშემოსავლო გადასახადი. მაშ, რალატომ უნდა ყოფილიყო ინგლისში თამაში, ეკონომიკური თვალსაზრისით, უცხოელი ვარსკვლავებისთვის მიმზიდველი? მაგრამ სკუდემორი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და ამბობს, რომ პრემიერლიგაში დღეს შექმნილი მდგომარეობა ძალიან აგონებს იმას, რაც 2003 წელს **დევიდ ბექჰემის** იმავე „რეალში" გადასვლის დროს იყო.

*„სრულ სიმშვიდეს ვინარჩუნებ, რადგან ფეხბურთში ესა თუ ის ფეხბურთელი ერთი ადგილიდან მეორეში ყოველთვის გადადის, ეს სახეობის შემადგენელი ნაწილია. რასაკვირველია, ყოველთვის სჯობს, როდესაც ვილაც ახალი შენთან ჩამოდის, ასეთ დროს მოლოდინი და მღელვარება მეტია, მაგრამ ფეხბურთელები მიდიან კიდეც. თუმცა, მანამდე, სანამ ჩვენს ლიგაში გამორჩეული ვარსკვლავები თამაშობენ, - და მერწმუნეთ, პრემიერლიგაში ასეთი მრავლადაა - ცალკე აღებული ერთი შემთხვევა არაფერს ნიშნავს. სულ სხვა გუნებაზე ვიქნებოდი ორი წლის განმავლობაში ასობით კრისტიანო რონალდოს რომ დავეტოვებინეთ და სანაცვლოდ ინგლისში გადმოსვლა არავის მონდომებოდა. ისე კი, ამ თემაზე სალაპარაკოდ ყველაზე შესაფერისი თარილი პირველი სექტემბერია, როდესაც სატრანსფერო სეზონი იხურება და ვინ საიდან სად გადავიდა გარკვეულია. დღეს ასეთი სიტუაციაა: რამდენიმე ფეხბურთელი პრემიერლიგიდან მართლა წავიდა, მაგრამ რამდენიმე მოვიდა კიდეც".*

საინტერესოა, რომ სკუდემორის აზრით, წასულ-მოსული ვარსკვლავების სიკაშკაშის ხარისხს დიდი მნიშვნელობა არ აქვს - მოგეხსენებათ, ინგლისიდან რონალდოს გარდა ჩაბი ალონსოც წავიდა, „ლივერპულიდან" კვლავ და კვლავ „რეალს" მიაშურა.

*„დიახ, არიან ვარსკვლავები, რომელთა შესახებ დღეს ყოველ წუთს ლაპარაკობენ და მათი ამბავი პირველ გვერდებზეა, მაგრამ არიან ფეხბურთელები, რომლებზეც ასე რამდენიმე წელიწადში ალაპარაკდებიან, ასე რომ, მაინცდამაინც მიმდინარე წამის ამბავს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს"* - ბრძანა სკუდემორმა ინტერვიუში, რომელიც, სხვათა შორის, ამას წინათ ჩინეთში ვიზიტის დროს იქაურ ჟურნალისტებს მისცა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ რიჩარდ სკუდემორი გახლავთ ადამიანი, რომლის ორგანიზაციაში შემავალ 20 კლუბს ჯერ კიდევ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე ჯამში 3,1 მილიარდი ფუნტის ანუ 5,1 მილიარდი დოლარის დავალიანება ჰქონდა, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მისი სიტყვები ეპოქის რიტმში ვერ ჯდება, მაგრამ თავად ალმასრულებელი შეფი იხტიბარს არ იტეხს:

*„ვფიქრობ, პრემიერლიგაში, ბოლო 18 თვის განმავლობაში გაწეული შრომით ძალიან კმაყოფილი უნდა ვიყოთ. კლუბებმა დაამტკიცეს, რომ ბილეთების ფასებით ვარირება შეუძლიათ და საბოლოოდ სტადიონები ისევ სავსე შეინარჩუნეს. მომავალი სეზონისთვისაც წლიური აბონემენტების გაყიდვის საქმე დიდებულად მიდის".*

თუმცა, როგორც ირკვევა, ბატონი სკუდემორის აზრით, მისი ორგანიზაციის ყველაზე დიდი წარმატება ის გახლავთ, რომ პრემიერლიგური თამაშების სატელევიზიო უფლებები მომდევნო ოთხი წლით უკვე გაყიდულია და ის ისეთმა საიმედო კომპანიამ შეიძინა, როგორიც გახლავთ BSkyB-ი.

*„ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშების ტრანსლაციათა შიდა ბაზარზე გაყიდვაა, - განმარტა ბოლოს სკუდემორმა, - და ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც ჩვენ გავაკეთეთ, მთელი საქმის სამი - მეოთხედია. ყველა ელოდა, რომ დღეს შექმნილ სირთულეებს ორ ან სამ წელიწადში დავძლევდით, მაგრამ მგონი ბევრი რამ უკვე გადალახულია. რაც შეეხება ჩვენი თამაშების სხვა ქვეყნებისთვის მიყიდვას, აქ არ გვინდა ფასი ძალიან გაგვეზარდოს. ცოტ-ცოტას ყველა ქვეყანა გადაიხდის, ზოგი მეტს, ზოგი ნაკლებს და ჯამში კარგი შემოსავალი გვექნება. ვფიქრობ ასე უფრო იოლად გადავივლით ეკონომიკური კრიზისის პერიოდს".*

ტრავმა

# როკე აგვისტოში დაისვენებს

„მანჩესტერ სიტის" მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** განაცხადა, რომ მისი ვარაუდით გუნდის ახალი შენაძენი, 27 წლის პარაგვაელი **როკე სანტა კრუსი** აგვისტოში ვერ ითამაშებს. როგორც ირკვევა, „ბლექბერნისგან" 18 მილიონ ფუნტად ნაყიდმა თავდამსხმელმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერ სიტი" ფორვარდის ყიდვისას არავის მოუტყუებია, ისტლენდერებმა სანტა კრუსთან ხელშეკრულების გაფორმებისას ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მათ ახალ შენაძენს ქირურგიული მაგიდა ელოდა, ხოლო ნებისმიერ ოპერაციას, ბუნებრივია, სარეაბილიტაციო პერიოდი მოჰყვება.



მარკ ჰიუზი როკე სანტა კრუსს ჯერჯერობით ვერ გამოიყენებს

*„როკე სანტა კრუსს რომ ვყიდულობდით, კარგად ვიცოდით მისი პრობლემების შესახებ და ისინი, რომ ოპერაციის შემდეგ ჯანმრთელობისა და ფორმის სრული აღდგენისათვის დრო დასჭირდებოდა, - უთხრა ჟურნალისტებს „სიტის" თავკაცმა – ასეთ ვითარებაში, ყოველთვის სჯობს არ აჩქარდე და ფეხბურთელს საფუძვლიანად აცალო ტკივილების მოშუშება. მე სანტა კრუსს იმდენ დროს მივცემ, რამდენიც მას რეალურად სჭირდება".*

მოგეხსენებათ, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე, რომლის დახურვამდე ჯერ კიდევ ორი კვირაა, „მანჩესტერ სიტიმ" „არსენალისგან" **ემანუელ ადებაიორიც** იყიდა. მაგრამ, არაბ მეპატრონეთა დიდძალი ფულის მიუხედავად, ჰიუზის ყველა საზაფხულო ოცნება ვერ ახდა და ახდენის პირი აღარც უჩანს. კერძოდ, ისტლენდერთა უელსელ შეფს „ევერტონისგან" **ჯოლიონ ლესკოტის** ყიდვა უნდოდა, მაგრამ ლივერპულის ამ კლუბმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. „ევერტონის" თავკაცმა **დევიდ მოიესმა** კატეგორიულად განაცხადა, რომ ამ ეტაპზე „გუდისონ პარკს" ვერავინ დატოვებს.

*„კარგა ხნის წინ სრულიად გასაგებად ვთქვი, რომ ჩემი საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვას არ ვაპირებ. რაც შეეხება ჯოლიონ ლესკოტს, ის, უბრალოდ, არ იყიდება"! - დააგვირგვინა მოიესმა.*

სატრანსფერო ამბები



ჯანფრანკო ძოლა

# ძოლა და ბრძოლა უფულობასთან

ზაფხული, მათ შორის სატრანსფეროც, მოგეხსენებათ, პირველ სექტემბერს მთავრდება და მანამდე, „ვესტ ჰემის" იტალიელი მწვრთნელი, **ჯანფრანკო ძოლა** თავდამსხმელის (ან თავდამსხმელების) ყიდვას ეშურება..დღეისათვის, „ჩექუჩებს" ერთადერთი ფორვარდი ჰყავთ, 29 წლის **კარლტონ კოული**, რომელმაც წლეულს **ფაბიო კაპელოს** ხელში ინგლისის ნაკრებშიც ითამაშა სამჯერ. კიდევ ერთი შემტევი ძალა, **დინ ეშტონი** კი დაშავებულია და ჯერჯერობით მხოლოდ განაცხადში არსებობს.

როგორც ძოლა ამბობს, ლონდონური კლუბის ფინანსური მდგომარეობა სატრანსფერო ბაზარზე ლაზათიანად აქტიურობის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ იმედი მწვრთნელს მაინც არ გადაწურვია.

*„გვინდა ორი ფორვარდი შევიძინოთ. ჩანაფიქრი ასეთი გვაქვს, - უთხრა სარდინიელმა Sky Sports News-ს, - უფულობის გამო ეს მაინცდამაინც ადვილი გასაკეთებელი არ არის, მაგრამ „ვესტ ჰემი", როგორც გუნდი, ფრიად მიმზიდველია და დარწმუნებული ვარ, ბოლოს და ბოლოს საჭირო ხალხს შევარჩევ".*

„ვესტ ჰემში" გადასვლის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად ძოლას „ჩელსის" დროინდელ თანაგუნდელს, დღეს „ბარსელონას" თავდამსხმელს **ეიდურ გუდიონსონს** მიიჩნევენ, მეორე კი, წესით, „ბაიერნის" იტალიელი ვარსკვლავი **ლუკა ტონი** უნდა იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ ტონი ძოლას პირადი მეგობარია. და კიდევ, როგორც გუდიონსონი ასევე ტონი, თავიანთ გუნდებში პირველ პოზიციებზე ველარ არიან.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ტიტანური აზრი

# კანი: კარგი რა, იენს!

## ოლიმ ლემანი გააკრიტიკა და რენზინგი შეაქო

ამას წინათ გაცნობეთ, რომ „შტუტგარტის“ ვეტერანი მეკარე **იენს ლემანი** კონტრაქტის 2011 წლამდე გაგრძელებაზე ფიქრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ეს ხელშეკრულება გააფორმა, იენსი ფეხბურთს 41 წლამდე ითამაშებს. გარდა ამისა, ლემანი არც გერმანიის ნაკრებში დაბრუნებას გამორიცხავს და რეგულარულად იმეორებს, გერმანიის ნაკრებისთვის დღესაც საუკეთესო კიპერი ვარო.

ამ განცხადებების გამო ლემანი **ოლივერ კანმა** გააკრიტიკა. *„მე მგონი, დროა, ლემანი ყველაფერს სერიოზულად მოეკიდოს და გერმანიის ნაკრები დაივიწყოს. უკვე 39 წლისაა და ბოლოს და ბოლოს, უნდა დასერიოზულდეს,“* -აცხადებს კანი „შპორტ-ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ლემანს ბუნდესგუნდში 61 მატჩი აქვს ჩატარებული და მან სანაკრებო კარიერა ზუსტად ერთი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა. ბოლო დროს იენსი ხშირად საუბრობს ბუნდესგუნდზე და **იოახიმ ლიოვს** 2010 წლის მუნდიალისთვის თავის თავს სთავაზობს.

*„არასდროს არაფერი უნდა გამოვრიცხო, - განაცხადა ლემანმა ერთ-ერთ ინტერვიუში, - ვფიქრობ, მე არც ენკეს უნდა შემადარონ, არც ვიზეს, არც ადლერს და არც ნოიერს. შედარებები არ მიყვარს. უბრალოდ, ფაქტია, რომ ძალიან გამოცდილი ვარ და საერთაშორისო დონეზე ტოპ - კლუბებში მითამაშია.“*

სამაგიეროდ, კანმა „ბაიერნის“ კარის დარაჯი **მიხაელ რენზინგი** შეაქო და მას წარმატებები უსურვა. *„მიმაჩნია, რომ გასულ სეზონში რენზინგს ცუდად არ უთამაშია და არ მესმის, რატომ ატყდა პანიკა. კარგია, რომ ვან გაალი მას ისევ ენდობა. ფაქტია, იურგენ კლინსმანმა რენზინგი ჯეროვნად ვერ დააფასა. ჩემი აზრით, რეკორდმაისტერს მეკარის პრობლემა არ აქვს და არც არასდროს ჰქონია,“* - აღნიშნა ოლიმ.



ოლივერ კანი

ინტერვიუ

ლუის ვან გაალი

# საბედნიეროდ, ჩემს ცოლს ფეხბურთიც უყვარს

## რას აპირებს ტიტების გენერალი მიუნხენში?

**ექვსი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ლუის ვან გაალი მიუნხენის „ბაიერნს“ წვრთნის და ცხადია, რომ 58 წლის ჰოლანდიელ მწვრთნელს სალაპარაკო დაუგროვდა. რომელი გამოცემისთვის უნდა მიეცა მას ვრცელი ინტერვიუ, თუ არა „კიკერისთვის“? ვან გაალი ყველაფერზე დეტალურად საუბრობს.**

**- ჰერ ვან გაალ, გერმანელი მწვრთნელები სანაკრებო პაუზების დროს ყოველთვის ჩივიან და ჭირვეულობენ ხოლმე. თქვენ როგორ ეგუებით იმ ფაქტს, რომ ვალდებული ხართ, შეგირდები ეროვნულ ნაკრებებში გაუშვათ?**

- ცხადია, ეს კლუბისთვის კარგი არ არის, მაგრამ კალენდარში სანაკრებო პაუზებს ვერსად გავექცევით. ერთი წლის წინ არის ცნობილი ამა თუ იმ სანაკრებო მატჩის შესახებ. შესაბამისად, ჩვენ, კლუბის მწვრთნელებს, შეგვიძლია, სხვა ფეხბურთელებს დავუთმოთ მეტი ყურადღება. ჩივილი და ჭირვეულობა არაფერს გვარგებს.

**- ექვსი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც „ბაიერნს“ ავარჯიშებთ...**

- ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი მატჩი ჩავატარეთ. პროგრამა იმდენად გადატვირთული იყო, რომ კონდიციების აღდგენას დრო თითქმის ველარ დავუთმეთ. მაგრამ სიმართლე გითხრათ, ეს პერიოდი უფრო რთულად წარმომედგინა.

**- როგორც იქნა, ფრანკ რიბერი ბრუნდება...**

- დიახ, მაგრამ ჯერ გუნდს უნდა გაუშინაურდეს. მე მასთან აქამდე ფაქტობრივად არ მიმუშავია.

**- ითამაშებს თუ არა ფრანგი შაბათს „ვერდერთან“?**

- ძირითად შემადგენლობაში არ ვათამაშებ. საუკეთესო შემთხვევაში მოედანზე ბოლო 20 წუთს გაატარებს. პირველ რიგში ის მაინტერესებს, როგორი იქნება მისი მდგომარეობა საფრანგეთის ნაკრებიდან დაბრუნების შემდეგ.

**- თქვენი აზრით, უმჯობესი იყო, „ბაიერნში“ დარჩენილიყო და ნაკრებში წასვლაზე უარი ეთქვა?**

- არა, რატომ? მე მას მივეცი ნაკრებში წასვლის უფლება, რადგან მივხვდი, რომ ცოტა ხნით გარემოს გამოცვლა სჭირდებოდა. თან სავარჯიშო პროგრამაც გავატანე. რთული ის არის, რომ არ ვიცი და ვერც გავიგებ, როგორ ივარჯიშა მან ამ დღეებში.

**- რიბერი აქამდე ყოველთვის მარცხენა ფლანგზე თამაშობდა ხოლმე, თქვენ კი გსურთ, ცენტრში ითამაშოს...**

- რიბერის ადგილი ცენტრშია, რადგან ასე უფრო ახლოს იქნება მეტოქის კართან და თავდამსხმელებთან, რომლებიც პასებით უნდა მოამარაგოს. თანაც, არ ვზღუდავ, შეუძლია, ზოგჯერ ფლანგებზეც გადაინაცვლოს და იქიდან შეუტიოს. მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, რიბერისთან ორი დღეც კი არ მიმუშავია გადაბმულად და გამორიცხული არც ის არის, რომ ორი კვირის შემდეგ კარდინალურად განსხვავებული მოსაზრება მქონდეს.

**- წესრიგსა და დისციპლინას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებთ. რამდენად აიტანს თქვენი სისტემა ისეთ ფეხბურთელს, რომელიც მოედანზე გააკეთებს იმას, რაც თვითონ უნდა?**

- არა! არც ერთ ფეხბურთელს არ აქვს უფლება, რომ აკეთოს მოედანზე ის, რაც თვითონ უნდა. მაგრამ ვფიქრობ, რომ თუკი განსაკუთრებულ ფეხბურთელთან გვაქვს საქმე, თავისი განსაკუთრებულობით ის მეტ თავისუფლებას მიიღებს, ვიდრე დანარჩენები. მაგალითად, „ბარსელონაში“ მუშაობისას გუნდში რივალდო მყავდა, რომელიც ზუსტად ისეთივე სიტუაციაში იყო, როგორშიც ახლა რიბერია.

**- ამ ექვსი კვირის განმავლობაში ხომ არ იყო ისეთი მომენტი, როცა იფიქრეთ, იქნებ „რეალის“ შემოთავაზებას დავთანხმდეთ, მილიონებიც ავიღოთ და სნეიდერი ან ვან დერ ვაარტიცო?**

- არა! რუმენიგე, ჰიონესი, ნერლინგერი და მე ერთ აზრზე ვიყავით: რიბერი უნდა შეგვენარჩუნებინა. მის გაშვებაზე ერთხელაც არ მიფიქრია.

**- ერთი წლის წინ მიუნხენში ყველა ფიქრობდა, რომ ტონით, რიბერით, შვაინშტაიგერით, ზე რობერტოთი, ლუსიოთი და ლამით დაკომპლექტებული გუნდი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში, რომელსაც კარგი მწვრთნელიღა სჭირდებოდა. თქვენ ამ გუნდში მაინც ბევრი რამ შეცვალეთ. რატომ?**

- ჩემს გუნდში ერთგვარი მიქსი უნდა იყოს: უფროსები, საშუალო ასაკის ფეხბურთელები და ახალგაზრდები. წინა სეზონის ბოლო ოთხ თამაშში „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ოთხმა ისეთმა ფეხბურთელმა ითამაშა, რომელთა ასაკიც 30-ს იყო გადაცილებული. გარდა ამისა, გუნდს ერთ პოზიციაზე ზედმეტად ბევრი მოთამაშე ჰყავდა. მინდა, თითოეულ პოზიციაზე მხოლოდ ორი მოთამაშე მყავდეს. ისე, თუ გაიხსენებთ, გუნდში მხოლოდ პრანიჩი და ბრააფჰაიდი მოვიყვანე. ყველა სხვა ტრანსფერი ჩემამდე გადაწყდა. ზე რობერტოს სიამოვნებით შევინარჩუნებდი, მაგრამ „ბაიერნის“ მწვრთნელად რომ დავინიშნე, ბრაზილიელი უკვე წასული იყო. გომესი და ტიმოშჩუკიც ჩემამდე იყიდეს.

**- ეს არის ტიმოშჩუკის პრობლემა?**

- არა. მე ყველას ვაკვირდები და თანაბარ შანსს ვაძლევ. „აუდის“ თასის შემდეგ ძირითადი შემადგენლობა ჩამოვაყალიბე, რომელიც შეიძლება, ნებისმიერ დროს შეიცვალოს.

**- რომელმა ფეხბურთელმა მოგხიბლათ ყველაზე მეტად ამ ექვსი კვირის განმავლობაში?**

- (ფიქრობს) ჰამით ალთინთოფმა. პირველ კვირას არც ისე კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ მერე ძალიან მოუმატა და მთელი მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომაცაა, რომ ალთინთოფს ჩემს ფორმაციაში ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს.

**- „ბაიერნს“ შვიდი ახალწვეული ჰყავს, რომელთაგანაც სასტარტო შემადგენლობაში ადგილი მხოლოდ ორს აქვს გარანტირებული – გომესს და პრანიჩს.**

- ახალი ფეხბურთელები ჯერ მიუნხენურ კულტურას უნდა შეეგუონ და მწვრთნელის მოთხოვნები გაითავისონ. ეს განსაკუთრებით ახალ ფეხბურთელებს უჭირთ ხოლმე.

**- ბრააფჰაიდმა ჯერ ვერ შეძლო ძირითადში ადგილის დამკვიდრება. გამოცდილება რომ აკლია, იმიტომ?**

- რას ნიშნავს, გამოცდილება აკლია? ის ხომ „ტვენტეში“ თამაშობდა, ჰოლანდიის მესამე გუნდში? ამასთან, ის ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელია. ვფიქრობ, „ბაიერნისთვის“ ეს საკმარისი გამოცდილებაა.

**- მაშინ რატომ უჭირს ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება?**

- იმიტომ, რომ პრანიჩის სახით ძალიან სერიოზული კონკურენტი ჰყავს. მის კონკურენტად მიიჩნევა ფილიპ ლამიც.

**- ლამი მაინც მარცხნივ გადაიწევს, თუკი „ბაიერნი“ ბოსინგვას შეიძენს?**

- მის ტრანსფერს მივესალმებოდი, მაგრამ ბოსინგვას თემა ამოწურულია. ის ჩვენთან არ გადმოვა.

**- შემადგენლობაში ჯერ კიდევ ბევრი ფეხბურთელი გყავთ და კიდევ ვინმეს ხომ არ გაასხვისებთ?**



ლუის ვან გაალს მიუნხენში დიდი გეგმები აქვს

- არა, რადგან 25 ფეხბურთელი სავსებით საკმარისია. მით უმეტეს, რომ საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გვყავს: მიულერი, ბაუმიოჰანი, კრაფტი, ბრენო, ბადშტუბერი. „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდში კიდევ რამდენიმე ძალიან საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი შევნიშნე.

**- როცა მუშაობა დაიწყეთ, თქვით, ფეხბურთელებს ძალიან ხშირად უნდა ველაპარაკო ხოლმე, თანაც, მეტწილად არასაფეხბურთო თემებზეო. თქვენ შეგირდებთან დაახლოება დაისახეთ მიზნად, მაგრამ მათ წინააღმდეგ მკაცრი გადაწყვეტილებების მიღებაც მოგიწევთ. როგორ უნდა გახდეთ შეგირდების მეგობარი?**

- კომუნიკაცია ჩემთვის იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებელია, შეგირდების მეგობარი ვიყო. კომუნიკაცია ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთელს ყველაფერი კარგად ავუხსნა. მოთამაშემ ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდეს, რას ვითხოვ მისგან.

**- ფეხბურთელებმა თქვენთან პირად ცხოვრებაზე საუბარი მოისურვეს?**

- ყოველ შემთხვევაში, დღემდე პროტესტი არავის გამოუხატავს.

**- ყველას გერმანულად ელაპარაკებით?**

- ჩემი აზრით, როდესაც ფეხბურთელი გერმანიაში თამაშობს, გერმანული უნდა ისწავლოს. ბრაზილიელებისთვის ეს ძალიან ძნელია, მაგრამ ისინიც ვალდებულები არიან, ენა ისწავლონ.

**- ხშირია მომენტი, როცა ფეხბურთზე არ ფიქრობთ?**

- როცა გარაჟიდან გამოვდივარ და „ზებენერშტრასეზე“ გავდივარ, ფეხბურთზე აღარ ვფიქრობ ხოლმე. ამ დროს ჩემს საყვარელ მეუღლეზე ვიწყებ ფიქრს, კერძოდ, ვფიქრობ იმაზე, თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმ საღამოს. რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ყოველთვის ფეხბურთზე ვფიქრობ, მაგრამ ეს ასე არ არის. 58 წლის ვარ და თუ კარგად დამაკვირდებით, დაინახავთ, რომ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდულად გამოვიყურები.

**- თავისუფალ დროს რას აკეთებთ ხოლმე?**

- სახლში ვარ და ტრუუსთან ერთად ვისვენებ. ხანდახან მეგობრებთან ერთად ვვახშმობ და ბანქოს ვთამაშობ, ანაც ტელევიზორს ვუყურებ – უმეტესად, ძველი საფეხბურთო მატჩების ვიდეოჩანაწერებს. საბედნიეროდ, ჩემს მეუღლეს ფეხბურთი ძალიან უყვარს. გოლფს და ჩოგბურთს ვთამაშობ.

**- ცნობილია, რომ „ბაიერნის“ გაწვრთნაზე ოცნებობდით. რატომ?**

- „ბაიერნიც“ ოცნებობდა ჩემზე, თანაც, საკმაოდ დიდხანს. ხელმძღვანელებმა ადრეც არაერთხელ მომმართეს, მაგრამ ყოველთვის რაღაც გვიშლიდა ხელს. რეკორდმაისტერში ძალიან თბილი, ოჯახური ატმოსფეროა, რაც მე ყოველთვის მიზიდავდა.

**- თქვენი მიუნხენური სამწვრთნელო კარიერის წარმატებულობა მხოლოდ ტიტულებით განისაზღვრება?**

- არა, მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი მიზანია, „ბაიერნს“ ყველამ შეატყოს ლუის ვან გაალის ხელწერა. ცხადია, ყველაზე უკეთესი ის იქნება, თუ პირველსავე სეზონში რომელიმე ტიტულს მოვიგებთ. მაგრამ ხომ ხვდებით, ჩემპიონობა „დორტმუნდსაც“ უნდა, „ვოლფსბურგსაც“ და „ჰოფენჰაიმსაც“. ასე რომ, ბუნდესლიგის მოგება არც ისე იოლია.

**- ათწლეულებია, ფეხბურთში საქმიანობთ. რა შეიცვალა?**

- შეიცვალა მედია! მედიამ ფეხბურთში გაცილებით მეტი რამ შეცვალა, ვიდრე ყველა მწვრთნელმა ერთად. ფეხბურთში სიახლეების აღმოჩენა უკვე შეუძლებელია, რადგან ყველაფერი აღმოჩენილია. ასე რომ, ახლა თუ რამე იცვლება, მხოლოდ მედიის საშუალებით.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინტერვიუ დიეგო მარადონასთან

# ფეხბურთში რაღაც გამეგება...

**არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიეგო მარადონა ფიფა-ს ოფიციალურ ვებგვერდს მოუყვა მისი გუნდის ამჟამინდელ მდგომარეობაზე, ლეო მესისთან სატელეფონო საუბრებზე, ფიდელ კასტროსთვის გატანილ პენალტსა და მსოფლიოს თასის მაგიურ ძალაზე...**



**- დიეგო, თქვენ უკვე ცხრა თვეა ნაკრებთან ერთად მუშაობთ. ეს ზუსტად ის დროა, რაც ბავშვის გაჩენას სჭირდება. გრძნობთ მსგავსებას?**

- ალბათ. თუმცა, მთელი ამ დროის განმავლობაში გუნთან ერთად ჯამში თვენახევარი ვიმუშავე. ცუდად არ დამიწყია, მაგრამ ჯერ ბოლომდე ვერ მივიტანე მოთამაშეებამდე ის, თუ რა უნდა აკეთონ მოედანზე და მის მიღმა. ეს ყველაფერი უკვე გავლილი მაქვს, ამიტომაც მზად ვარ, ბიჭებს გამოცდილება გავუზიარო.

**- ყველანაირი გამოცდილება?**

- მე გაცილებით მეტი სარგებლობა ვნახე იმისგან, რასაც მინდორზე ვაკეთებდი. ყველამ იცის, რომ ჩემს ცხოვრებაში იყო საშინელი მომენტები, მაგრამ ყველაფერი თავიდან დავიწყე და არგენტინის ნაკრების მწვრთნელი გავხდი. ეს ოცნების ასრულება იყო!

**- ეს სამუშაო იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე ელოდით?**

- ძალიან რთულია. ტელეფონით მიწევს იმის გაგება, რა ფორმაში იმყოფებიან ფეხბურთელები. ყოველდღე თვალს ვადევნებ იმას, ითამაშეს თუ არა მესიმ, აგუერომ, მაქსი როდრიგესმა და სხვებმა. ერთი რამ ზუსტად ვიცი - ბრაზილიასთან მატჩში მსოფლიოს თასის საგზურს მოვიპოვებთ. უკვე შემდეგ იქნება პარაგვაი... თუ ღმერთი ამას მოინდომებს, გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტამდე 20 დღით ადრე იქნება ჩემს განკარგულებაში.

**- რამდენი ინტერვიუ მიეცით ბოლო ცხრა თვის განმავლობაში?**

- ბევრი! მაგრამ ხშირად უარს ვამბობ ინტერვიუს მიცემაზე, რადგან მწვრთნელმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რომელ პროგრამაში ულირს გამოჩენა. მხოლოდ იმის გამო, რომ მარადონა ნაკრების მწვრთნელია, ის ყველგან და ყოველთვის არ უნდა ლაპარაკობდეს. მთავარი გმირები მოთამაშეები არიან და ისინი უნდა საუბრობდნენ პრესასთან.

**- ყველაზე მეტად რომელმა კითხვამ მოგაბეზრათ თავი?**

- „როდის ვიხილავთ მარადონას გუნდის განსაკუთრებულ სტილს?“ რა სტილზეა ლაპარაკი, როცა მორიგი მატჩის წინ, სულ ორი-სამი დღე მიწევს ბიჭების გაწვრთნა?! ერთნი ტრავმირებულები არიან, მათ სხვები ცვლიან და თამაშის ხელახლა აწყობა გიხდება. მოთამაშეები შორიდან ჩამოდიან, მათ უნდა ჰქონდეთ მოდუნებისა და დასვენების საშუალება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე მათ ვერ დავაძალებ ვარჯიშს, წინააღმდეგ შემთხვევაში „გადაიწვებიან“! მათგან მინდორზე მაქსიმუმს ვითხოვ, მაგრამ ამისთვის ძალიან ცოტა დრო მაქვს. მატჩამდე მთელი სამუშაო სამ დღეში ეტევა. მე უფრო ტექნიკური დირექტორი ვარ, ვიდრე მწვრთნელი.

**- და მაინც, აქვს თუ არა თქვენს გუნდს რაიმე განმასხვავებელი თვისება?**

- ეს არის ხასიათის სიმტკიცე. ჩვენ რთული მომენტი გადავიტანეთ ბოლივიასთან წაგების შემდეგ, მაგრამ ისევ მოვახერხეთ ფეხზე დადგომა. ყოველთვის, როცა აგებ, შემდეგ რთული ხდება გუნდის მობილიზება. ჩვენ კი პირიქით, უფრო გავერთიანდით, ყველაფერზე ვილაპარაკეთ თვითმფრინავში და ამან ძალები შეგვმატა. შესანიშნავად ვითამაშეთ ეკვადორის წინააღმდეგ, მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ შანსი ხელიდან გავუშვით. იმედი მაქვს, ბრაზილიასთან მატჩში ასეთი რამ არ მოხდება.

**- მართალია, რომ ღამღამობით ფეხბურთი გესიზმრებათ, საწოლიდან დგებით, საკუთარი აზრები ფურცელზე გადაგაქვთ და დიდი ხანი ფიქრობთ იმაზე, რომ განახორციელოთ ის ცხოვრებაში?**

- მართალია. ვფიქრობ საჯარიმოებისა და კუთხურების გათამაშების ვარიანტებზე. კიდევ ვისურვებდი, რომ ჩვენი თავდასხმა ცალკე ცხოვრებას გადაეჩვიოს, რომ მანძილი დაცვას, ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის მინიმუმამდე დავიდეს... ასეთ შემთხვევაში, თუ ბურთს დავკარგავთ, მეტოქის ნახევარზევე შევძლებთ მის დაბრუნებას. არგენტინის ნაკრებმა უნდა გამოიყენოს მთელი თავისი დადებითი მხარეები - ტექნიკა და ერთი შეხებით თამაში. ასეთი მოქმედება ბრაზილიას ახასიათებს. იტალიისა და გერმანიას ეს არ აქვთ. შესაძლოა, ესპანეთი ჩავის, ფერნანდო ტორესისა და ვილიას შეთამაშებით აჩვენებს მსგავს ფეხბურთს. მაგრამ ეს მაინც სულ სხვა რამეა. თუ ჩვენ მუდმივად პრესინგს ვისწავლით, მეტოქეს არანაირ შანსს არ დავუტოვებთ.

**- ხშირად უყურებთ ფეხბურთს?**

- მუდმივად. და ყოველ ჯერზე გონებაში ვატრიალებ ნანახს...

**- და რომელმა გუნდმა გაგაოცათ წინასასეზონო მზადების პროცესში?**

- განსაკუთრებული შთაბეჭდილება არავის მოუხდენია, მხოლოდ ცალკეული მატჩების გამოყოფა შემიძლია. „მილანი“ საშუალო დონეზე თამაშობს, „ინტერი“ თავის კლასს ინარჩუნებს. ვფიქრობ, კაკას მისვლის შემდეგ „რეალი“ შეიცვლება. ჩემი აზრით, მასზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. არ მესმის, რატომ არ თამაშობს გაგო. მათ რაღაც უნდა მოუხერხონ ამ ფეხბურთელს, თუმცა ის ნებისმიერ შემთხვევაში ჩემი ფავორიტი იქნება. მე ვუყურე ჩემი მეგობრის ჩირო ფერარას „იუვენტუსის“ თამაშს. ეს ნამდვილი იტალიური ფეხბურთია - უკან რკინის დაცვა, ყველა შეტევის წამომწყები დელ პიეროს გადაცემები... საერთოდ, კმაყოფილი ვარ, თუ როგორ თამაშობენ ჩემი ფეხბურთელები. დიეგო მილიტომ დაადასტურა თავისი მაღალი კლასი. აგუერომაც...

**- მესი?**

- მე ის არ მინახავს. ვცდილობდი მასთან დალაპარაკებას, მაგრამ ხანდახან ლეოსთან გასაუბრება უფრო რთულია, ვიდრე ობამასთან (იცინის). მითხრეს, რომ მან კარგად ჩაატარა წინასასეზონო შეკრება. მის გამო არ ვნერვიულობთ.

**- მეტოქე ფეხბურთელებიდან ვინ მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება?**

- ფელიპე მელო - ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა. მომეწონა პორტოელი ჰალკი. მაწუხებს რონალდინიოს ბედი. მან წონა დაიგდო, მაგრამ მის თამაშში ძველებური ბრწყინვალება მაინც არ იგრძნობა. ჩემი სურვილია, რონალდინიო ძველებურად სახიფათო იყოს მეტოქეებისთვის. იმედია, საუკეთესო თვისებები მას აუცილებლად დაუბრუნდება, ოღონდ, რა თქმა უნდა, არგენტინასთან მატჩის შემდეგ.

**- მოდით, უშუალოდ თქვენზე ვილაპარაკოთ. ყველაზე საშინელი შემთხვევა, რომელიც თავს გადაგხდათ.**

- ყველაზე უარესი, რაც მე დამემართა? უფსკრულში ვიყავი, მაგრამ ჩემმა ქალიშვილებმა გადამარჩინეს. ყოველ დილას ვილვიძებ - ეს უკვე დიდი მიღწევაა, რადგან იყო დრო, როცა სამი დღე მხნედ ვიყავი და პირიქით, გონს ვერ მოვდიოდი. შემიძლია ხელში ავიყვანო ჩემი შვილიშვილი, რაც უდიდესი ბედნიერებაა. ამას არაფერი შეედრება. ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

**- საუკეთესო მომენტი რომელი იყო?**

- დაბრუნება ნორმალურ ცხოვრებაში, მიუხედავად ჩემს წინააღმდეგ განწყობილი ადამიანებისა. არავისთან მტრობას არ ვაპირებ, მაგრამ თუ ვინმე თავად ხედავს ჩემში მტერს, მე ყოველთვის მზად ვარ საბრძოლველად.

**- ყველაზე დაუჯერებელი ისტორია დიეგო მარადონას ცხოვრებაში. როგორია ის? ასეთი, ალბათ, მრავლად გექნებათ...**

- ყველაზე გიჟური ისტორია ის იყო, როცა ფიდელ კასტროს პენალტის დარტყმას ვასწავლიდი. მან თავად მთხოვა ამის შესახებ. მე მას ვუთხარი: „თავიდან, ყოველთვის მეკარეს ვუყურებ და ვცდილობ გამოვიცნო, რომელ კუთხეში გადახტება ის. უნდა დაიჭირო მომენტი და დაარტყა მისი პირველი რეაქციის შემდეგ - ბურთი ერთ კუთხეში წავა, მეკარე მეორეში“. მან დადგა ორი სკამი და მითხრა: „მე მეკარე ვარ. აბა პენალტს თუ გამიტან!“. ბურთი მოვითხოვე, ფიდელი კი ცენტრში დავაყენე. უნდა გითხრათ, რომ გასაოცარი სურათი იყო! თვით ფიდელ კასტროს ვურტყამდი პენალტს.

გამოვიცანი როდის გადახტებოდა და გოლი გავიტანე. შემდეგ ის დიდხანს მეკითხებოდა, როგორ ვურტყამდი ბურთს და ა.შ. მართალია, კასტრო ბეისბოლის თაყვანისმცემელია, მაგრამ მალე მიხვდა ყველაფერს და მითხრა, რომ ჩვენ კიდევ ვივარჯიშებდით ნამდვილ საფეხბურთო მოედანზე. შემდეგ ექვსი-შვიდი საათი გაუჩერებლივ ვლაპარაკობდით პოლიტიკაზე. აღფრთოვანებული ვიყავი ამ შეხვედრით. იმათგან, ვინც ცხოვრებაშივე გახდა ლეგენდა, კასტრო ყველაზე ქარიზმატულია. ის და არა რომის პაპი.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაზე თუ ოცნებობთ?**

- დიახ, და კიდევ ძალიან მინდა ნელსონ მანდელას გაცნობა. როგორც გავიგე, 91 წლის ყოფილა. ადრე მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

**- იქნებ დეკემბერში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრაზე მოახერხოთ ეს?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მერჩივნა უფრო ადრე და სხვა გარემოებაში შევხვედროდი მას.

**- მაშ ასე, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაზე ფიქრობთ...**

- არგეტინის ნაკრების გარეშე ეს ტურნირი გაფერმკრთალდება. მოსაწყენი სანახაობის მოწმენი გავხდებით.

**- დარწმუნებული ხართ, რომ კვალიფიკაციას გაივლით?**

- რა თქმა უნდა! წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლა თქვენთან ვერ ვილაპარაკებდი.

**- გახსოვთ ის დღე, როცა პირველად დაინახეთ მსოფლიოს თასი?**

- კარგად მახსოვს. პირველად ის ფოტოზე ვიხილე. როცა გერმანიას ფინალში მოვუგეთ, მისი შეხებისა და ამბორის საშუალება მომეცა... რამდენი მუშაობა გჭირდება იმისთვის, რომ ის ერთხელ თავსზემოთ აღმართო. მოთამაშეებს იმას ვეუბნები, 30 დღე მუშაობა ღირს იმად, რომ მსოფლიოს თასს ეამბორო - ეს არაამქვეყნიური შეგრძნებაა. ეს იგივეა, რომ ცას ხელით შეეხო.

**- თქვენ თქვით, რომ იცით როგორ მოიგოთ ეს ტიტული.**

- მე ის ერთხელ მოგებული მაქვს და ერთხელაც ფინალში გავედი. რომში, ყველანაირი პროგნოზის მიუხედავად, გადამწყვეტი მატჩი ვითამაშეთ. ყველანი ბრაზილიაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჩვენ მათ მოვუგეთ, დავამარცხეთ მასპინძელი იტალია და ფინალში გავედით... მე ვეუბნები მოთამაშეებს, რომ მსოფლიოს თასზე ბევრ რამეს იღბალი წყვეტს. 1990 წელს, ძალიან ბევრი ტრავმირებული გვყავდა და ჩემმა ბიჭებმა იციან, როგორ აიცილონ ეს თავიდან.

მსოფლიოს ჩემპიონატი - ეს არის 30-დღიანი მომქანცველი ტურნირი. მე ოთხ ჩემპიონატზე ვიყავი და ვიცი, როგორ ვმართო გუნდი, ვიცი, რა უნდა ვუთხრა ფეხბურთელებს. ფეხბურთში ახალი მოსული არ ვარ... რაღაც გამეგება ამ საქმეში.

**- 1986 წლის ნაკრებში თქვენი პარტნიორები ამბობენ, რომ მაშინ თასთან განშორება არ გინდოდათ...**

- დიახ, ვცდილობდი ხელიდან არ გამეშვა... „აცტეკაზე“ ნორმალურად საპატიო წრის დარტყმაც ვერ შევძელით. შევეცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა. როცა ნაკრების ბაზაზე დავბრუნდით, თასი გაზონზე დავდგი და მაშინ დავარტყით საპატიო წრე. ამ სანახაობას ჩვენი ნათესავები და ახლობლები შეესწრნენ.

**- თუ 2010 წლის ჩემპიონატის მოიგებთ, ისევ არავის დაუთმობთ პრიზს?**

- არა. მათ მასკერანო ჩაიბარებს, რომელიც შემოუვლის კიდეც საპატიო წრეს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები - არც ის მოინდომებს თასთან განშორებას.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკაციის გამოძახილი

# იუპიტერო, შენ ბრაზობ, მაშასადამე...

„ლელოს“ გუშინდელ ნომერში საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების შესახებ გამოქვეყნებულ წერილს - „მიეცით კეისარს კეისრისა“ გუშინვე მოჰყვა გამოხმაურება **ზაზა კედელაშვილის** მხრიდან, რომელმაც მობილურზე დამირეკა და ჯერ იმაზე მოითხოვა ახსნა-განმარტება, რას ვწერ და რატომ, მერე კი პირდაპირ გინებაზე გადავიდა... მოკლედ, საქართველოა და ტიპური ქართული შემთხვევა მოხდა - ჟურნალისტებზე ზეწოლის მორიგი ფაქტი!

ალნიშნულ წერილში ეჭვს გამოვთქვამდი, რომ კედელაშვილი ფორმაში ვერ იქნებოდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე რატომ მიჰყავდათ სანახევროდ უვარჯიშებელი ფალავანი, რომელმაც სეზონის დიდი ნაწილი გააცდინა. მართალია, ეს პირადი აზრი იყო, მაგრამ როგორც ჟურნალისტს მსგავსი კითხვის დასმის სრული უფლება მაქვს, მით უფრო, არც **შოთა ხაბარელი** მალავს, რომ მისი ფორმა არ აკმაყოფილებს. წერილში არც მის შესაძლებლობებს უარვყოფდით, მაგრამ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ წლეულს სეზონი ლამის გაუცდა და წარუმატებლად იჭიდავებდა. ამაში რომ არ დაგვეთანხმებოდა, არ გვიკვირს, მაგრამ საპირისპიროს დასამტკიცებლად საუკეთესო საშუალება იქნებოდა, წასულიყო როტერდამში და მედალი მოეპოვებინა.

სხვათა შორის, თავის დროზე ასე მოიქცა **დავით ქევხიშვილი**, რომელიც ამავე წერილში იმავე კონტექსტში იყო მოხსენიებული, როგორშიც - კედელაშვილი. ერთხელ მან ასეთი რამ მითხრა - დღემდე შენახული მაქვს ის გაზეთი, პირველ დიდ ტურნირზე გამოსვლისას რომ გამაკრიტიკე და მას შემდეგ სულ ვცდილობდი, ისე მეჭიდავა, მეორედ არ გაგეკრიტიკებინეო. სიმართლე გითხრათ, თვითონაც არ მახსოვდა ის წერილი, რა დავუწერე და რისთვის ვაკრიტიკებდი და წლების განმავლობაში ამის შესახებ არც მას უთქვამს რამე... საინტერესოა, რომ ქევხიშვილს არც გუშინ გამოუთქვამს პრეტენზია. ამის შემდეგ იმის განსაზღვრა-შედარება, ვის კოკაში რა დგას, თქვენთვის მომვინდია, მკითხველო.

საინტერესოა, რატომ ჰგონია კედელაშვილს, რომ, ან მისი გაკრიტიკების უფლება არ გვაქვს (თუმცა ეს კრიტიკა არც იყო), ან - აუცილებლად უნდა იყოს ნაკრებში. რაც წლეულს მან გააკეთა (ვგულისხმობთ რეჟიმის სისტემატურ დარღვევას), ალბათ, საქართველოს გარდა არსად აპატიებდნენ. მისივე ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი, ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ფრანგი **ბენჟამენ დარბელე** პეკინის ოლიმპიადის წინ იმიტომ გააგდეს ნაკრებიდან, რომ ღამე შეკრებიდან რამდენიმე საათით სახლში გამოიპარა. თუმცა კედელაშვილს ბევრი რამე შერჩა, რაც თვითონ უკეთესად იცის. მას შევახსენებთ - ხალხის სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია. სანაკრებო ბუნტის შემდეგ ეს პროცესი უკვე დაიწყო და დაფიქრდეს ამაზე. პოლიტიკა ცვალებადი რამეა, ხალხი კი მარადიული ცნებაა. საზოგადოებამ იმაზე ბევრად მეტი იცის, ვიდრე მას ჰგონია.

*ჟურნალისტების მოვალეობა ნაკრების შიდა სამზარეულოზე წერა, მისი ანალიზიცაა და საამისოდ არც სპორტსმენების ნებართვა გვჭირდება და არც არავისი.*

სამწუხაროა, რომ საქართველო კვლავაც ქვის ხანაში რჩება, სადაც ჟურნალისტებზე ზეწოლა ჩვეულებრივი ამბავია. შევახსენებთ კედელაშვილსაც და ყველას, რომ ეს კანონით დასჯადი საქციელია და საზღვარგარეთ ამას ვერც ერთი მათი კოლეგა ვერ გაბედავს. თუ არ გვერწმუნებიან, შეუძლიათ, უცხოელ მეგობრებთან გადაამოწმონ. შევახსენებთ იმასაც, რომ ჟურნალისტების მოვალეობა ნაკრების შიდა სამზარეულოზე წერა, მისი ანალიზიცაა და საამისოდ არც სპორტსმენების ნებართვა გვჭირდება და არც არავისი. სხვა საქმეა, ჩვენს ობიექტურობაში ეჭვი თუ შეეპარებათ ან რამეში არ დაგვეთანხმებიან - ასეთი შემთხვევებისთვის აზრის გამოსათქმელად ძველბიჭობაზე ბევრად ცივილიზებული ფორმა არსებობს ან სულაც იდეალური ვარიანტი - შედეგებით პასუხის გაცემა. სამწუხაროდ, ამ ნაკრებში ჟურნალისტებისადმი აშკარად აგრესიული დამოკიდებულება არახალია და ამას წინათ ჩვენს კოლეგა ქალბატონებს ისიც კი განუცხადეს, ჟურნალისტებთან ურთიერთობა არაფერში გვჭირდებაო. ღმერთმა დაგვიფაროს, გუნდში ყველა ასე ფიქრობდეს, მაგრამ ვინც ფიქრობს, მათ საყურადღებოდ ვიტყვით - სწორედ რომ გჭირდებით, რადგან ჩვენ გიწევთ რეკლამას, თქვენს თავს ჩვენ ვაცნობთ საზოგადოებას, თორემ თქვენი წარმატებების შესახებ ვერავინ გაიგებდა. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ძალიან ბევრს არ ესმის, რადგან მათი აზროვნება ზუსტად იმ დონეზეა, რაც ევროპელმა **იოჰან ბოსკამპმა** ასე ჩამოაყალიბა - „ჯორჯიან მენტალიტეტ - დებილ მენტალიტეტ!“

სამწუხაროდ, ბოლომდე არ ტყუოდა ის კაცი.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ჩვენი მეტოქეები

JUDO 2009

# შემადგენლობები თანდათან იკვეთება

რაც უფრო ახლოვდება ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, მით უფრო იზრდება ინტერესი ჩვენი მეტოქეებისადმი. კონკურენტებიც თანდათან ასახელებენ შემადგენლობებს. მართალია, ეს წინასწარი განაცხადებია და იქნებ მცირეოდენი ცვლილებები სადღაც ისევ მოხდეს, მაგრამ იმის თქმა გადაჭრით შეიძლება, რომ 26-30 აგვისტოს როტერდამში გასამართმა პლანეტის პირველობამ რამდენიმე კაშკაშა ვარსკვლავი უკვე მოისაკლისა. ამ დღეებში აზერბაიჯანული წყაროები მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრესრელიზზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ როტერდამში არ იჭიდავებს ტაჯიკი მსოფლიოსა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **რასულ ბოკიევი** (73) და კუბელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი **იორდანის არენსიბია**, რომელიც წლეულს 73-ში გადადის. სამწუხაროდ, მათი გამოკლების მიზეზი ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ტრავმების გამო თვითონ აზერბაიჯანის ნაკრებს ძირითადი შემადგენლობის ლამის ნახევარი არ ეყოლება - ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **ელნურ მამადლი** (73), მსოფლიოსა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **მოვლუდ მირალიევი** (100) და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი **რამილ გასიმოვი** (66). სერიოზული ცვლილებებია იაპონიის ნაკრებში, რომელსაც ორი ოლიმპიური ჩემპიონი დააკლდება - **კეიჯი სუძუკი** (100) და მძიმეწონოსანი **სატოში იში** - ისინი ქვეყნის პირველობაზე დამარცხდნენ. იაპონელთა შემადგენლობა ასეთია: **ჰიროაკი ჰიროაკა** (60), **მასატო უჩიშიბა** (66), **მასაჰიკო ოცუკა** (73), **მასაჰიკო ტომოუჩი** (81), **ტაკაში ონო** (90), **ტაკამასა ანაი** (100), **იასუიუკი მუნეტა** (+100).

როგორც ვხედავთ, ოლიმპიურ ნაკრებთან შედარებით, მათ შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაა - 73-სა და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში სულ ახალი ხალხია, მძიმეში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ მუნეტას ახალი არ ეთქმის, 90-ში **ჰიროში იზუმი** საერთოდ წავიდა ჭიდაობიდან და აქ მსოფლიოს პრიზიორმა ონომ აინაცვლა, სხვა წონებში კი იგივე ხალხია.

შემადგენლობა კორეელებმაც დაასახელეს: **მინ ჰო-ჩოი** (60), **ან იუნგ ჰვანგი** (66), **კი ჩუნ ვანგი** (73), **ჯაე ბუმ კიმი** (81), **კიუ ვონ ლი** (90), **კუნგ სეობ შინი** (100), **სოო ჰვან კიმი** (+100). აქ ახალი ხალხია 66, 90, 100 და +100 კილოგრამ წონით კატეგორიებში. გუნდშია პეკინის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონი მინ ჰო ჩოი და პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორები - ასევე მსოფლიოს ჩემპიონი კი ჩუნ ვანგი და ჯაე ბუმ კიმი.

საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა ასეთია: **დმიტრი დრაგინი** (60; სათადარიგო - **ფარიდ ბენ ალი**), **ბენჟამენ დარბელე** (66; **ლუის კორვალი**), **ჟილ ბონომი** (73; **მოჰამედ რიადი**), **აქსელ კლერჟეტი** (81; **ანტონინ ჟანინი**), **ნიკოლას ბრისონი** (90; **რომენ ბუფე**), **სირილ მარეტი** (100; **ტიერი ფაბრი**), **ტედი რინერი** (+100; **მეთიუ ბატე**).

ძველი შემადგენლობიდან აღარაა სპორტიდან წასული **დანიელ ფერნანდესი** (73) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ანტონი როდრიგესი** (81), ვინც საფრანგეთის პირველობაზე პირველივე წრეში დამარცხდა.

ბრაზილიელებმა საროტერდამოდ **ლორენსო დენილსონი** (60), **ლეანდრო კუნა** (66), **ლეანდრო გილეირო** (73), **ნაკიფ ელიასი** (81), **ტიაგო კამილო** (90), **ლუსიანო კორეა** (100) და **დანიელ ერნანდესი** (+100) გაამზადეს. ერთი სერიოზული ცვლილება აქაცაა - შემადგენლობაში არაა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ჟოაო დერლი ჟუნიორი** (66).

როტერდამში არასრული გუნდით, თუმცა ძველი შემადგენლობით ჩავლენ პოლონელები: **პაველ ზაგროდნიკი** (66), **ტომაშ ადამიეცი** (73), **რობერტ კრავჩუკი** (81), **ლუკაშ კოლესნიკი** (90), **პრზემისლავ მატიაჟეკი** (100), **იანუშ ვოინაროვიჩი** (+100).

ბოლოს, მასპინძელთა შემადგენლობა: **რუბენ ჰოუკესი** (60), **აზიზ მესაუდი** (66), **დექს ელმონტი** (73), **ხიიომ ელმონტი** (81), **მარვინ დე ლა კროსი** (90), **ჰენკ ხროლი** (100), **ხრიმ ვუისტერსი** (+100). შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი ხროლი დაშავებულია და მსოფლიოს ჩემპიონატში მისი მონაწილეობა ძალიან საეჭვოა, მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი - მის შემცვლელად დასახელებული ევროპის ჩემპიონი **ელკო ფან დერ ხესტი** ბელგიაში გადასვლას ცდილობს და უარს ამბობს როტერდამში ჰოლანდიის სახელით ჭიდაობაზე.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# შაფათავამ ნავსი გატეხა



ეს უკვე სხვა საქმეა - ბელგიური კოკსიიდეს, საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ფლანდრიელ ქალთა ტროფეი ეწოდება (25 ათასი $), 20 წლის **სოფიო შაფათავამ** მერვედფინალური დაპირისპირებაც მოიგო. აპრილის შემდეგ შაფათავას ზედიზედ ორი თამაში არ მოუგია და აი, ბელგიაში ნავსი გატყდა. ქართველმა მე-8 ნომრად განთესილ არგენტინელ **აგუსტინა ლეპორეს** (269) სამ სეტში აჯობა - 2:6, 6:2, 6:1. ტურნირის მეოთხედფინალში სოფიოს მეტოქე ბრიტანელი **ანა სმიტია** (439). მას შაფათავა დღეს შეხვდება, როდესაც სმიტი 21 წლის გახდება. იმედია, ქართველი მეტოქეს დაბადების დღეზე საჩუქარს არ მიართმევს. სმიტი საკვალიფიკაციო ბადეში თამაშობდა, სადაც ფინალში წააგო, მაგრამ ძირითად ბადეში მაინც მოხვდა... **მაკა ჩახნაშვილის** (241) წყალობით. მაკამ ბოლო მომენტში უარი თქვა ბელგიაში თამაშზე და მისი ადგილი „იღბლიანი დამარცხებულის“ სტატუსით ბრიტანელმა დაიკავა.

მოსკოვში ქალთა ტურნირის (25 ათასი $) წყვილთა ბადეში წარმატებული სტარტი ჰქონდა **ეკა გორგოძეს** (481). ეკამ და რუსმა **ელინა გასანოვამ** (610) სომხურ-რუსული (**ოფელია პოღოსიანი, ანა მარენკო**) დუეტი დაამარცხეს - 7:5, 6:2. თუმცა ქართველი და მისი პარტნიორი მეოთხედფინალში გამოეთიშნენ ბადეს, მათ მე-2 ნომრად განთესილ რუსებთან, **ეკატერინა ივანოვასთან** (150) და **არინა როდიონოვასთან** (245) წააგეს - 6:1, 2:6, 11:13. ანგარიშიდანაც ჩანს, დამატებით სეტში რა ბრძოლა ყოფილა.

მოსკოვშივე თამაშობს **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (722), ვაჟთა ტურნირის საპრიზო ფონდი უფრო მცირეა - 15 ათასი დოლარი. მერვედფინალში ნიკამ გამოცდილი **სერგეი კროტიუკი** (517) დიდი ჯაფის შედეგად დაამარცხა - 1:6, 7:5, 7:6 (4). მეოთხედფინალში ბასილაშვილის მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი **არტიომ სიტაკია** (475), რომელმაც ჩვენებური ფერლანის საერთაშორისო ტურნირში დაამარცხა. მოკლედ, ახლა შურისძიების დროა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის

# საშინლად ევროპაზე...

შვეიცარიაში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში „ჩელენჯ“ ჯგუფში მოასპარეზე ქალთა ეროვნულ გუნდებს შორის, რომელშიც წლეულს პირველად მონაწილეობს საქართველოს ნაკრები. სანამ ქართველი გოგონების კატასტროფულ დებიუტზე გიამბობდეთ, ცოტა რამ ქალთა ევროპის ჩემპიონატის თავისებურ სისტემაზეც ვთქვათ. გუნდების სიძლიერის მიხედვით ჩემპიონატი სამ კატეგორიად არის დაყოფილი. პირველ ჯგუფში ის გუნდებია, რომლებიც უშუალოდ ჩემპიონობისთვის იბრძვიან. მეორე კატეგორიაში, რომელსაც „Trophy“ ეწოდება, შედარებით სუსტი, მეორე რანგის გუნდები ასპარეზობენ. აქ ნაკრებები იმისთვის იბრძვიან, რომ ძირითად ბადეში გადასვლის უფლება მოიპოვონ. უფრო დაბალ საფეხურზე კი ევროპის ჩემპიონატის მესამე ჯგუფი challenge-ია. სწორედ აქ ასპარეზობს საქართველოს გოგონათა ნაკრები. ქართველებთან ერთად ამ ჯგუფში შვეიცარია, ჩეხეთი, სლოვაკეთი და ავსტრია არიან. **ავთანდილ თევდორაძის** გუნდმა სამი შეხვედრიდან სამივე დიდი ანგარიშით წააგო. პირველ დღეს ქართველები მასპინძელ შვეიცარიასთან დამარცხდნენ ასტრონომიული ანგარიშით - 0:17. შვეიცარიის ჰოკეის ფედერაციის ოფიციალური საიტი იტყობინება, რომ მასპინძლები მეორე წუთზე უკვე 3:0 იგებდნენ, პირველი ტაიმი კი 9:0 დაასრულეს... მეორე შეხვედრაში ქართველები ჩეხეთს დაუპირისპირდნენ და მათთანაც არანაკლებ დიდი ანგარიშით შერცხვნენ - 0:13, მესამე ტურში კი ჩვენმა გოგონებმა სლოვაკეთთან „გაიბრძოლეს“ - 2:8.

საქართველოს ნაკრები ბოლო შეხვედრას 14 აგვისტოს ავსტრიასთან გამართავს და სამშობლოში ალბათ, უქულოდ გამოემგზავრება. ქართველ გოგონებს ევროპული დებიუტი აშკარად ჩაუვარდათ, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო. ბოლო წლებში საქართველოში ჩემპიონატი მხოლოდ ინდორ (დარბაზის) ჰოკეიში იმართებოდა. მხოლოდ წლეულს მოხერხდა ბათუმში, დიდ მოედანზე სტანდარტულ ჰოკეიში ჩემპიონატის ჩატარება, თუმცა დარბაზში და მინი-მოედნებზე ასპარეზობას შეჩვეული გოგონებისთვის მოსამზადებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამას ისიც დაემატა, რომ თავდაპირველად ქართველ ჰოკეისტებს ვიზებზე უარი უთხრეს და მხოლოდ ბოლო მომენტში გადაწყდა მათი შვეიცარიაში გამგზავრების საკითხი, რამაც გუნდზე უარყოფითად იმოქმედა. თუმცა ასეთ ცუდ ასპარეზობას გამართლება მაინც არა აქვს.

**დავით კოხრეიძე**



● რაგბი. ოლიმპიური რეკომენდაცია



# სოკ-ის აღმასკომის რჩეულნი: შვიდკაცა რაგბი და გოლფი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა, რომლის სხდომაც ბერლინში გაიმართა, შვიდკაცა რაგბის და გოლფს ოლიმპიურ სახეობათა შორის ჩარიცხვაზე რეკომენდაცია გაუწია. საბოლოოდ, იქნება თუ არა რაგბი წარმოდგენილი 2016 წლის ოლიმპიადაზე, წლეულს, 3 ოქტომბერს კოპენჰაგენში გასამართ კონგრესზე გადაწყდება.

„მსოფლიო რაგბის დიდი, ერთიანი ოჯახის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც რამდენიმე სახეობას შორის, შვიდკაცა რაგბის უპირატესობა მიანიჭა და რეკომენდაცია გაუწია. მართალია, საბოლოო გადაწყვეტილებას ოქტომბერში კოპენჰაგენში მიიღებენ, მაგრამ უკვე მიღწეული, თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენი გუნდის მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფია.

ოლიმპიური თამაშები ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებაა. ჩვენი ვაჟთა და ქალთა საუკეთესო რაგბის გუნდებისთვის დიდი პატივი იქნება იქ თავისი ნიჭისა და უნარის წარმოჩენა.“-განაცხადა IRB-ის პრეზიდენტმა **ბერნარ ლაპასემ**.

აღსანიშნავია, რომ ბერლინური შეკრების წინ სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ (AIPშ) გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომელშიც მონაწილეობა 83 ქვეყნის 305-მა ჟურნალისტმა მიიღო. გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტმა, 20,48 პროცენტმა მხარი კარატეს დაუჭირა. 18,94% მიიღო შვიდკაცა რაგბიმ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რჩეულმა გოლფმა კი ხმების 16,04% დააგროვა.

აქვე შეგახსენებთ, რომ შვიდკაცა რაგბი უკვე არის ჩართული ორ დიდი სპორტულ ფორუმში: მსოფლიო თამაშებსა და კეთილი ნების თამაშებში.

**გია ნაცვლიშვილი**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:

„მართალია, საბოლოო გადაწყვეტილებას ოქტომბერში კოპენჰაგენში მიიღებენ, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა რეკომენდაცია შვიდკაცა რაგბის და გოლფს გაუწია, უკვე თავისთავად ბევრისმეტყველია.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს შვიდკაცა რაგბის და კარატეს ვგულშემატკივრობთ. კარატე გოლფთან შედარებით საქართველოში უფრო განვითარებულია, თუმცა, თუ გოლფი ოლიმპიური სახეობა გახდა, ეს მის შემდგომ პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში.

ძალიან მოხარულნი ვართ, რომ შვიდკაცა რაგბს რეალური შანსი გაუჩნდა, ოლიმპიური სახეობა გახდეს. ქართული რაგბის პოტენციალიდან გამომდინარე, დარწმუნებულნი ვართ, თუ უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ ამ სახეობას, ჩვენი ნაკრები 2016 წლის ოლიმპიადაზე აუცილებლად ითამაშებს.

ასე რომ, ოქტომბერში ვგულშემატკივრობთ შვიდკაცა რაგბის და კარატეს.“

საინტერესოა, როგორი რეაქცია მოჰყვა სოკ-ის აღმასკომის გადაწყვეტილებას მსოფლიო რაგბის თემში:

**ბრაიან ჰაბანა**, სამხრეთ აფრიკა, 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი:

„ძალიან ბევრ მორაგბეს ვესაუბრე ამ თემაზე და აბსოლუტურად ყველა მეთანხმება, რომ ოლიმპიადაზე ასპარეზობა ბრწყინვალე სანახაობა იქნება. ჩვენ ყველას ძალიან გვინდა ოლიმპიადაზე თამაში და ძალიან ამაყები ვიქნებით, ვატაროთ ოლიმპიელების სახელი“.

**შერლი ფასტი**, ავსტრალია, 2009 წლის ქალთა შორის შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონი:

„ოლიმპიური თამაშები ახდენილი ოცნება იქნებოდა. ჩვენ უკვე ჩამოვიტანეთ ავსტრალიაში მსოფლიო თასი შვიდკაცა რაგბიში. არც ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ვიტყოდით უარს. შვიდკაცა ძალიან საინტერესო თამაშია. ოლიმპიურ ოჯახში ამ სახეობის ჩართვა მის საყოველთაოდ პოპულარიზაციას, განვითარებას შეუწყობს ხელს. ის შეიძლება, მნიშვნელოვნად შეიცვალოს.“

**ბესიკ ჯანგავაძე**

● თავისუფალი ჭიდაობა

პოლონეთის საერთაშორისო ტურნირი

# საგანგაშო შედეგი

ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა იმდენად ცუდად დაიწყეს გამოსვლა ვარშავის საერთაშორისო ტურნირზე, ვერც კი წარმოვიდგენდით. მართალია, **შალვა მუზიაშვილმა** (66) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო **ბესარიონ გოჩაშვილი** (55) მეხუთეზე გავიდა, მაგრამ ჩვენი გუნდის ლიდერებმა - **ოთარ თუშიშვილმა** (66) და **გიორგი გოგშელიძემ** (96) იმდენად უსახურად იჭიდავეს, ეს მედალი საერთოდ დაგვავიწყეს. მოახლოებულ მსოფლიოს პირველობაზე მედლებს თუ ვინმესგან ველოდებით, უპირველესად - ამათგან და მათი წაგებები ამიტომაც გვემცხეთა. მსოფლიოს პირველობამდე არც ისე დიდი დროა - 21-27 სექტემბერს ჩატარდება დანიურ ჰერნინგში და ახლა თუ ასეთი საგანგაშო ვითარებაა, საეჭვოა, გამოსწორება მოესწროს. ვითარება კი დამაიმედებელი ნამდვილად არ გვგონია, რადგან ორივე პირველ წრეში დამარცხდა და თანაც - ვისთან! გოგშელიძემ ამერიკელ **კლეიტონ ფოსტერთან** პირველი პერიოდი 5:0 დათმო, მეორეში კი ხალიჩაზე აღარც გასულა, ხოლო თუშიშვილს ბულგარელმა **ნიკოლაი კურტეიმ** აჯობა! მოკლედ, ნაკრებისა თუ პირად მწვრთნელებს დარჩენილ ერთ თვეში ზღვა სამუშაო ელოდებათ.

საკმაოდ კარგად იჭიდავა შალვა მუზიაშვილმა, თუმცა ის ტურნირზე ახალი გვარით მოგვევლინა - აბაიევი! ესეც მორიგი ცუდი სიმპტომი - ის საბერძნეთში ლამობდა წასვლას და გვარიც ამიტომ გადაიკეთა, თუმცა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ახალი გვარი შერჩა! ეს იმ ცუდი ტენდენციის გაგრძელებაა, რასაც სპორტსმენების დაკარგვა ჰქვია. მაშ, მორიგი ალავერდი ფედერაციასთან - ამ პრობლემის მოგვარებას ველოდებით.

ოქმებში შეტანილი ახალი გვარის მიუხედავად, თქვენი ნებართვით, შალვას კვლავაც მუზიაშვილად მოვიხსენიებთ, რადგან ჯერაც საქართველოს მოქალაქეა. ის ნაკრებში საჭირო კაცი რომაა, ამ ტურნირის სტატისტიკაც მეტყველებს - ამერიკელ **მარიო მეისონსაც** და გერმანელ **მარსელ ფომოფტსაც** მეორე პერიოდებში 9-9 ქულა გაუკეთა და, ცხადია, წმინდად მოუგო. სამწუხაროდ, ამ დამაჯერებელ მოგებებს ირანელ **მაჰდი ტაგავისთან** მარცხი მიაყოლა. თუმცა დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა. მაგალითად, მეორე პერიოდი ფრედ დასრულდა - 4:4, თუმცა ბოლო ქულა პირველი პერიოდის მომგებმა ირანელმა მოიპოვა და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა. კიდევ კარგი, ტაგავი ფინალში გავიდა და მუზიაშვილი მოგვიანებით სანუგეშოში გადაერთო. აქ მას ბრინჯაომდე ორი შეხვედრის მოგება მოუხდა, თან ორივე - დამაჯერებლად: ჯერ, თურქ **მუჰამედ ილკანთან**, მერე კი რუს **ვლადიმირ ვილმოვთან**, რომელსაც მეორე პერიოდი 9:1 მოუგო.

ბრინჯაოსთვის გოჩაშვილმაც იბრძოლა, მაგრამ რუს **მატარკინ კონონთან** წააგო, არადა, ნახევარფინალში უპრობლემოდ გავიდა - ამერიკელ **ზაკ სანდერსს**, ყაზახ **დამირ ტოლეიკენოვსა** და რუს **აშოტ ტერტერიანს** ძირითად დროში მოუგო, ქულებით წმინდად მოგებული რამდენიმე პერიოდიც მიითვალა და, ზოგადად, ბევრი ილეთიც გააკეთა. მისი შეჩერება ნახევარფინალში ირანელმა **აბას დაბაგიმ** მოახერხა. ამის შემდეგ რაც მოხდა, უკვე გითხარით...

**ირაკლი თავაძე**


შალვა მუზიაშვილის ილეთი

● ჭადრაკი

# პარტია მოიგო და... გარდაიცვალა

საბერძნეთის ჭადრაკის ფედერაციისა და ხალკიდის ჭადრაკის აკადემიის ინიციატივით ელადაში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი „აკროპოლისი-2009“, რომელშიც საქართველოს 8 წარმომადგენელი მონაწილეობს.

გაუწყეთ, რომ ასპარეზობის მეორე დღე უქმედ გამოცხადდა. როგორც შევიტყვეთ, ტურნირის სტრატზე ბერძენი მოჭადრაკე **ნიკოლაოს კარაპანოსი**, მას შემდეგ, რაც პირველი ტურის პარტია **დან ზოლერს** (ისრაელი) მოუგო, დარბაზშივე უეცრად გულის მწვავე ინფარქტით გარდაცვლილა და უქმობაც ამას გამოუწვევია.

გუშინ მესამე ტურის პარტიები გათამაშდა. ჩვენებურთაგან ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ნიკოლოზ მანაგაძე** და **თამაზ გელაშვილი**, რომლებიც დიდი შეხლა-შემოხლის გარეშე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასევე, დაზავდნენ **სალომე მელია** და **მარინა მაკროპულუ**, **ინგა ჭარხალაშვილი** და **პავლოს ბოსინაკისი**. **ლევან აროშიძემ ეკატირინი ფახირიდუს** სძლია, **ნანა ძაგნიძემ** კი **ანა ბურტასოვა** დაამარცხა. სამწუხაროდ, **ინგა ხურცილავამ** სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია დიდოსტატ **ოლეგ რომანიშინს** და წააგო, ხოლო საქართველოს ნაკრების წევრი **მაია ლომინეიშვილს ხრისტოს ზიგურისმა** აჯობა.

3 ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ერთბაშად 17 დიდოსტატი და ერთი ფიდეს ოსტატი დაწინაურდნენ. მათგან სამი მანდილოსანია - ბულგარელი ევროპის ჩემპიონი **ანტუანეტა სტეფანოვა**, ინდოელი **ჰარიკა დრონავალი** და სლოვენიელი **ანა მუზიჩუკი**. ლიდერებს 4 ქართველი მოჭადრაკე (გელაშვილი, აროშიძე, მანაგაძე და ძაგნიძე) ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება.

მეოთხე ტურში თამაზ გელაშვილი **ელინა დანიელიანს** დაუპირისპირდება, ლევან აროშიძე - **სვეტლანა ჩერედნიჩენკოს**. დანარჩენები ასე დაწყვილდნენ: **ალბერტო დავიდი** (2)-ნიკოლოზ მანაგაძე (2), **ალისა მარიჩი** (2)-ნანა ძაგნიძე (2), **ვლადიმირ გეორგიევი** (1,5)-ინგა ჭარხალაშვილი (1,5), **დავით გლუკმანი**(1,5)-სალომე მელია (1,5), მაია ლომინეიშვილი(1)-**ალექსანდროს დუნისი** (1), **მარია დანელიდუ** (1)-ინგა ხურცილავა (1).

**ვაჟა დანელია**

● საჭილდაო ქვა

# გვინდა თუ არა სპორტული კლასიფიკაცია?

საბჭოთა პერიოდში სპორტში მატერიალურს მორალური სტიმული სჭარბობდა. ამ კონტექსტში მოიაზრებოდა სპორტული წოდებებიც. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ერთიანი სპორტული კლასიფიკაცია მოქმედებდა. სტიმული იწყებოდა ჭაბუკთა მესამე თანრიგიდან და რჩეულებისთვის სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების მინიჭებით მთავრდებოდა. შუალედში იყო ოსტატობის გარდამავალი ეტაპები - გაიხსენეთ თანრიგები, სპორტის ოსტატობის კანდიდატობა, სპორტის ოსტატობა, საპატიო სპორტის ოსტატობა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა და ბოლოს, როგორც ზემოთ ითქვა, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

არ ვამბობთ, რომ რაც იყო, თავიდან ბოლომდე კარგი იყო და აუცილებლად უნდა აღდგეს, მაგრამ რალაც სტიმული, განსაკუთრებით მოზარდებისთვის, თითქოს მოთხოვნად რომ იქცა, ფაქტია.

ოსტატობის უტყუარი საზომი შედეგია - მორჩა და გათავდა, მაგრამ ზემოხსენებული სტიმულის დაკანონებას მწვრთნელების უმეტესობა დღეს აუცილებლად მიიჩნევს.

ამას წინათ მოცურავეთა შეჯიბრებაზე ერთი მწვრთნელი ჟურნალისტებთან თავს იწონებდა, რომ მისი შეგირდებიდან ამდენი და ამდენი პირველთანრიგოსანია, ზოგიც სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს ასრულებსო. გავვოცდით, ეს ინფორმაცია საგაზეთოდ მომზადებული მასალის დედანში რომ ამოვიკითხეთ. არ არსებობს ჩვენში არანაირი სპორტული კლასიფიკაცია, მწვრთნელები კი ილუზიას ქმნიან ამით, განსაკუთრებით მშობლების თვალში ავტორიტეტის ამაღლებას ლამობენ.

სხვათა შორის, ამ რამდენიმე წლის წინათ ზოგიერთმა სპორტულმა ფედერაციამ კლასიფიკაციის თემა წამოწია განსასჯელად და სპორტის მესვეურებიდან სავსებით გამართლებული პასუხი დაფიქსირდა: თუ გნებავთ, ფედერაციებმა თავად შეიმუშავეთ თქვენი კლასიფიკაცია, თქვენზე უკეთ კონკრეტულ სახეობაში ნორმატივებს ვინ დაადგენსო. ამით მორჩა ყველაფერი. ფედერაციები, ვთქვათ პირდაპირ, მზამზარეულს იყვნენ შეჩვეულნი და თავი არ შეიწუხეს.

და მაინც, გვინდა თუ არ გვინდა სპორტული კლასიფიკაცია?

**თენგიზ თომაშვილი**



რაგბი. ლეგიონერები

# მალაღურაძის ორი ქულა



საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ მეორე დივიზიონში მოასპარეზე **ირაკლი მაჩხანელისა და ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა" საწვრთნელი შეხვედრა გამართა წლეულს ფედერალ 1 დივიზიონში დაქვეითებულ **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიესთან" და 3:33 დამარცხდა.

აღსანიშნავია, რომ აჟენელებმა მეტოქეს მთლიანად ექსპერიმენტული შემადგენლობა დაუპირისპირეს. შესაბამისად, თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ მაჩხანელსა და ფეიქრიშვილს. მალაღურაძე მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და 57-ე წუთზე გარდასახვა გაიტანა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქა-რთველო გამოეთხოვა

კრისტიანსანდში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ასპარეზობა დაასრულა ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ.** ჩვენმა ფრენბურთელებმა შეჯიბრების მეორე დღეს გამართული ორი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგეს.

პირველ მატჩში საქა-რთველომ 22-ე ნომრად განთესილი ლატვიური დუეტი **მინუსა-ჯურსონე** დაამარცხა სამ სეტში - 21:17, 15:21, 17:15.

მეორე შეხვედრაში კი ჩვენი ქალები ვერაფერს გახდნენ მე-4 ნომერ გერმანულ დუეტ **გოლერ-ლუდვიგთან** და ორ სეტში დამარცხდნენ - 10:21, 16:21.

საბოლოოდ, საქა-რთველომ კრისტიანსანდში მე-13 ადგილი დაიკავა და რეიტინგსა 180 ქულა შემატა.

წარმატებულად დაიწყო ასპარეზობა ვაჟთა შეჯიბრებაში **გეორ-გიამ.** ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც მე-8 ნომრად არიან განთესილი, 25-ე ნომრად განთესილ დანიურ დუეტ **სოდერბერგ-ჰოიერს** სძლიეს - 2:0 (21:19, 21:14).

მეორე შეხვედრას გეორ-გია 24-ე ნომრად განთესილ ლატვიურ დუეტ **სმედინსი-პლავენისთან** გამართავს.

**ბესიკ ჯანგავაძე**



კალათბურთი

# სამი დაფარება სამმაგ დუბლამდე

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა მეორე ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა და ბრძოლას მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის აგრძელებს.

ჩვენს ნაკრებს ირლანდიასთან წინა ეტაპზე მოპოვებული გამარჯვება ავტომატურად გადაჰყვა. ამას გუშინ პორტუგალიასთან მოგება დაემატა და სამ გუნდს თანაბარი ქულა მოგვიგროვდა - საქართველოს, ბელგიას და პორტუგალიას. ჩაგდებული და მიღებული ბურთების უკეთესი ბალანსი ქართველებს აღმოაჩნდათ (+17) და პირველი ადგილიც მათ დაიკავეს.

ჩვენს ნაკრებს პორტუგალიაში ორი მატჩიღა დარჩა და გაირკვევა მეცხრიდან მეთორმეტეს ჩათვლით რომელ ადგილს დავიკავებთ.

ორი სიტყვა გუშინდელ გამარჯვებაზეც ვთქვათ. მასპინძელ პორტუგალიასთან პირველი ტაიმი თანაბარი გამოდგა, თუმცა მესამე პერიოდის დასაწყისში **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა 13:0 სპურტი მოაწყვეს და 49:37 დაწინაურდნენ. პორტუგალიელებმა მეოთხე პერიოდის დასაწყისში სხვაობის 4 ქულამდე შემცირება (58:64) მოახერხეს, სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ მეფარე **ბურჯანაძემ** სამქულიანი ჩააგდო, ამას **მესხისა** და **ფხაკაძის** ზუსტი ტყორცნები მოჰყვა და საბოლოოდ ისეთი სხვაობით ვიმარჯვეთ, რაც ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად საკმარისი იყო.

ქართველთა რიგებში სწორედ ბექა ბურჯანაძე გამოირჩა, რომელმაც 13-დან 6 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 9-დან 7 საჯარიმო ჩააგდო და კინაღამ სამმაგი დუბლი შეასრულა. მას „ტრიპლ-დაბლამდე" სამი დაფარება დააკლდა: 25 ქულა, 11 მოხსნა, 7 დაფარება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**16-წლამდელთა ნაკრები. B დივიზიონი**

**13 აგვისტო**

**მადეირა, პორტუგალია**

**პორტუგალია-საქართველო 64:85**

18:24, 19:12, 9:24, 18:25

საქართველო: გულმაგარაშვილი (29 წთ, 14ქ), ლუდუშაური (9 წთ), რამიშვილი (10 წთ), ბურჯანაძე (36 წთ, 25ქ, 11მ, 4ჩ, 7დ), ფხაკაძე (34 წთ, 12ქ, 5პ), ლოლიშვილი (31 წთ, 16ქ), კვანტალიანი (20 წთ, 8ქ, 7მ), ლევალაძე (3 წთ), მესხი (10 წთ, 10ქ), ნადირაძე (11 წთ), როგავა (7 წთ)

პორტუგალია: კალენბახი (19ქ), სოარეში (14ქ, 9მ), კორეია (11ქ)

**ბელგია-ირლანდია 77:48**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 2 | 1 | 5 |
| 2. ბელგია | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 5 |
| 4. ირლანდია | 3 | 0 | 3 | 3 |




ევრო-2011. B დივიზიონი 2008 წელი

# ომის კვალი

2004 წლის შემდეგ საკვალიფიკაციო ციკლი ერთსა და იმავე მწვრთნელს არ ჩაუმთავრებია. ხორვატი **დრაჟენ ბრაიკოვიჩი** გუნდს 2004 წელს ჩაუდგა სათავეში და მის გადასაყენებლად სამმა მატჩმა იკმარა. მომდევნო სამში, 2005 წელს, ნაკრებს კანადელმა **გორდონ ჰერბერტმა** უხელმძღვანელა. მანვე დაიწყო 2006 წლის ციკლი, მაგრამ ვერ ჩაამთავრა – სანაკრებო საქმეს საკლუბო არჩია და 2007 წლის ზაფხულში მიგვატოვა. ტურნირი მისმა თანაშემწემ **კენ შილდსმა** დაასრულა, რომელიც 2008 წელს სერბმა **იგორ კოკოშკოვმა** შეცვალა. ასე რომ, იგი ერთადერთი უცხოელი მწვრთნელი იქნება, რომელიც თავის დაწყებულ საქმეს თვითონვე დაამთავრებს. თუმცა საქართველოს ნაკრების სამომავლო პერსპექტივებსა და შანსებზე მომდევნო გვერდზე ვისაუბროთ. ახლა გუნდის მიერ შარშან ჩატარებულ ოთხ მატჩს შევეხოთ.

თუ სტატისტიკას უკვე გადახედეთ, შენიშნავდით, რომ ჩვენმა გუნდმა შარშან ოთხივე მატჩი სტუმრად გამართა, თუმცა დაგეგმილი სხვაგვარად იყო: სლოვაკეთთან და ლუქსემბურგთან 2008 წელს თბილისში უნდა გვეთამაშა, ხოლო 2009 წელს - სტუმრად. აგვისტოს ომის გამო ქართულმა მხარემ შარშან სლოვაკებს და ლუქსემბურგელებს სთხოვა – წლეულს ჩვენ გესტუმრებით და გაისად თქვენ გიმასპინძლებთო. მეტოქეები თხოვნას გაგებით მოეკიდნენ და მივიღეთ იდეალური კალენდარი ჩვენი ნაკრებისთვის. რატომ იდეალური? საქმე ისაა, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი საშინაო შეხვედრებს ყოველთვის კარგად ატარებს და როცა ვიცით, ვისთან რამდენი ქულის სხვაობით გვაქვს მოსაგები, წარმატებით თამაშიც შესაძლებელია. კიდევ ერთი პლუსი – წლეულს ოთხივე მატჩს შინ ვატარებთ, რაც თავისთავად გამორიცხავს მგზავრობით გადაღლის ფაქტორს.

აგვისტოს ომი ქართველთათვის დამატებითი სტიმული გამოდგა. ამას დაემატა გუნდური თამაში (რაც მანამდე იშვიათად გამოგვდიოდა), მწვრთნელის მაღალი კომპეტენცია და შუა ევროპაში ქართული მოსავალი მოვიმკეთ: დავამარცხეთ ლუქსემბურგი, ირლანდია და სლოვაკეთი.

შვედეთთან კი ჩიხში მოვექეცით. მეტოქე ჩვენზე მონდომებული გამოდგა (აბა, სხვა რას უნდა დავაბრალოთ ქართველთა ფარზე 25 ბურთის მოხსნა), შეთამაშებითაც გვაჯობა, შებოჭა **ელისი, ცქიტიშვილი, ფაჩულია** და სირენამდე 8 წუთით ადრე მივიღეთ 16-ქულიანი ჩამორჩენა (42:58). თუმცა ბოლო წუთებზე ამოქმედდა **ცინცაძე-სანიკიძის** წყვილი. ისინი კადეტთა ასაკიდან ერთად თამაშობენ და ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ. მათი წყალობით სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა და დრო რომ ჰყოფნოდათ, გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩებოდა.

...არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შარშან ქართველებს ერთ-ერთი ლიდერი, **მანუჩარ მარკოიშვილი** აკლდათ. შემდეგ გვერდზე მარკოიშვილის დაბრუნებაზეც წაიკითხავთ და პლეი ოფში მოხვედრის შანსებზეც.

**ვაჟა სიმონიშვილი**




**A ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. ავსტრია | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. ისლანდია | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. დანია | 4 | 0 | 4 | 4 |

**B ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბელარუსი | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| 3. შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. კვიპროსი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. ალბანეთი | 4 | 1 | 3 | 5 |

**C ჯგუფი**

**6 სექტემბერი. ლუქსემბურგი**

**ლუქსემბურგი-საქართველო 65:98**

13:24, 20:28, 18:24, 14:22

საქართველო: ცინცაძე (31 წთ, 10ქ, 2პ, 1მ, 1ჩ), ელისი (31 წთ, 24ქ, 2მ, 3პ, 2ჩ, 1დ), სანიკიძე (29 წთ, 20ქ, 12მ, 2პ), ცქიტიშვილი (24 წთ, 11ქ, 6მ, 1დ), ფაჩულია (29 წთ, 11ქ, 8მ, 3პ), გამყრელიძე (13 წთ, 3ქ, 2მ, 1ჩ), ვ. ბოისა (18 წთ, 6ქ, 4მ), ა. ბოისა (9 წთ, 3ქ, 2მ, 1პ), შერმადინი (9წთ, 7ქ, 2მ, 1ჩ), ტულუში (6 წთ, 2ქ), შენგელია (2 წთ, 1ქ, 1ჩ)

ლუქსემბურგი: მ. რაჟნიაკი (13ქ, 5მ), პ. რაჟნიაკი (8ქ), შუმახერი (8ქ)...

**შვედეთი-ირლანდია 82:63**

**10 სექტემბერი. დუბლინი**

**ირლანდია-საქართველო 77:94**

13:23, 20:14, 13:23, 31:34

საქართველო: ცინცაძე (29 წთ, 4ქ, 6პ, 3მ, 2ჩ), ელისი (33 წთ, 20ქ, 4მ, 3პ, 3ჩ), სანიკიძე (35 წთ, 31ქ, 7მ, 5პ, 1ჩ, 1დ), ვ. ბოისა (26 წთ, 12ქ, 6მ, 1ჩ), ფაჩულია (31 წთ, 16ქ, 9მ, 1პ, 2ჩ, 1დ), ცქიტიშვილი (20 წთ, 8ქ, 2მ, 1დ), გამყრელიძე (21 წთ, 3ქ, 3მ, 1პ, 1ჩ), ა. ბოისა (4 წთ, 1მ), შერმადინი (2წთ), ტულუში (1 წთ)

ირლანდია: მაკგრათი (32ქ), ორეილი (15ქ), მატაცი (10ქ), ბრეისი (8ქ, 9მ)...

**სლოვაკეთი-შვედეთი 88:89**

**13 სექტემბერი. წოვი ვსი**

**სლოვაკეთი-საქართველო 78:101**

17:31, 13:26, 23:28, 25:16

საქართველო: ცინცაძე (29 წთ, 2ქ, 9პ, 2მ, 1ჩ), ელისი (29 წთ, 20ქ, 5მ, 2პ, 3ჩ), სანიკიძე (29 წთ, 16ქ, 3მ, 6პ, 1ჩ), ცქიტიშვილი (24 წთ, 17ქ, 6მ, 1პ), ფაჩულია (28 წთ, 27ქ, 5მ, 1პ, 2ჩ), გამყრელიძე (17 წთ, 3ქ, 1მ, 2პ, 1ჩ), ვ. ბოისა (20 წთ, 8ქ, 3მ, 1პ, 1დ), ა. ბოისა (8 წთ, 1მ), შერმადინი (8წთ, 2ქ, 3მ), ტულუში (6 წთ, 3ქ), შენგელია (2 წთ, 1მ), ბერიშვილი (1 წთ, 3ქ)

სლოვაკეთი: რანჩიკი (17ქ), ლესკო (19ქ), სედმაკი (16ქ)

**ლუქსემბურგი-ირლანდია 70:97**

**17 სექტემბერი. უმეო**

**შვედეთი-საქართველო 61:59**

18:18, 24:13, 12:11, 7:17

საქართველო: ცინცაძე (29 წთ, 12ქ, 9პ, 5მ, 2ჩ), ელისი (35 წთ, 6ქ, 5მ, 2ჩ), სანიკიძე (36 წთ, 19ქ, 10მ, 1პ, 1ჩ, 1დ), ცქიტიშვილი (22 წთ, 5ქ, 3მ), ფაჩულია (29 წთ, 6ქ, 7მ, 1პ, 1დ), გამყრელიძე (17 წთ, 3ქ, 1მ, 1პ), ვ. ბოისა (25 წთ, 8ქ, 2მ, 1ჩ), ა. ბოისა (1 წთ), შერმადინი (2წთ, 1მ), ტულუში (5 წთ)

შვედეთი: გრანტი (11ქ), რინგსტრომი (7ქ, 9მ), ჟერებკო (8ქ, 8მ)...

**სლოვაკეთი-ლუქსემბურგი 110:67**

**20 სექტემბერი**

**ირლანდია-სლოვაკეთი 88:95**

**ლუქსემბურგი-შვედეთი 51:96**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. საქართველო | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. სლოვაკეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. ირლანდია | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 4 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინულის ჰოკეი

ინტერვიუ ზაზა ხეჩუაშვილთან

# ყველა დარწმუნდება, რომ ჰოკეის თამაში ქართველებსაც შეგვიძლია

„ლელოს“ მკითხველმა უკვე იცის, რომ საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის ახალ პრეზიდენტად უკრაინაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ნუგზარ პაიკიძე აირჩიეს. ამჟამად იგი კვლავაც უკრაინაშია, საქართველოში კი რამდენიმე დღეში დაბრუნდება და მასთან ვრცელ ინტერვიუს შემოგთავაზებთ. მანამდე კი ახალ ვიცე-პრეზიდენტს, ზაზა ხეჩუაშვილს გავესაუბრეთ, რომლისგანაც მნიშვნელოვანი სიახლეები შევიტყვეთ.

**- მკითხველს ჰოკეის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელების შესახებ ყველაფერი აინტერესებს...**

- მივესალმები „ლელოს“ და იმედს გამოვთქვამ, რომ ქართველი გულშემატკივრები ქართული ჰოკეის შესახებ ხშირად შეიტყობენ სასიამოვნო სიახლეს. მე და ბატონი ნუგზარი დიდი ხნის მეგობრები და ბიზნესპარტნიორები ვართ. გვაქვს ამბიციური გეგმები და საზოგადოება მალე დარწმუნდება, რომ მათი განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

**- ჰოკეისთან თუ გქონიათ ადრე შეხება?**

- მე და ნუგზარ პაიკიძე არა მხოლოდ ჰოკეის დიდი გულშემატკივრები ვართ, არამედ შემიძლია ვთქვა, რომ ამ სახეობას საფუძვლიანად ვიცნობთ. აღარ დავწვრილმანდები, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩვენ მსოფლიო ჰოკეის ფედერაციაში დიდი კავშირები გვაქვს, რომელთაც, რაღა თქმა უნდა, ქართული ჰოკეის სასიკეთოდ გამოვიყენებთ.

**- სადღეისოდ არსებულ მდგომარეობას ალბათ უკვე დეტალურად გაეცანით.**

- დიახ, ქართული ჰოკეის დღევანდელობაზე ამომწურავი ინფორმაცია გვაქვს. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და დიდ მადლობას გადავუხდი ფედერაციის პირველ პრეზიდენტ დენის დავიდოვს, გენერალურ მდივან ლაშა ცაგარეიშვილს, მენეჯერ სანდრო ვაშაკიძეს და მათ ყველა თანამოაზრეს. მათ მართლაც შეუძლებელი შეძლეს და ყოველგვარი დაფინანსების გარეშე ძალიან დიდი საქმე გააკეთეს. ამიერიდან ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ერთობლივი ძალისხმევით გაცილებით მეტს მივაღწევთ.

**- გადავიდეთ კონკრეტულ გეგმებზე. როგორც ვიცით, ახალი ხელმძღვანელობა სტანდარტული ზომის ყინულის მოედნის აგებას აპირებს.**

- დღესდღეობით ქართულ ჰოკეის, ფაქტობრივად, არანაირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გააჩნია. თბილისში არსებულ ყინულზე ვარჯიში, უბრალოდ, არასერიოზულია, ბათუმის მოედანიც სტანდარტულზე მცირეა, ბაკურიანში კი ღია მოედანია და ამიტომ იქ მხოლოდ ორიოდე თვე თუ ძლებს ყინული. ასე რომ, სტანდარტული მოედანი ჩვენი უპირველესი საზრუნავია. პირველ ეტაპზე თბილისში ავაშენებთ ორ მოედანს. ორივეგან სტანდარტული ზომის ყინული გვექნება, სხვაობა მხოლოდ ტრიბუნების სიდიდესა და დარბაზში არსებული ინფრასტრუქტურის მრავალფეროვნებაში იქნება. მცირე დარბაზის აშენებას, რომელიც ხუთას მაყურებელზე იქნება გათვლილი, სულ რაღაც რვა თვე ესაჭიროება, დიდი დარბაზის მშენებლობა კი ორ წელიწადს გასტანს. ეს პროექტები დამუშავების სტადიაშია და მათზე დეტალურად საუბარი უახლოეს მომავალში შემეძლება. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ დიდი დარბაზი აუცილებლად თბილისის გარეუბანში იქნება, მცირე კი დედაქალაქის ცენტრში.

**- ახლოვდება ბათუმის ტურნირი, რომლის მთავარი მიზანიც ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება იქნება...**

- დიახ, ამ ტურნირს უპირველესად სწორედ აღნიშნული კუთხით განვიხილავთ, მაგრამ არც შედეგი იქნება მეორეხარისხოვანი. ეროვნული ნაკრების ბირთვი კი მართლაც ბათუმში უნდა გამოიკვეთოს.

**- ვიხილავთ თუ არა ბათუმში ნაკრების ახალ მწვრთნელს და მისი ვინაობის დასახელება თუ შეგიძლიათ?**

- არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, ბატონი ნუგზარი უკრაინაში სწორედ ამ საკითხზე მუშაობს და ჩამოსვლისთანავე ყველაფერზე ამომწურავად ისაუბრებს.

**- სანამ საქართველოში სტანდარტული ზომის ყინული გვექნება, ჰოკეისტები სად ივარჯიშებენ?**

- ზამთარში აუცილებლად მივაშურებთ ბაკურიანს, ბათუმის ტურნირის მიხედვით დაკომპლექტებული ეროვნული ნაკრები კი შემოდგომაზე საზღვარგარეთ, სავარაუდოდ, უკრაინაში გაემგზავრება შეკრებაზე.



ზაზა ხეჩუაშვილი

**- სექტემბერში ტუნისში მსოფლიო ფედერაციის კონგრესი გაიმართება, სადაც საქართველოს ოფიციალურ ტურნირებში ასპარეზობის საკითხიც განიხილება. ერევანში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში გაისადვე თამაში რეალურია?**

- სავსებით რეალურია. ტუნისის კონგრესს იმედით ველით და გვჯერა, მომავალი წლის გაზაფხულზე ერევანში აუცილებლად ვიასპარეზებთ. საამისოდ ქმედით ნაბიჯებს ვდგამთ. ბათუმის ტურნირზე მსოფლიო ჰოკეის ფედერაციის ინსპექტირების ჯგუფსა და სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციების წარმომადგენლებს ველით. მალე ყველა საკუთარი თვალით იხილავს და დარწმუნდება, რომ ჰოკეის თამაში და ამ სახეობის განვითარება ქართველებსაც შეგვიძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# თეთრების თეთრი დღე

სანკტ-პეტერბურგში გრძელდება დიდოსტატ ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ბალტიის დედოფლის“ თასზე. გუშინ გაიმართა მე-3 ტურის შეხვედრები. გაცნობებთ მათს შედეგებს: **ქეთევან არახამია-ირინა ტუროვა** 1:0, **პია კრამლინგი-ვიქტორია ჩმილიტე** 1:0, **ეკატერინა ატალიკი-იულია დიომინა** 1:0, **ნატალია ჟუკოვა-ანასტასია ბოდნარუკი** 0,5:0,5, **ელიზაბეტ პეტცი-ჩჟაოცინ პენი** 0,5:0,5.

სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ატალიკი და კრამლინგი დაწინაურდნენ. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება პეტცი. 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს არახამიამ, ჟუკოვამ და ბოდნარუკმა, თითო-თითო - ჩმილიტემ, ტუროვამ და დიომინამ. პენი 0,5 ქულით ბოლო ადგილზეა.

დღეს მე-4 ტურში ერთმანეთს ხვდებიან: **პენი-ჩმილიტე, დიომინა-არახამია, ტუროვა-კრამლინგი, ბოდნარუკი-ატალიკი, პეტცი-ჟუკოვა.**

**ვაჟა დანელია**




ევრო-2011. მოახლოებული მატჩების წინ

# არასრული შეკრება

ევროპის 2011 წლის ჩემპიონატისკენ პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით – ოთხი მატჩი მოვილიეთ და თუ ასევე განვაგრძობთ, ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ. ლუქსემბურგს, ირლანდიას და სლოვაკეთს სტუმრად ვაჯობეთ. წესით, მათ თბილისშიც უნდა გავუმკლავდეთ. შეიძლება, სლოვაკეთთან ცოტა გაგვიჭირდეს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სლავებს შარშანდელთან შედარებით გაახალგაზრდავებული გუნდი ჰყავთ. რაც შეეხება 26 აგვისტოს მატჩს, ამ დღეს შვედებს მინიმუმ 3 ქულის სხვაობით თუ დავამარცხებთ, პლეი ოფში გავალთ. თუმცა ნახევარფინალში შეიძლება შვედეთთან წაგების შემთხვევაშიც მოვხვდეთ. ასეთ ვითარებაში ზოგი რამ დანარჩენი ორი ჯგუფის მეორეადგილოსნების შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

...შვედეთთან მეორე წაგება კი ვახსენეთ, მაგრამ ეს არ უნდა დავუშვათ, რადგან ასეთ შემთხვევაში ნახევარფინალში, ალბათ, ჩერნოგორია გადაგვეყრება, რაც A დივიზიონთან დამშვიდობებას უნდა ნიშნავდეს. შანსი შავი მთის შვილებთანაც გვექნება, მაგრამ სად **პეკოვიჩისა** და **კუკის** წინააღმდეგ თამაში და სად ბელარუსების წინააღმდეგ... იკითხავთ: პლეი ოფში გამსვლელ გუნდებზე ასე თამამად რატომ საუბრობთ? საქმე ისაა, რომ B ჯგუფის ბინადარ ბელარუსს ოთხივე მატჩი მოგებული აქვს და პირველ ადგილს რომ დაიკავებს, წინასწარვეა ცხადი – მდევარ რუმინეთს უკვე 2 წაგება უწერია. საკითხავია, ბელარუსები ტურნირს წაუგებლად დაასრულებენ თუ ერთ მარცხს გამოურევენ. ისინი 19 აგვისტოს რუმინეთს სტუმრობენ და ქართველებს მასპინძელთა ქომაგობა გვმართებს, რადგან წაგების შემთხვევაში ბელარუსი საბოლოო ჩათვლაში ჩერნოგორიას ჩამორჩება და, თუ ქართველებმა ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ, პლეი ოფში ჩვენ დაგვიპირისპირდება.

ახლა გავარკვიოთ, რას ნიშნავს საერთო ჩათვლა: ჯგუფური ეტაპის შემდეგ გამოვლინდება სამი ჯგუფის გამარჯვებული. მათ დაემატება საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მეორეადგილოსანი. ამ ოთხი გუნდის მიერ ჯგუფში ნაჩვენები შედეგების მიხედვით, ისინი ერთიდან ოთხამდე დახარისხდებიან. ნახევარფინალში პირველი მეოთხეს ეთამაშება, მეორე – მესამეს.



ოღონდ, წინასწარ ისიც ცნობილია, რომ პლეი ოფში ერთი ჯგუფიდან გამოსული ორი გუნდი ერთურთს არ შეეყრება.

გადაშალეთ წინა გვერდი, გაეცანით სხვა ჯგუფების მდგომარეობას და საპლეიოფო შანსებზე თავად იმსჯელეთ... რადგან პლეი ოფზე ვსაუბრობთ, იმასაც აღვნიშნავთ, რომ მატჩები 5 და 9 სექტემბერს გაიმართება. გუნდები ერთ მატჩს სტუმრად ჩაატარებენ, მეორეს – შინ. ნახევარფინალის გამარჯვებულები A დივიზიონის ორ საგზურს მოიპოვებენ...

ახლა გადავხედოთ საქართველოს ნაკრების წლევანდელ საწვრთნელ პროცესს და განვსაზღვროთ, რამდენად მზადაა ელიტაში აღზევებისთვის. შარშან მთელი გუნდი შეკრებაზე პირველივე დღეებში გამოცხადდა. მხოლოდ **ზაზა ფაჩულიას** დაუგვიანდა ორი კვირით. წლეულს გაცილებით მძიმე მდგომარეობაა: ნაკრები 20 ივლისს ავსტრიაში 7 კალათბურთელით შეიკრიბა. 25 ივლისს მათ **ვლადიმერ ბოისა** შეუერთდა, 27-ში - **ნიკა მეტრეველი** და **თორნიკე შენგელია**. **ტაირონ ელისმა** ორი კვირით დააგვიანა და გუნდს 5 აგვისტოს დაემატა, ზაზა ფაჩულია – 8 აგვისტოს. გუშინ, გამთენიისას ჩამოსულ ეროვნულს თბილისში **ნიკა ცქიტიშვილი** დახვდა... აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ნაკრების მზადება ნაყოფიერად წარიმართა.

შვედეთმა ოფიციალურ მატჩებამდე 9 ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და, ცხადია, საქართველოზე უკეთესადაა შეთამაშებული. თუმცა სკანდინაველების ძლევა საკუთარი კედლებისა და ინდივიდუალიზმის ხარჯზე მაინც შესაძლებელია.

ქართველებმა 4 საკონტროლო თამაში ჩაატარეს. ჯერ ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში ორჯერ დაუპირისპირდნენ ნარინჯისფერთა კრებულს, შემდეგ ავსტრიაში ადგილობრივებთან ამდენჯერვე ითამაშეს. ჰოლანდიაში არ გვყავდა **მანუჩარ მარკოიშვილი**, ტაირონ ელისი, ზაზა ფაჩულია და ნიკა ცქიტიშვილი. მანუს ფეხი აწუხებდა და ვერც ერთ შეხვედრაში ვერ მიიღო მონაწილეობა. პირველ დაპირისპირებაში ჰოლანდიელებს ვერაფერი დავაკელით – 63:76. მეორეში ბრძოლა ბოლო წამებამდე მიმდინარეობდა და 74:81 წავაგეთ. საყურადღებოა, რომ ამ მატჩებში ვიცე-სნაიპერი **კოტე ტუღუში** გახდა, რომელიც ტაირონ ელისის გამოჩენასთან ერთად შემადგენლობიდან ამოვარდა და ავსტრიასთან ორ მატჩში მოედანზე 5-5 წუთი გაატარა. ავსტრიაში მხოლოდ კოტეს როდი შეეზღუდა სათამაშო დრო – 5 კაცის გარდა 11 წუთზე მეტი ერთსაც არ უთამაშია. ეს დრო 40-წუთიან მატჩში ზღვაში წვეთია. შესაბამისად, ზედმეტად დაიტვირთნენ სასტარტო ხუთეულის წევრები, რომლებსაც 32-28 წუთი უწევდათ თამაში. ამხანაგურ მატჩებში დროის ასეთი არათანაბარი განაწილება მისასალმებელი ნამდვილად არაა... თუმცა, შეიძლება, მწვრთნელმა თქვას – მოგება მჭირდებოდა, რადგან ოფიციალური მატჩების წინ გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა გამეუმჯობესებინაო.

ავსტრიასთან მართლაც ვიმარჯვეთ. თანაც ორჯერ – 77:73 და 75:71.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**კალენდარი**

**15 აგვისტო**

19:00 საქართველო-ლუქსემბურგი
ირლანდია-შვედეთი

**19 აგვისტო**

19:00 საქართველო-ირლანდია
შვედეთი-სლოვაკეთი

**22 აგვისტო**

19:00 საქართველო-სლოვაკეთი
ირლანდია-ლუქსემბურგი

**26 აგვისტო**

19:00 საქართველო-შვედეთი
ლუქსემბურგი-სლოვაკეთი

**29 აგვისტო**

სლოვაკეთი-ირლანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

# ფრენსისი ბრუნდება



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი ვარსკვლავი **სტივ ფრენსისი** აქტიურ სპორტში დაბრუნებას აპირებს. "ჰიუსტონ როკეტსის" ექსმცველმა თითქმის ორი სეზონი გამოტოვა, თუმცა კარიერის დასრულებას არ ჩქარობს.

ერთ-ერთი ამერიკული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ფრენსისმა აღიარა, რომ ინტენსიურად ვარჯიშობს და უკვე წელს აპირებს მოედანზე გასვლას. მოთამაშის სიტყვებით, მის მიმართ დაინტერესებას NBA-ის ოთხი კლუბი გამოთქვამს და თითოეული მათგანთან ვიზიტსა და საჩვენებელი ვარჯიშების გამართვას აპირებს. ფრენსისის ვარაუდით, სწორედ ამ ოთხიდან ერთ-ერთ კლუბთან გააფორმებს ის კონტრაქტს.

■ ■ ■

მიუხედავად იმისა, რომ "კლივლენდ კავალიერზმა" პრაქტიკულად გაიფორმა ფორვარდი **ლეონ პოუ**, რის შემდეგაც ამ კლუბის შემადგენლობაში უკვე 13 კალათბურთელი ირიცხება, გუნდის ხელმძღვანელობა კიდევ ერთი გარიგების დადებას აპირებს. კერძოდ, "კლივლენდს" ფორვარდების - **ჯო სმიტის** ან **რობ კურცის** გადაბირება აქვს განზრახული.

"კავალიერზის" შემადგენლობაში უკვე ექვსი ფორვარდი დაგროვდა, მაგრამ პოუსა და **ჯეი ჯეი ჰიქსონს** ტრავმები აწუხებთ, რის გამოც, შესაძლოა, "კლივლენდს" გარკვეული სირთულეები შეექმნას.

■ ■ ■

"ნიუ ორლეან ჰორნეტსმა" შეთანხმებას მიაღწია "ლოს ანჯელეს კლიპერსთან" და ამ გუნდს მცველი **რაშუალ ბატლერი** დაუთმო. სანაცვლოდ კი "ნიუ ორლეანმა" მომავალი დრაფტის მეორე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.

ოფიციალურად გარიგების გაფორმება ამ კვირის ბოლოს არის დაგეგმილი.

მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, ბატლერს მომავალ წელს 3.9 მილიონი დოლარი ეკუთვნის. კალათბურთელის გაშვება "ჰორნეტსს" სახელფასო ბიუჯეტის შემსუბუქების საშუალებას მისცემს.

■ ■ ■

NBA-ის ლეგენდარული ცენტრი **ალონზო მოურნინგი მენი ჯექსონის** სახელობის სპეციალური პრიზის მფლობელი გახდა, რომელსაც ყოველწლიურად კალათბურთის დიდების დარბაზი ანესებს. ამ ჯილდოს მფლობელები ხდებიან ის მოთამაშეები, რომლებიც აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევიან საკალათბურთო მოედნის მიღმა.

"მაიამი ჰიტის" ცნობილი მოთამაშე, რომელიც მეათე ადგილს იკავებს დაფარებების რაოდენობით (2356), იძულებული იყო 37 წლის ასაკში დაესრულებინა კარიერა, რადგან 2007 წლის დეკემბერში ფეხის უმძიმესი ტრავმა მიიღო.

მოურნინგს საკუთარი საქველმოქმედო ფონდი აქვს, აგრეთვე ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა სოციალურ პროგრამებში. წელს, ამავე პრიზის მფლობელები გახდებიან NBA-ში სამსაჯო ექსპერტი **კენ ჰადსონი** და "ყველა ვარსკვლავის მატჩის" რვაგზის მონაწილე **ბობ ლანიე**.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლავალი-სტრასბური | 3:2 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბეირა მარი-კოვილია | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვასბი-ტროლჰატანი | 2:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კოლუმბია-ვენესუელა | 1:2 |
| ეკვადორი-იამაიკა | 0:0 |
| სელტა-ვალიდაოლიდი | 1:0 |
| ლაციო-ოსასუნა | 1:1 |
| ვილიარეალი-ჯენოა | 1:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მონრეალი** | |
| დელ პოტრო-ჰანესკუ | 3:6, 6:3, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-იუჟნი | 6:3, 6:4 |
| მიურეი-ფერერო | 6:1, 6:3 |
| როდიკი-ვერდასკო | 7:6, 4:6, 7:6 |
| დავიდენკო-გონსალესი | 7:6, 7:5 |
| ნადალი-პეტცშნერი | 6:3, 6:2 |
| **WTA. ცინცინატი** | |
| ზვონარევა-ჰანტუხოვა | 6:7, 6:0, 6:7 |
| ვ. უილიამსი-პენეტა | 6:7, 4:6 |
| დემენტიევა-კირსტეა | 6:4, 6:4 |
| კლაისტერსი-კუზნეცოვა | 6:4, 4:6, 6:2 |
| ვოზნიაჩკი-ჩინკი | 6:0, 6:0 |

TV პროგრამა

**14 აგვისტო. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:20 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
09:05 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
10:10 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შტუტგარტი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლორიანი.
14:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ნიუკასლი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
17:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-პსჟ.
19:15 სასტვენი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:45 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბარსელონა.
01:15 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
01:45 საფეხბურთო კლუბი.
02:35 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
03:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ბარსელონა.
05:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლანსი.

**EUROSPORT**

10:35 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. შვეიცარია-იტალია.
11:15 ფეხბურთი. ამხ. მატჩი. პოლონეთი-საბერძნეთი.
12:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. რუსეთი-არგენტინა.
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. პრაჯელატო. იტალია.
14:00 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. მონაკო.
15:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. შვეიცარია-იტალია.
16:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-საბერძნეთი.
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. რუსეთი-არგენტინა.
18:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. პრაჯელატო. იტალია.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. კვალიფიკაცია. კურშეველი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. კვალიფიკაცია. კურშეველი. საფრანგეთი (LIVE).
21:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
01:15 ბოულინგი. PBA-ის ტური. აშშ.
02:15 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. კურშეველი. საფრანგეთი.

ველოსპორტი

# ლენსი რაზმს აგროვებს

ცნობილი გახდა კიდევ ერთი ველომრბოლის გვარი, რომელიც მომავალი სეზონიდან ლეგენდარული **ლენს არმსტრონგის** ახალ გუნდში - RadioShack-ში ჩაირიცხება. ეს გახლავთ **სერჟიო პაულინიო**, ვინც არმსტრონგის მსგავსად, წელს "ასტანას" შემადგენლობაში გამოდის. სააგენტო Lusa-ს ინფორმაციით, პაულინიო ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

არმსტრონგის გუნდში გადავიდა აგრეთვე, კიდევ ერთი პორტუგალიელი **ჟოზე აზევედუ** - ლენსის ყოფილი პარტნიორი გუნდ Discovery Channel-ში. სწორედ აზევედუ შედიოდა იმ მრბოლელთა ჯგუფში, რომლებმაც ამერიკელს ბოლო ორი ტურ დე ფრანსი მოაგებინეს. აზევედუ სპორტული დირექტორის პოსტს დაიკავებს და თავის ყოფილ ბოსს **იოჰან ბრუნელს** დაეხმარება.

■ ■ ■

ამასობაში, ესპანური ველოსაჯინიბოს Caisse d'Epargne's-ის დირექტორი **ეუსებიო უნსუე** ადასტურებს ინტერესს ტურ დე ფრანსის წლევანდელი ჩემპიონის **ალბერტო კონტადორის** მიმართ. დიდია ალბათობა იმისა, რომ ესპანელი ველომრბოლი ამ სეზონის შემდეგ დატოვებს "ასტანას" რიგებს და ამიტომაც, Caisse d'Epargne's აქედანვე ცდილობს თადარიგის დაჭერას.

უნსუემ ესპანური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მეორე გენერალურ სპონსორს ეძებს იმისთვის, რომ კონტადორის გასაფორმებელი თანხა იშოვნოს.

*"მასთან კონტრაქტის გაფორმება შესაძლებელია, მაგრამ მოცემულ მომენტში ეს ძალიან რთული იქნება,* - ამბობს Caisse d'Epargne's-ის შეფი.



მძლეოსნობა

# ფალსტარტი აღარ იქნება

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ფალსტარტის წესი შეცვალა. 2010 წლიდან მოყოლებული, ნებისმიერი მორბენალი, ვინც მსაჯის ნიშანზე ადრე აილებს სტარტს, მაშინვე დისკვალიფიცირებული იქნება - მას მეორე შანსს აღარ მისცემენ. მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატზე, რომელიც 15 აგვისტოს ბერლინში იწყება, სპორტსმენებს ძველებურად ერთი ფალსტარტის უფლება ექნებათ.

მოქმედი წესების თანახმად, მორბენალი, რომელიც პირველ ფალსტარტს გააკეთებს, გაფრთხილებას იღებს. მეორე ფალსტარტის ავტორი კი ავტომატურად იხსნება გარბენიდან - არ აქვს მნიშვნელობა პირველად წესი მან დაარღვია თუ სხვა მძლეოსანმა.

ფედერაციის ტექნიკური კომისიის თავმჯდომარის **ხორხე სალსედოს** თქმით, დღეს არსებული სისტემა "პროვოკატორებს" აძლევთ ხელს, რომლებიც სპეციალურად აკეთებენ პირველ ფალსტარტს, რათა მეტოქეებმა მეორე სტარტისას ინერვიულონ.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება არ მოუწევს პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო სპრინტერ **ასაფა პაუელს**. ამ უკანასკნელმა კიდევ ხუთ მძლეოსანთან ერთად ნაკრების ბოლო შეკრება გამოტოვა და პლანეტის პირველობისთვის ინდივიდუალური გეგმით ემზადებოდა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ფედერაციის წესებს. ამის გამო, იამაიკის მძლეოსნობის ფედერაციამ IAAF-ს პაუელისა და დანარჩენი მძლეოსნების მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოკვეთა სთხოვა, მაგრამ შემდეგ თავად თქვა უარი ამ ინიციატივაზე.

IAAF-ის პრესსამსახურის უფროსმა **პიერ ვისმა** განაცხადა, რომ იამაიკელი მძლეოსნებისთვის აკრძალვის დაწესება ცუდად იმოქმედებდა ჩემპიონატის იმიჯზე.

ფორმულა 1

ინტერვიუ მიხაელ შუმახერთან

# ყველაფერი ამაო გამოდგა

**მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, რომელმაც ფორმულა 1-ში დაბრუნება გადაიფიქრა, გუშინ აუხსნა ჟურნალისტებს თავისი გადაწყვეტილების მიზეზები.**

**- როგორ გრძნობთ თავს მომხდარის შემდეგ?**

- რა თქმა უნდა, უდიდეს იმედგაცრუებას ვგრძნობ. თავიდანვე ვიცოდი, რომ ბოლომდე მომზადებული ვერ შევხვდებოდი ევროპის გრან-პრის, მაგრამ საშუალება მომეცა გუნდს დავხმარებოდი და მინდოდა ეს შანსი გამომეყენებინა.

ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით, შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვაკეთებდით, მაგრამ თავიდანვე მეც და "ფერარის" წარმომადგენლებიც ვგრძნობდით, რომ მე რბოლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუბრუნდებოდი, თუ ფიზიკურად ვიქნებოდი მზად. სამწუხაროა, რომ ვერ შევძელი დასახული მიზნის მიღწევა.

**- რატომ არ ჩაატარეთ ეს ტესტები უფრო ადრე?**

- არსებობს მხოლოდ ერთი გზა იმის გასაგებად, ხარ თუ არა მზად ასეთი დატვირთვებისთვის. დიახ, ათასნაირი სტიმულატორი არსებობს, შინ ბევრი ტრენაჟორიც მიდგას, მაგრამ მხოლოდ ფორმულა 1-ის ბოლიდის მეშვეობით გაიგებ რეალურად, რამდენად ხარ მზად სტრესისა და სხეულზე დიდი დატვირთვების გადასატანად. ამიტომაც გვჭირდებოდა ასეთი ტესტის გამართვა, რათა ყველაფერში გავრკვეულიყავით.

ჩემმა ექიმმა თავიდანვე მირჩია ტესტების ჩატარება, რათა გვენახა როგორ განვითარდებოდა სიტუაცია ასეთი დატვირთვების შემდეგ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა უკეთესად მოვმზადებულიყავი, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

**- შეიძლებოდა უფრო უკეთ მომზადება?**

- წინასწარ არავინ იცოდა, რომ ფელიპეს ასეთი ტრაგიკული ინციდენტი შეემთხვეოდა და შესაბამისად, მთელი ეს მომზადება დაუგეგმავი იყო. არ მგონია, რომ ამ პირობებში შესაძლებელი ყოფილიყო უკეთესი მომზადება.

**- უკვე დადის ჭორები იმის შესახებ, რომ თქვენ შეიძლება მონცაში ან სულაც შემდეგ სეზონში დაბრუნდეთ...**

- ფორმულა 1-ში ჭორები - ჩვეულებრივი საქმეა. ბევრ ადამიანს საკუთარი აზრი აქვს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რომ მე იმედგაცრუებული ვარ, რადგან არ შემიძლია გავაკეთო ის, რასაც ასე მოუთმენლად ველოდი. მთელი ჩემი ფიქრები ახლა მხოლოდ აქეთკენ არის მიმართული და მე უბრალოდ უნდა მოვინელო ეს ყველაფერი.

**- როგორ აფასებთ ლუკა ბადოერის შესაძლებლობებს?**

- პირველი რიგში, ლუკა ძალიან კარგი მეგობარია. მთელი ამ წლების განმავლობაში ის სერიოზულად ვარჯიშობდა, რათა ყოველთვის სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო. ეს ხომ მისი სამუშაოა - მოემზადოს ტესტებზე და ნებისმიერი მომენტში შეცვალოს ძირითადი პილოტი, თუ ამ უკანასკნელს რაიმე უსიამოვნება შეემთხვევა. ლუკა არ არის ის ადამიანი, ვისაც შეუძლია მშვიდად იდგეს გვერდზე და არაფერი აკეთოს. ის ყოველთვის მზად იყო და ძალიან ინტენსიურად ვარჯიშობდა ფელიპეს ავარიის შემდეგ. ჩვენ მას შევატყობინეთ, რომ ექიმებისგან ფორმულა 1-ში დაბრუნების უფლება მჭირდებოდა და არაფერი იყო გადაწყვეტილი, ამიტომაც მისთვის სავსებით ნორმალური ნაბიჯი გახლდათ საჭირო ფორმის შენარჩუნება.

ბადოერს დიდი გამოცდილება აქვს, კარგად იცნობს გუნდს, ასე რომ, ეს არჩევანი, ჩემი აზრით, ოპტიმალურია. დიახ, ლუკას დიდი ხანია არ ურბოლია, მაგრამ რიტმიდან არასოდეს ამოვარდნილა. ვუსურვებ მას, რაც შეიძლება კარგად გაართვას თავი ამოცანას. მას რთულ სიტუაციასთან გამკლავება მოუწევს, მაგრამ თუ ვინმე მიესადაგება ამ როლს, ეს პირველ რიგში ბადოერია.

**- გქონდათ თუ არა ბოლო დროს კონტაქტი ფელიპე მასასთან?**

- დიახ. მასთან მუდმივი კონტაქტი მაქვს, რადგან ახლო მეგობრები ვართ. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ფორმულა 1-ში დაბრუნება გადავწყვიტე. 2006 წლის ბოლოს, ფელიპეს საკუთარი ბოლიდი გადავაბარე, რადგან გადავიღალე და რბოლების გაგონება არ მსურდა, ის კი ყველაზე მეტად იმსახურებდა ჩემი შემცვლელის როლს. კარგია, რომ მასას გამოჯანმრთელების პროცესი ასე სწრაფად მიმდინარეობს, რომ ის ასეთი მოტივირებულია. მე ეს ძალიან მახარებს.

**გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა**



# არასრულფასოვანი დაბრუნება



ზედიზედ მეორე დღეა, მონრეალის მასტერსზე ყველაფერი ლოგიკური სცენარით ვითარდება. ფავორიტებმა მეორე წრის ბარიერი გადალახეს და მთავარი ბრძოლები სწორედ ამ ეტაპიდან დაიწყება.

**რაფაელ ნადალის** გულშემატკივრებს, როგორც იქნა, ელირსათ თავიანთი კერპის დაბრუნება. რაფას მეორე წრეში სერიოზული მეტოქე ჰყავდა - თანამემამულე **დავიდ ფერერი**. იმის გათვალისწინებით, რომ ნადალი ორი თვის უთამაშებელი იყო, სპეციალისტები დიდ ბრძოლას ვარაუდობდნენ, მაგრამ თამაში სულ რაღაც ნახევარ საათს გაგრძელდა.

ნადალმა შეხვედრა ბრეიკით დაიწყო, შემდეგ სამი თავისი გეიმი აიღო და როცა 4:3-ზე აწვდიდა, ფერერმა მუხლის ტრავმა მოიმიზეზა და თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

*"ყოველთვის სასიამოვნოა დაბრუნება. დრო მჭირდება იმისთვის, რომ ამ ეტაპზე ჩემი რეალური ძალა გავიგო. დღეს ასი პროცენტით ვიხარჯებოდი კორტზე, მაგრამ ტრავმის შემდეგ დაბრუნებულს, მიჭირდა უმაღლეს დონეზე თამაში. ისე კი ყველაფერი კარგადაა: პირველი მატჩი, პირველი გამარჯვება - ეს ყველაფერი მეხმარება იმაში, რომ სწრაფად გავიდე ძველ დონეზე"*, - განაცხადა რაფამ, რომელსაც მერვედფინალში იოლი მეტოქე ერგო **ფილიპ პეტცშნერის** სახით. გერმანელმა ორი ტაი-ბრეიკი მოუგო კიდევ ერთ ესპანელ **ტომი რობრედოს**.

შესანიშნავ ფორმაში იმყოფება ამერიკელი **ენდი როდიკი**. ვაშინგტონის ტურნირში ნათამაშები ფინალის შემდეგ, უიმბლდონის გმირმა ორსეტიანი მოგებით დაიწყო მონრეალის მასტერსი. პირველ პარტიაში როდიკმა მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო რუს **იგორ ანდრეევს**, მეორეში კი ტაი-ბრეიკი დასჭირდა, მაგრამ "შემოკლებულ" გეიმშიც აშკარა იყო ენდის უპირატესობა.

მეორე ახალგაზრდობას განიცდის ესპანელი **ხუან კარლოს ფერერო**. თვე ნახევრის წინ, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და 2003 წლის როლან გაროსის ჩემპიონი რეიტინგში 71-ე ადგილს იკავებდა. მაგრამ მას შემდეგ, ფერერომ 27 მატჩი ჩაატარა და აქედან 20 მოიგო, გავიდა უიმბლდონის მეოთხედფინალში და ახლა 29-ე პოზიციაზეა მსოფლიოს კლასიფიკაციაში. ესპანელმა მონრეალის მასტერსზე უკვე ორი ძლიერი მეტოქე დაამარცხა - ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი** და ფრანგი **გაელ მონფილსი**. თანაც, არც ერთ მატჩში ხუან კარლოსს სეტი არ წაუგია.

მონფილსმა სულ ახლახან მოირჩინა ტრავმა, რის გამოც 11 ივნისის შემდეგ არ უთამაშია ოფიციალურ ტურნირებში. მიუხედავად ამისა, ფრანგმა მაინც შეძლო გაბრძოლება - პირველ სეტში ერთადერთი ბრეიკით წააგო, მეორე პარტიაში კი ტაი-ბრეიკამდე მივიდა და იქ 6:8 დათმო გეიმი. გუშინდელ სათამაშო დღეს, მხოლოდ მონფილსი და რობრედო იყვნენ ის განთესილები, რომლებიც ტურნირს გამოეთიშნენ.

■ ■ ■

ამასობაში, გრძელდება **კიმ კლაისტერსის** ტრიუმფალური სვლა ცინცინატის ტურნირზე. ბელგიელმა უკვე მეორე მატჩი მოიგო ისე, რომ მეტოქეებს სეტი არ დაუთმო. ამჯერად კიმის მეტოქე გამოცდილი შვეიცარიელი **პატი შნიდერი** იყო, რომელიც მეოცე ადგილს იკავებს რეიტინგში. ამ ჩოგბურთელების ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 5:2 იყო კლაისტერსის სასარგებლოდ.

ისევე როგორც წინა წრეში **მარიონ ბარტოლისთან**, კიმმა ამჯერადაც არანორმალურ ტემპში დაიწყო მატჩი და 23 წუთში მოიგო პირველი სეტი - 6:2. მეორეში პრაქტიკულად ქულა ქულაში თამაში წავიდა და ბელგიელმა მხოლოდ 5:5-ზე იძალა, როცა ზედიზედ ორი გეიმი მოიგო და მერვედფინალის საგზური მოიპოვა. ამ ეტაპზე კი მას მართლაც სერიოზული გამოცდა ელის - მისი მეტოქე იქნება როლან გაროსის ჩემპიონი, რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა**, ხოლო ამ ბარიერის დაძლევის შემთხვევაში, კიმს მეოთხედფინალში, სავარაუდოდ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი **დინარა საფინა** დახვდება.

*"სასიამოვნოა, როცა ასე კარგად იწყებ შეხვედრას*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე 26 წლის კლაისტერსმა. - *ასეთი დასაწყისი ყოველთვის დამაჯერებლობას გმატებს და შემდგომში თამაშს გიმარტივებს. გარდა ამისა, დღეს კარგად ვმოძრაობდი. პატი შესანიშნავი მოთამაშეა, ჩვენ ბევრი რთული სამსეტიანი მატჩი გვქონია, ამიტომაც მიხარია, რომ ორ პარტიაში გავიმარჯვე"*.

იოლი გასეირნება გამოუვიდა ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს, ამერიკელ **სერენა უილიამსს**. უიმბლდონის ჩემპიონმა 14 ეისი ჩაუწოდა უკრაინელ **კატერინა ბონდარენკოს** და ჯამში მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო მას. სერენამ თავად აღნიშნა, რომ კარგ ფორმაში იმყოფება და იმედი აქვს, ასეთივე თამაშს აჩვენებს ამერიკის ღია პირველობაზე.

უკვე აღარავის უკვირს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის **ანა ივანოვიჩის** დამარცხებები. წელს, სერბი ჩოგბურთის მაქსიმუმი ამა თუ იმ ტურნირის ორი ან სამი წრის დაძლევაა. ამჯერად როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი საშუალო დონის უნგრელმა **მელინდა ჩინკმა** შეაჩერა. ივანოვიჩმა თითქმის ორი საათი ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ორივე სეტის ბოლოს მისი მეტოქე უფრო ზუსტი იყო და დამსახურებულადაც მოიგო მერვედფინალის საგზური.

გია **თვალაბეიშვილი**

### ATP
### Rogers Cup

მონრეალი (კანადა). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 3 000 000 დოლარი

#### II წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-დავიდ ფერერი (ესპ) 4:3 ფერერის უარი; **ენდი როდიკი (აშშ, 5)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:1, 7:6(3); **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) 6:2, 7:5; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7)**-რაინერ შუტლერი (გერ) 4:6, 6:3, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ, 9)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 4:6, 6:2, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10)**-ლეონარდო მაიერი (არგ) 6:1, 6:1; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-ტომი ჰაასი (გერ) 7:6(2) ჰაასის უარი; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-გაელ მონფილსი (საფ, 13) 6:3, 7:6(7); **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-ტომი რობრედო (ესპ, 15) 7:6(3), 7:6(4); **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 7:5, 6:4; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:3, 4:6, 7:5; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-ჯონ ისნერი (აშშ) 6:7(8), 6:1, 6:3.

#### 1/8 ფინალში ხვდებიან

ფედერერი (1)-ვავრინკა; სიმონი (9)-ცონგა (7); მიურეი (3)-ფერერო; გონსალესი (11)- დავიდენკო (8); როდიკი (5)-ვერდასკო (10); იუჟნი (რუს)-ჯოკოვიჩი (4); დელ პოტრო (6)-ჰანესკუ; პეტცშნერი (გერ)-ნადალი (2).

### WTA
### Western & Southern Financial Grp

ცინცინატი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლარი

#### II წრე

**სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-ეკატერინა. ბონდარენკო (უკრ) 6:3, 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:3, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-მარია კირილენკო (რუს) 7:6(6), 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:4, 1:6, 7:5; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 8)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 4:6, 6:4, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 9)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 6:4, 6:2; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 11) 7:6(8), 7:5; **სიბილ ბამერი (ავსტრია)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 13) 6:0, 7:5; **ფლავია პენეტა (იტა, 14)**-აგნეს შავაი (უნგ) 6:2, 6:4; **სორანა კირსტეა (რუმ)**-ანა-ლენა გრონეფელდი (გერ) 6:3, 6:2; **კიმ კლაისტერსი (ბელ)**-პატი შნიდერი (შვეიც) 6:2, 7:5; **დინარა საფინა (რუს, 1)**-**შუია პენგი (ჩინ)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 5:7, 6:2, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 7:5, 1:6, 6:4.

#### 1/8 ფინალში ხვდებიან

საფინა (1)-პენგი; კლაისტერსი-კუზნეცოვა (6); ვენუს უილიამსი (3)-პენეტა (14); ჰანტუხოვა-ზვონარევა (7); ვოზნიაჩკი (8)-ჩინკი; კირსტეა (რუმ)-დემენტიევა (4); იანკოვიჩი (5)-აზარენკა (9); ბამერი-სერენა უილიამსი (2).




